



საგჭოთა სელოვნება

GOBETCKOE
 УКРЬГГТВО
 SOVIET
 ART
 SOWJETKUNST
 ART
 SOVIETIQUE

12

1970

საგჟოთა სელაგნება

გაზეტი
გონივი ჩანგოძე
15/სვ-71/ს



თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
პრეპიტეატურა
ქორეოგრაფია

12

საპარტვილოს სსრ კულტურის სამინისტროს საზოგადოებრივ-კოლტიკური,
ლიბრატორულ-მხატვრული, მცნიერულ-თეორიული ყოველთვიური ჟურნალი

1970



ბ. გ. გ. ბაშელიშვილი

მადლიანო, ჩემო მიწავ.

მთავარი რედაქტორი — ოთარ შაპო

სარედაქციო კოლეგია: შალვა ამირანაშვილი, გელა ბან-
ძელაძე, კარლო გომიძე, ალექსი მაკავარიანი, ნათელა
ურუშაძე, ბრიგოლ ფოფხაძე, ლიმიტრი ჯანელიძე, ვანო
წულუკიძე.



დ. ბაშელეიშვილი

სამხარო.



სოციალისტური კულტურისათვის ბრძოლა საქართველოს ბოლშევიკურ პრესაში

(1917 — 1921 წწ.)

გრიგოლ აფრიდონიძე

საქართველში თითქმის ოთხ წელიწადს გაგრძელდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულიდან სოციალისტურ რევოლუციამდე გადასვლის პროცესი. მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის რთულ და დაძაბულ ვითარებაში ხელმძინარეობდა, რადგან სოციალისტური რევოლუციის განხორციელებას ხელს უშლიდნენ არა მარტო მენშევიკები და მათი მოკავშირე ანტიკომუნისტური პარტიები, არამედ მათი მფარველი უცხოელი იმპერიალისტებიც მუხუხავდად ამისა, საქართველოს მუშებისა და გლეხების თავგანწირული ბრძოლა გამარჯვებით დაევირგინდა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ, ამაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პრესამ. სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლის ყველა ეტაპზე იგი იყო პროპაგანდის, აგიტაციისა და ორგანიზაციის მძლავრი იარაღი, ფართო მასებზე შემოქმედების შეუცვლელი საშუალება.

გ. ი. ლენინის სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში წინა პლანზე აყენებდა ბოლშევიკურ პრესას, მუშების დარაზმვას რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ პარტიადა, „ახლა, — წერდა ლენინი 1917 წლის მარტში ა. შ. კოლმენტის — მთავარია პრესა, მუშების დარაზმვა რე-

ვოლუციურ ს. დ. პარტიადა“ (თხ. ტ. 35, გვ. 309). გელადის ეს მითითება დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა პარტიას, პრესას.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთში თავის პირველსავე სხდომაზე რსდმპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგინლება გაზეთ „პრავდის“ განახლების შექმნაზე. ეს ნაბიჯი ერთსულოვნად მიიწონეს პარტიულმა ორგანიზაციებმა, მშრომელებმა და გაზეთის ალუტქებს როგორც მატერიალური დახმარება, ასევე მორალური მხარდაცემა.

რსდმპ (ბ) თბილისის ბიურო მიესალმა „პრავდას“, როგორც პროლეტარიატის ინტერესების ერთადერთი დამცველს (თხ. „პრავდა“ № 18, 26 მარტი, 1917 წ.).

„პრავდა“ იდევრ და ორგანიზაციულ დახმარებას უწყევდა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს და მათს ბეჭდვითს ორგანოებს, ღირსეულად იბრძოდა სოციალისტური რევოლუციისათვის.

თბილისის ბოლშევიკებმა, ყურდნობოდნენ რა საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური პრესის სახელოვან ტრადიციებს, სარეკორდო ვადაში (10 დღე) შესძლეს გამოცემა გაზეთი „კავკასკი რაბოჩი“, რომელიც მამის პირველი ბოლშევიკური გაზეთი იყო მიწელს კავკასიაში და თავისი მოღვაწეობის პროგრამით რევოლუციის საშასხურში იდგა. „თბილისად გამოცემათ დაგროვილი ენერჯია, წარმართით ის სათანადო მიზნისაკენ და ამით მივიყვანით რევოლუცია ლოკიკურ დასასრულამდე“ — წერდა გაზეთი თავის პირველ ნომერში 1917 წლის 11 მარტს.

რსდმპ (ბ) VII (აპრილის) კონფერენციის შემდეგ პარტიაა გააძლიერა პრესაზე ხელმძღვანელობა. ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა ბეჭდვითი სიტყვის ბიურო, რომელიც ხელმძღვანელობდა და ეხმარებოდა პარტიულ პრესას. გაიშალა გაზეთების მუშაობა ადგილებზე, გაიზარდა მათი რაოდენობა, პერიოდულობა და ტირაჟი.

1917 წლის 4 ივნისიდან გამოსვლას იწყებს გაზეთი „ბრძოლა“, რომელიც სახელოვანი ლენინურ-ისკრული მიმართულების გაზეთი „ბრძოლის“ ტრადიციებს აგრძელებდა. ამავე თვის ბოლოს სომხურ ენაზე გამოვიდა „ზანფორი კრივი“, ხოლო ნოემბერში ახალგაზრდობის კომუნისტური ჟურნალი „მსამე ინტერნაციონალი“ (№ 4-დან იგი გაზეთად გადაკეთდა), ჩინასა კომკავშირული პრესა, რომელიც ერთი პირველთაგანი იყო რუსეთში.

ბოლშევიკური გაზეთები (განსაკუთრებით „კავკასკი რაბოჩი“) იმ დროს, როდესაც საქართველოს ბოლშევიკები დროებით გაერთიანებული იყვნენ მენშევიკებთან, ბოლშევიკებს უნარჩუნებდნენ იდევრ და ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას.

სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში სწორი ორიენტაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა გ. ი. ლენინის შრომებს: „წერილობით შორიდან“, „აპრილის თეზისები“, რსდმპ (ბ) VII (აპრილის) კონფერენციის რეზოლუციებს და სხვ.

გ. ი. ლენინის ნაშრომებში, განსაკუთრებით კი „აპრილის თეზისებში“ და აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებებში, მოყვებოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის თეორიულად დასაბუთებულ კონკრეტული გეგმა. ეს გეგმა ითვალისწინებდა რევოლუციის მშვიდობიან განვითარებას 1917 წლის 25 აპრილს „კავკასკი რაბოჩიმ“ დაბეჭდა.

გ. ი. ლენინის „აპრილის თეზისები“. 13 და 16 მისს ამავე გაზეთში გამოქვეყნდა რსდმპ (ბ) VII (აპრილის) კონფერენციის რეზოლუციით. შემდგომში, როცა გამოსვლა იწყებდა გაზეთებმა „ბრძოლამ“ და „პანფორი კრივი“, ეს მასალები გამოქვეყნდა ქართულ და სომხურ ენებზეც.

გაზეთები ითვალისწინებდნენ ადგილობრივ კონკრეტულ პირობებს და, რომ უფრო მყარ ნიადაგზე დამყარდნენ სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლა, უწყობდნენ ზღვრებზე მხარს VII კონფერენციის გადაწყვეტილებებს მენშევიკების ფორმალური ორგანიზაციული კავშირის გაწყვეტის შესახებ. მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს გაზეთებმა რევოლუციის მწვიდობიანი განვითარების ღებინური გეგმისათვის.

ჩვენი პარტიის ისტორიასა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში ახალი ნიშანსდებია რისმდ (ბ) VI ყრილობა. შევდილო ვითარების შესაბამისად, ყრილობამ შემოიშვა ახალი ტაქტიკა და კარსა აიღო შეიარაღებული აჯანყებისაკენ. ყრილობის გადაწყვეტილებები საქართველოს ბოლშევიკებისათვის მოქმედების სახელმძღვანელო იყო. პრესისა და სწავლებით საქართველოს ბოლშევიკები მშრომელის აცნობდნენ ამ დიდი ისტორიული მომენტის დოკუმენტებს. ყრილობის მასალაზე გაზეთებმა გამოაქვეყნეს ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. ამ საკითხს მიეძღვა მრავალი თეორიული, მოწინავე და სარედაქციო სტატია.

ოქტომბრის იერიშის წინ ბოლშევიკებმა გაზეთებზე დასტამეს ვ. ი. ლენინის წერილები, რომლებიც ზუსტად განსაზღვრავდნენ კომუნისტური პარტიის, მუშათა კლასისა და უღარიბესი გლეხობის ადვილს კონტრრევოლუციური დროებითი მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლაში.

ვ. ი. ლენინის წერილები ერთხელ კიდევ მოაგონებდნენ პარტიას, ხალხს, მარქსისა და ენგელსის გენიალურ აზრებს შეიარაღებული აჯანყების, როგორც ხელშეწყობის და მისი გამაძვივებელი როლის შესახებ. მათში მოცემული იყო მოქმედების დეტალურად დამუშავებული გეგმა.

გაზეთ „ბრძოლის“ პირველი და რვა ოქტომბრის ნომერებში ვ. ი. ლენინის ხელმოწერილი დაიბეჭდა სტატია „რევოლუციის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი“. 22 ოქტომბერს — „კრიზისის მოწინავე“, 23 ოქტომბერს გაზეთი უფრედა დიდი ბელადის ნაშრომის „კატასტროფის მუქარა და მასთან ბრძოლა“ ბეჭდას, რომელიც ნოემბრის ბოლოდღე გაგრძელდა. „ბრძოლის“ 1917 წლის 13, 15, 17, 19 დეკემბრის №№: 54, 55, 58, 60 ნომერებში დაიბეჭდა რაყვეტები ვ. ი. ლენინის ნაშრომთან: „იმპერიალიზმი, იმპერიალიზმის უმალესი უმაღლესი სტადია“ (გაზეთში იგი გამოქვეყნდა სათაურით „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის ახალი საფეხური“, გამდიდებული ვ. ი. ლენინის წიგნითა). ეს შრომები ქართული კომუნისტებისათვის უაღრესად დიდმნიშვნელოვანი იყო სოციალისტური რევოლუციის თეორიისა და პრაქტიკის საქმეში. ისინი აღმოებრებდნენ სოციალისტური რევოლუციის ღებინური თეორიის პრობლემებს რევოლუციის მოწინააღმდეგე და განმარკოვლების მიერ პერიოდში. ბოლშევიკური გაზეთები პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლის დროის მნიშვნელოვან ადვილს უზომოდან აგვარულ და ერთვულ საკითხებს. ამხელდნენ წერილობრივად პარტიების არა-თანხმდებლობას რევოლუციის ამ მომნიშვნელოვან საკითხებზე, ანთავისუფლებდნენ მათებს მათი გაკვეთისაგან და რაზმადნენ მათ ბოლშევიკური ლოზუნგების გარშემო.

ამ პრობლემებზე ქართულ ბოლშევიკურ პრესას დაიბეჭდა მრავალი თეორიული ხასიათის, სარედაქციო და მოწინავე სტატია, ამავედენასებრებოდა მუშებისა და გლეხების კორესპონდენციები და ინფორმაციები, რომლებიც კონკრეტული მაგალითებით უჩვენებდნენ რევოლუციისათვის მათების ბრძოლის ნამდვილ სურათს.

საქართველოს მშრომელების შეგნებული ნაწილი ადფრთოვანებით შეგება სოციალისტური რევოლუციის გამარჯ-

ვებებს რუსეთში. ბოლშევიკური გაზეთები აცნობდნენ მისახლობას ოქტომბრის რევოლუციის დეგრეტებს, სწორად აფასებდნენ ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელობას, მიაპერსპექტივებს.

„დაიწყო ახალი, ჭეშმარიტად დიდი რევოლუცია, — წერდა გაზეთი „ბრძოლა“, — რომელიც უნდა გადაწყვიტოს არა მარტო პროლეტარიატის, არამედ მიელი დემოკრატიის, ევროპა-აზიის, მთელი ქვეყნის, მიელი კაცობრიობის ზედი, მისი ბრწყინვალე მომავალი. ამავე ნომერში გაზეთი მოუწოდებს რევოლუციის ძალთა დახმებისა და იერიშისაკენ. „თბილისის და კავკასიის რევოლუციური დემოკრატიის ვალია დაიარსების, იერიში თეთონ მიიტანოს კონტრრევოლუციასზე და მხარი გაუმაგრის ავანგარდს. ამისათვის საჭიროა, რომ მან ზურგი შეაკციოს და კავშირი გაწყვიტოს სოციალ-დემოკრატიულ კონტრრევოლუციურ ობორობებთან, კერძის დამტყუბობა (მაგ. ესერები), თავი დააღწიოს ობოროტისტულ, მოდუნებულ და წყაღ-წყაღა პარტიას (მენშევიკები) და ხელში აიღოს დროშა აჯანყების. თავდაცვიად შეტევაზე, არას გვიკარნახებს მომბტი“ (გაზ. „ბრძოლა“ № 25, 3 ნოემბერი, 1917 წ.).

7 ნომერიდან საქართველოში ბოლშევიკური გაზეთები გამოდიოდა მოწოდებით — „გამარჯოს სამჭოების რევოლუციურ მთავრობას, მუშებო, სალდათებო, გლეხებო, მედ-გარდ დაუჭირეთ მხარი მუშებისა და გლეხების მთავრობას!“.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მენშევიკებმა და ამერკავკასიის სხვა ანტიკომუნისტურმა პარტიებმა ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება და დღის წესრიგში დარაყენეს სამჭოთა რუსეთთან ჩამორბობა. ისინი უარს არ ამბობდნენ რუსეთთან ურთიერთობაზე მანამ იქ ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა ბატონობდა. მათ შერგეს ბლოკი და როგორც კი სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა, გამოითიშნენ რუსეთიდან. ეს იყო ნამდვილი კონტრ-რევოლუციური ნაბიჯი, ბურჟუაზიის აშვარა მხარდაჭერა. ამასთან დაკავშირებით უაზრო, „ბრძოლა“ წერდა: „ქვეყანა იღუბება, ისტორიულად გაკვივის ბურჟუაზია. თუცა კარგად ხვდას, რომ იღუბება ბურჟუაზიის ბატონობა და ქვეყანა კი ახლა გამოდის ხნის გაზაზე. აქვეყანა გასანდელდება, — აქსადებენ მენშევიკები.“

„მენშევიკები მხარს რომ ვერ დაუჭერენ რევოლუციას, ეს მათ საქვეყნოდ ალიარეს. მამ რა დარჩინათ? რუსეთიდან ჩამორბობა“ (ბრძოლა“ № 31, 10 ნოემბერი, 1917 წ.).

მენშევიკური დიქტატურისა და უცხოელ იმპერიალიზმის ბატონობის რთულ პირობებში, რაც თხს წელს საბჭოტად, ქართველი ხალხი აწარმოებდა ბრძოლას სამჭოთა ხელისუფლებისათვის. დიქტატურის სუსტი განსაკუთრებით იგრძნობოდა 1918 წლის თებერვლიდან, როდესაც მენშევიკებმა დაბრუნეს ბოლშევიკური გაზეთები: „ბრძოლა“, „კავკასუსკი რაბორი“ და „ბანჯორი კრივი“. შემდეგ კი დაბრკეტილ უფარლო მუშათა მიტინგი აღქმანდნენ ხალხში. საქართველოს ბოლშევიკური პრესისა და პირველყვარობის გულდამსით შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ საფრეველს მოკლებულა აზრი, თითქოს 1918—1920 წლებში საქართველოში არ გამოდიოდა არალგვალური ბოლშევიკური გაზეთები. (ეს მხედლები პირველად გაზეთ „იმპუნისის“ პირველ ნომერში იყო გამოთქმული).

ჯერ კიდევ გაზეთების — „ბრძოლის“, „კავკასუსკი რაბორი“, „ბანჯორი კრივის“ აგრძელებისთანავე (1918 წლის თებერვლიში) ბოლშევიკებმა შესძლეს 10 თებერვალს გამოთქმულ გაზეთი „კავკასუსკია პრედა“, შემდეგ კი ამავე თვეში გაზეთ „ბანჯორი კრივი“ ნაცვლად გომოსტეს „ბანჯორი“. სხვადასხვა ქალაქში გამოდიოდა გაზეთები: „რე-



ზ. კაპანაძე

ავანცება გურიაში.

ნი ბრძოლა“, „მუშის ბრძოლა“, „კავკასკაცია პრავდა“, „სუსუსკაცია პრავდა“, „ბრძოლა“ (კავკავი); 1919 წლია მარტში და ზაფხულში — „იხესტია“, „ვოლნი“, „რაბოინი“, „რაბოინი პუტ“, „მუშათა ბიულეტენი“.

როცა შეუძლებელი ხდებოდა არალეგალურ პირობებში გაზეთების სტამბური წესით გამოშვება, პარტიული ორგანიზაციები ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებს უშვებდნენ. მაგალითად, ოზურგეთის მაზრაში უშვებდნენ ორკვირულ ხელნაწერ ჟურნალ „კომუნისტს“, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1919 წლის 15 ივლისს, მეორე კი — 10 აგვისტოს. გამოქვეყნებული სტატიების — მოწინავე, „რედაქციისაგან“, „მენშევიკები ძველთა და ახლთა“, „რა მალე ხვდები“, „სიმართლე საბჭოთა მთავრობის შესახებ“, „გერალდი, ბერნი, მოსკოვი“, „ჩვენი პრესა“, „სოფლებში“, „მკითხველებს“ და სხვ. ანალიზი გვიჩვენებს, რომ „კომუნისტს“ განაგრძობდა საქართველოს ბოლშევიკური პრესის კურსს ოქტომბრის იდეების გამარჯვებისათვის საქართველოში, მხარს უჭერდა მსოფლიოს რევოლუციურ პროცესს, ამხელდა მენშევიკების სიყალბეს და ჭორებს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ჟურნალ „კომუნისტის“ მეორე ნომრის მოწინავეში ის ახრია გატარებული, რომ კომუნისტური რევოლუცია მთელ მსოფლიოში ღრმავდება, ვითარდება, რომ „ჩვენი წმინდა მოვალეობაა ხელი შევეწყოთ საერთაშორისო კოკონის დათვებას, რომელიც დასწავას ბურჟუაზიულ რეაქციის ტახტებს“.

სტატიებში „ჩვენი პრესა“ გაკრიტიკებულია გაზეთ „ერთობის“ № 166, რომელიც ლანძღვა-გინებით იხსენიებს ბოლშევიკებს.

1919 წლის ზაფხულში ხევის თემში (გურია) გამოვიდა ხელნაწერი ეუმორისტული ჟურნალის რამდენიმე ნომერი. ერთ მათგანში მკაცრად იყო გამართახებული მენშევიკური ჯარის ოფიცერი აზნაური ჯაყელი (იხ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფონდი № 8, აღწ. 3, საქმე 57, ფურც. 83).

ბოლშევიკი ჟურნალისტები ციხის საკანებშიც არ სწყვეტდნენ საქმიანობას. შემონახულია ცნობები, რომ 1919 წელს მეტეხის ციხეში გამოცემს პატარა ფორმატის ხელნაწერი ეუმორისტული გაზეთი „ანათმას გესლი“.

1920 წელს აპრილში ქუთაისის ციხეში გამოიცა არალეგალური ხელნაწერი გაზეთის „ციხის კომუნის“ რამდენიმე ნომერი (იხ. ჟურნალ „რევოლუციის მატანე“ № 1 (29) 1929 წ.). ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთები იგივეთი მოვლენაა, საერთოდ, ბოლშევიკური პრესის ისტორიაში. იგი მიუთითებს ქართველი ბოლშევიკ-ჟურნალისტების დიდ და ენერგიულ საქმიანობაზე.

არალეგალურ პირობებში ბოლშევიკურ ორგანიზაციებს რსდმპ (ბ) საშარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით მუშაობა არ შეუწყვეტია. მუშაობას განაგრძობდნენ კომკავშირული ორგანიზაციებიც, რომლებიც ჯერ კიდევ 1917 წლის შემოდგომაზე წარმოიშვნენ. მათ ჰქონდათ თავიანთი ბეჭდვითი ორგანოები („მესამე ინტერნაციონალი“, „ახალ-გაზრდა კომუნისტი“).

იზრდებოდა და მტკიცდებოდა რევოლუციისათვის მებრძოლთა ძალები. 1918—1920 წლებში მუშები და გლე-

(გარბელება მე-8 კვარტზე).

ი. პატაშვილი

დვარდთი მიწის შესახებ.



ხები აქტიურად ჩაებნენ რევოლუციურ ბრძოლებში. მუშათა საკავშირეო მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო, განსაკუთრებით ძლიერი იყო უკმაყოფილება გლეხების, გლეხთა აჯანყებებმა მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ, მოიცავდა თითქმის მთელი საქართველო.

რევოლუციური გამოსვლები იმდენად ძლიერი იყო, რომ მენშევიკებმა მათ ჩასაქრობად მოიშველიეს დასავლეთის იმპერიალისტთა ვარდები.

დასავლეთის ორიენტაცია კი მენშევიკებმა ადრევე აიღეს. ამის შედეგი იყო ის, რომ საქართველომ დათარგმობდნენ ჯერ გერმანიას და თურქთა, შემდეგ კი ინგლისელ იმპერიალისტთა ვარდები.

ქართველი მენშევიკების აშკარა კავშირი გერმანულ, თურქ და ინგლისელ იმპერიალისტებთან ნიშნავდა არა საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვას, არამედ მის ოკუპაციას, ბრძოლას ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ.

„თქვენ ყველამ კარგად იცით, — წერდა ვ. ი. ლენინი. — რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ყოველად აშკარა მოტყუარად იქცა — სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანული იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიზმების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ (იხ. ზ, ტ. 28, გვ. 7-8).“

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა გენერალმა კუპკოლისმა 1919 წლის 8 აპრილს გამოსცა ბრძანება გაუცხვების შეწყვეტისა და მუშების მიერ სამუშაოს თვით-სუბიუგად მიტოვების წინააღმდეგ. 1919 წლის 14 აპრილის ბრძანებით გუბერნატორმა დაშალა ბათუმის ოლქის მართვის საბჭო. ამავე დროს მან დაიტოვა უფლება ამა თუ იმ გაუხეთის დახურვაზე, ან ახალი გაუხეთის გამოცემაზე. (იხ. „საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლა საქართველოში“, გვ. 404 — 406).

საბჭოთა რუსეთისათვის მძიმე ვითარებაში, როდესაც გაძლიერდა დენიკინის საფრთხე, 1919 წლის 9 ივნისს ოკპ (მ) ცკ-ის „იხუებტაში“ დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის მიწა დაწერილი ოკპ (ბ) ცკ-ის წერილი პარტიული ორგანიზაციებისადმი — „ყველაფერი დენიკინთან საბრძოლველად“; რომელიც დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის ფართო პროგრამა იყო. ეს დოკუმენტი საქართველოს ბოლშევიკებისათვის იყო ცნობილი, და მის საფუძველზე მათ გადაეწერა უფრო გააქტიურებს მუშაობა მენშევიკებისა და ინგლისელი ოკუპანტების წინააღმდეგ, რომლებიც ზურგს უმაგრებდნენ დენიკინს.

მენშევიკებისა და ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმული იყო პრესაც. 1919 წლის ნახევალში გამოშვებულ გაზეთებში: „კოლხა“, „რაზიონი“, „რაზიონი პეტკ“ სისტემატურად ბეჭდავდნენ წერილებს, რომლებიც შრომებულებს სწორად წარმოუდგენდნენ მდგომარეობას სამოქალაქო ომის ფრონტებზე საბჭოთა რუსეთში, აშუქებდნენ, საქართველოს ამბებს, აცნობდნენ მკითხველებს თუ როგორ ესწრაფებოდნენ მენშევიკები სიტყვით და საქმით დენიკინს ბანდებს.

გაზეთი „რაზიონი“ თავის პირველ ნომერშივე აუწყებდა მასებს, რომ მენშევიკები შეუთანხმდნენ რუსეთის კონტრ-რევოლუციას და ლოზუნგი — „ყველაფერი დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად“, შეკვალეს ლოზუნგით: „ყველაფერი ბოლშევიკების წინააღმდეგ“.

საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ აცხადებდა და პროპაგანდა გააძალა საოკუპაციო ვარდებშიც. იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა ბროშურები და პროკლამაციები ინგლისურ ენაზე (იხ. საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, ნაწ. 1, გვ. 445).

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ქართველი მენშევიკები საქმეს ისე წარმოვიდგინდნენ, რომ მათ ბრწყინვალედ გადასტუმრეს ეროვნული საკითხი, გამოყენენ საბჭოთა რუსეთს და შეეძინეს ვითომად დამოუკიდებელი რესპუბლიკა. ისინი სხვა წერილებურეკლამულ პარტიებთან ერთად ქართველ კომუნისტებს ბრალად სიდმენდნენ თათიგამორკვევის უარყოფას, საბუთად კი მისი მოქონდათ, რომ თქვენ საქართველოს რუსეთიდან გამოყოფის წინააღმდეგი ხართ.

გაზეთი „საქართველოს კომუნისტი“ სტატიაში „ეროვნული თვითგამორკვევა“ კონკრეტული ვითარების შესახებ მისად სწორად, ლევიზურად აშუქებს ეროვნული საკითხს. მასში ვითხოვლობთ: „ქართველი კომუნისტები აღიარებენ განთავისუფლებების უფლებას, მაგრამ ამ უფლებითა ეწინააღმდეგებიან შექმნილ პირობებში ქართველი ხალხისათვის არ არის სასარგებლო, რადგან საქართველოს და მის პროლეტარიატს მოსწყვეტდა საბჭოთა რუსეთის რევოლუციისგან და ნაძლიერად იმპერიალიზმის კლანჭებში ჩაგდებდა“ (№ 7, 1920 წლის 25 ივნისი).

1920 წლის დასაწყისიდანვე რადმ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი აღიერებს თავის მუშაობას. მოღვაწეობას ახალგაზრდა თბილისელი ბოლშევიკები, ძლიერდება ყურადღება პრესისადმი. გამოხატულ იწყებს რადმ(ბ) თბილისის კომიტეტის ორგანო რუსულ ენაზე — გაზეთი „კომუნისტი“. პირველ მასამდე ამ გაზეთის 6 ნომერი გამოვიდა. 18 აპრილს გამოვიდა არალეგალურ გაზეთ „კომუნისტი“ (ქართულ ენაზე) პირველი ნომერი. შემდეგ ორივე ეს გაზეთი აგრძელეს.

პრესისა და საგამომცემლო მუშაობაში გარკვეული წვლილი შეჰქონდა ტექნიკურ კოლეგას „ტექნიკოსი“. რომელიც პარტიის მითითებით შეიქმნა უმთავრესად კომედიანო-ლევისაგან. იგი ხელს უწყობდა არალეგალური ლიტერატურის გამოცემას და გაგრცხლებას.

1920 წლის 7 ივნისს სახუც ხელშეკრულება დაიდო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და საბჭოთა რუსეთის შორის. ამ ხელშეკრულების ძალით ბოლშევიკური ორგანიზაციები საქართველოში ლეგალურებულ იქნა. შეიქმნა საქართველოს კომუნისტური პარტიის დროებითი ცენტრალური კომიტეტი. ჩატარდა პარტიის წევრთა სხვა-სალი რეგისტრაცია. ლეგალურად დაიწყო მუშაობა კომპარტმა. ბოლშევიკებმა პრესისა და გამომცემლობის მუშაობა გაშალეს ლეგალურად.

1920 წლის 3 ივნისს ლეგალურად გამოვიდა გაზეთი „კომუნისტი“ პირველი ნომერი. ამ მოვლენას ერესულგოდან მისაღმწენ შრომებლები მიტინგებსა და კრებებზე, თავიანთ წერილებში რედაქციის მიმართ ისინი მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას აღუთქვამდნენ მას, რასაც ასრულებდნენ კიდევაც. ყველაფერი ეს თითქმის წინგადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ მენშევიკებს ხელშეკრულება დადების შემდეგაც არ აუღათ ხელი ბოლშევიკებისა და მათი გაზეთების დევნა-შევიწროებაზე.

გაზეთი „კომუნისტი“ (№ 7, 1920 წლის, 10 ივნისი) წერდა: „ყველამ კარგად იცის, იმ დროს, როდესაც ჩვენ ამხანაგებს ციხეებშიდან უშვებდნენ, ზოგიერი ალგას მთავრობის აგენტები სხვა ჩვენ ამხანაგებს ეჭიდებდნენ და ახლა ბევრი ჩვენი ამხანაგი ამა თუ იმ მიზეზით დატყვევებულნი არიან... იყო შემთხვევები, როგორც თბილისში ისე პროვინციაში, როცა მთავრობის აგენტებმა ჩვენი პარტიული კრებები გარეგეს და პარტიის წევრებზე ძალდატანება იხმარეს“.

14 ივნისს მთავრობის განკარგულებით საგანგებო რაზმის წევრები თავს დაესხნენ გაზეთ „კომუნისტის“ სტამბა-

სა და რედაქციას. თავდასხმის შედეგად გაზეთი აიკრძალა, სტამბა კი დაილუკა.

აკომალუო „კომუნისტის“ ნაცვლად 18 ივნისიდან გამოხვლა იწყო გაზეთმა „საქართველოს კომუნისტის“, ხოლო პირველი ივლისიდან მოვადა გაზეთ „კომუნისტის“ -ის გამოცემის საკითხი რუსულ ენაზე. ეს გაზეთები განაგრძობდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლას. 17 ივლისს კვლავ განმეორდა თავდასხმა და გაზეთების აკრძალვა. თავდასხმის დროს რედაქციამ მთელი თანამშრომლები დააპატიმრეს. ამ თავდასხმის შესახებ წერდა გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ თავის 1920 წლის № 2-ში.

რეპრესიები, თავდასხმები და დარბევები ბოლშევიკებისა და მათი გაზეთებისათვის ართულებდა მუშაობას. მიიწე მომენტში აყენებდა პარტიას, მის იდეოლოგიურ მუშაობას.

ვ. ი. ლენინისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ს. მ. კირიცი წერდა: „...ქართულის პარტიევიტი შედეგად დააპატიმრებდას, კომუნისტების მარტის ლიკვირებას და ამჟამად პარტია უღრეკად მიიმე მომენტს განიცდის, გაზეთები დახურულია, მთელი რიგი ორგანიზაციები საკვირის ლიკვირებულია. მეფერი აშხანდა საპრობლეში. ბევრნი გადასახლებულნი არიან საქართველოდან... 17 ივლისს ერთდროულად დახურეს ორი კომუნისტური გაზეთი, რომელთა აქ გამოდიოდა. ყველა თანამშრომელი დააპატიმრეს. დღეს აშხანებდა შეაქეთ განცხადება ახალი გაზეთის გამოშვების შესახებ.“ (გზ. „კომუნისტის“ 20 წელი, კრებული, თბილისი, 1940 წ. გვ. 36).

რეპრესიებმა ვერ ააღივინა ბოლშევიკებს ხელი ახალი გაზეთების გამოცემაზე. „კომუნისტის“ და რუსული „კომუნისტის“ -ის ნაცვლად მოხერხდა „ახალი კომუნისტის“, უფრო მოგვიანებით კი „კომუნისტ გრუზიას“ და „კარბის სტაბ“-ის გამოშვება.

თუ მენშევიკურ მთავრობას სამხედრო ძალით ეხმარებოდნენ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტები, მათვე არანაკლებ დახმარებას უწყევდნენ იდეოლოგიურ სფეროში გაკორტრებული II ინტერნაციონალის ბელადები, რომლებიც 1920 წლის შემოდგომაზე ეატყმრნენ საქართველოს. რიგორც კი ცნობილი გახდა საქართველოში II ინტერნაციონალის მოციქულია მოსალედილი ჩამოსვლის შესახებ, გაზეთებმა დაიწყეს მზადება „სტუმრების“ შესახებდრად. 1920 წლის 14 სექტემბერს გაზეთმა „ახალმა კომუნისტმა“ გამოაქვეყნა სტატია „ვის აიან ისინი?“. ქართველი მენშევიკები ირწუხებოდნენ, რომ „ესენი არიან ევროპის სოციალისტური პროლეტარიატის წარმომადგენლები, მისი სიამაყე და დიდება“. მაგრამ სტუმრ ხაზს უსვამს სა-სოციალისტური, ამიტომ იგი სვამს კითხვას — შეიძლება თუ არა მივესალმეთ მათ? და იქვე პასუხობს — რასაკვირველია, არა.

„ჩვენი სულის და გულის ამოძახილია: ძირს გაკორტრებული მფორე ინტერნაციონალი!“

„გუმარჯოს პროლეტარულ კომუნისტურ ინტერნაციონალს!“

ამავე საკითხს „ახალმა კომუნისტმა“ და სხვა გაზეთებმა მიუღწევს მრავალი სტატია და კორესპონდენცია, რომლებიც მფორებოდნენ II ინტერნაციონალის ბელადების ჩამოსვლის ნამდვილ მისაზნე.

კ. კუცკომ საქართველოში ყოფნისას დაწერა — „სოციალისტის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში“, რომელიც მენშევიკებმა სასწრაფოდ თარგმნეს გერმანული ხელნაწირად და გამოსცეს ბროზურად. მასში კუცკი ხობტას ასახსნ მენშევიკურ საქართველოს, იწონებს მენშევიკების ერთგულებას II ინტერნაციონალისადმი. აქვე გამოაყენა მან მტრული პოზიცია საბჭოთა რუსეთისადმი.

ოქტომბრის რევოლუციის შედეგად წარმოებულ უდიდეს გარდაქმნებს იგი „ბლანკიზმის“ განხორციელების ვეგეტი-თელა ცდად“ ახსნდება.

„ახალი კომუნისტი“ და სხვა გაზეთები აღღიერებდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკისთვის ნაშრომების პუბ-ლიკაციას და მათს პროპაგანდას. „ახალმა კომუნისტმა“ აქ-აქ შემოკლებით 1920 წლის № № 5-14 ნომრებში გა-მომავყვენა ვ. ი. ლენინის განთქმული ნაშრომი „მეგობრე-ნეობის“ საგამწეილო სენი კომუნისში“. ეს იყო ამ გენი-ალური ნაშრომის პირველი პუბლიკაცია ქართულ ენაზე. და ნაშრომთა გასაგება, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონ-და მას ქართველი კომუნისტებისათვის, რომლებიც ბრძო-ლას ეწეოდნენ ოქტომბრის რევოლუციით შობილი საბჭო-თა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. ლენინის ხელმო-წერილ გაზეთის № 26-ში დაიბეჭდა — „თუისების პო-მექტი ნაციონალურ და კოლონიურ საკითხზე“, № 58-ში — „მესამე ინტერნაციონალი და მისი ადგილი ისტორია-ში“, № 64-ში — „წერილი გერმანიასა და საფრანგეთის მუშებისადმი კომუნისტური ინტერნაციონალის მფორე კორფრების კომისიის შესახებ“.

საქართველოს ბოლშევიკური გაზეთებმა ფართოდ გააყ-ნეს მშრომლებს მარქსის, ენგელსის, ლენინის მოლაყუო-ბის მთავარი მომენტები, მათი დამახებრება საერთაშორი-სო მუშათა კლასის წინაშე. სპეციალური ნომრები მისცეს კ. მარქსს და ფრ. ენგელსის დაბადების 100 წლისთავ-თან დაკავშირებით (1918 წლის 18 მარტს და 1920 წლის 28 ნოემბერს).

1920 წლის 25 ივლისს „ახალი კომუნისტის“ № 1-ში ქართულად დაიბეჭდა ფ. ენგელსის „კომუნისმის პრინცი-პები“ (პირველი 10 კითხვა-პასუხი).

ბოლშევიკური გაზეთების ქვედითობას, მათ წარმოქმ-ბას საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, გარდა თეორიულ-პოლიტიკური ხასიათის სტატეიებისა და გორეს-პონდენციებისა, ხელს უწყობდა მხატვრული ნაწარმოევი-ბის გამოაქვეყნება, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხე-ზის მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით გაუმჯეება.

სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში, მისმა აღ-მავლობამ მოითხოვა იდეოლოგიური ბრძოლის კიდევ უფ-რთ გაძლიერება. მეტი მნიშვნელობა მიეცა ლიტერატური-სა და ხელოვნების შემოქმედების გამოყენებას რევოლუცი-ის ინტერესებისათვის. ეს აუცილებელი იყო, რადგან სო-ციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ მოქმედი ანტიკო-მუნისტური პარტიები სულ უფრო და უფრო აღღიერებდნენ თავიანთ შემოქმედებას მასზე, ცდილობდნენ ისინი განე-წყით რევოლუციის წინააღმდეგ და ამ მიზნით იყენებდნენ პუბლიცისტურ წერილებს, მხატვრულ ლიტერატურასა და ხელოვნების სხვა დარგებსაც.

საქართველოს ბოლშევიკური გაზეთების ტონი, რომლე-ბიც პასუხს აძლევდნენ მოწინააღმდეგეებს, არა მარტო თავდაცვითი, არამედ შემტევიც იყო. გაზეთებში დაბეჭ-დილი ფელეტონები, პუბლიცისტური სტატეიები, ნარეკვე-ბი, ლექსები, პატარა-პატარა მოთხრობები, ნიადღეს უმზა-ღებდნენ სოციალისტურ რევოლუციას, რაზმადნენ მასებს დროშის ქვეშ.

გაზეთი „ბრძოლა“ თავის პირველი ნომრიდანვე იყენებ-და მხატვრულ ლიტერატურას. მ. ცხაკაიას წერილს, რომე-ლიც „ბრძოლის“ პირველი დამარჯვების ლ. კეცხოვე-ლისადმი მიძღვნილი, რევოლუციის ამ რაინდის დასახსი-ათებლად წინ უძღვის ეპიგრაფი ლექსად. რომელშიც ვე-ი-თხულობთ:

„შენა ხარ გმირი შავებდიანი,
დედ ვერა ნახე ნათელშინანი,

სოციალურ განვლვ მოკლედლიანი,
ბნელ, უაწი, ბურუსანი.

ქართველი მენშევიკების მტრული დამოკიდებულება ოქტომბრის რევოლუციისადმი კარგადაა გადმოდგეული 1917 წლის 11 ნოემბერს „ბრძოლაში“ დაბეჭდილ ს. თოდრიას ფელეტონში — „რუსეთი განსაცდელშია“. მენშევიკები დღე-ღამე ელოდებოდნენ ბოლშევიკური მთავრობის დაშლისას. რევოლუციის გამარჯვების მე-13 დღეს „ეთრობის“ რედაქციამ შეტყობინებ ელოდებთან ცნობას სამჭოთა მთავრობის დაშლის შესახებ, მაგრამ ფიქსმა საწინააღმდეგო ცნობა მოიტანა. „გელსინფორსი, დელან-დიანი რევოლუცია დაიწყო, რჩინიზებით მიმოსვლა შეწყდა... კალედინის დეპუტა კავკასიის მთავარსარდალთა: პეტროვადი, მოსკოვი, ვორონეჟი, სარატოვი, ცარიცინი ბოლშევიკების ხელშია...“

ველას ნაყრისფერი დაღო. ენა დაებთ. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ უცხოეთის გაზეთები და ქვეყნის შინაგანი კონტრრევოლუციის ბოლშევიკების აბრლებდნენ ვანდალიზს, მუხუშების სხასხლები, ხანხილ მებატახეთა „მაშულები“ და კვლსციების ხეჩევა-განდაღურებას. ყოველივე ეს პროვოკაციული მინაჭოთი იყო.

გაზეთ „ახალ კომუნისტში“ 1920 წლის (3 სექტემბერს) დაბეჭდილ ა. ლუნინარსკის სტატიაში უარყოფილია მოწინააღმდეგეთა „მტკიცება“ ბოლშევიკების ვანდალიზმის შესახებ. ავტორი წერს, რომ „ჩვენი შევიძლია სიაბამყით და გადაჭრით უკუგავდით ეს ბრალდება და ვთქვათ, რომ ჩვენი მოვიმოქმედეთ სასწაულები ამჯარა ძელთა დაცვის საქმეში“. კიდევ უფრო ძლიერად ეძღვრს ეს სიტყვები დღეს, როცა კომუნისტური პარტია და სამჭოთა მთავრობა, მთელი საზოგადოებრიბა დაულაღვად ზრუნავენ ხელოვნების სიძველეთა დაცვისათვის.

კულტურის საკითხები ეგებო მაქიმო გროკის სტატია „ორი კულტურა“. მასში ავტორი ავითარებს თვალსაზრისს ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ქალაქისა და სოფლის კულტურული ურთიერთობის შესახებ. წერილში ავტორის მოულოდნელ მსოფლიოს ინტელიგენციას, რომ „შეჭირის მთელი ენებრია იმ კლასს (მუშათა კლასს — გ. ა.), რომლის ფსიქიური თავიებურებანი უზრუნველყოფენ აწინადღეს განვითარებას კულტურის პროცესისას, და საკამო უნარი შესწევს რომ ააჩქაროს ამ პროცესის ტემპი“.

ამავე თემას მიეძღვნა რ. კალაძის სტატია „პროლეტარული კულტურა“, რომელიც „ახალმა კომუნისტმა“ დასტანა მათვის 1920 წლის 5 და 7 სექტემბრის ნომერში.

ლიტერატურისა და ხელოვნების აქტუალურ პრობლემას, მის საკონტრბოტო საკითხებს მიეძღვნა ჟურნალ „ხელოვნების“ პირველი და მეორე ნომერები (ამ ჟურნალმა გამოსვლა იწყო 1921 წლის 6 ივნისს).

1920 წლის 7 ნოემბერს საბჭოთა რუსეთის მშრომელებმა, მიუხედავ პროგრესულმა კაცობრივმა საზეიმო ვითარებამ აღნიშნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამი წლისთავი.

საქართველოს მშრომელებმა, მათმა ავანგარდმა — კომუნისტურმა პარტიამ და ბოლშევიკურმა გაზეთებმა აღრუვე დაიწყეს მზადება ამ დღისასწავლისათვის. „ახალმა კომუნისტმა“ რადენიმე ნომერში გამთავკვეყნა მ. ორახველაშვილის სტატია, რომელიც ეხებოდა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირობებს, მდგომარეობას სამჭოთა რუსეთში, მის წარმატებებს მომართ ბრძოლაში და იმ ბრწყინვალე პერსპექტივებს, რომლებიც ახალგაზრდა სამჭოთა რესპუბლიკის წინაშე ისახებოდა. 7 ნომებერს გამოვიდა გაზეთების სპეციალური ნომერი. ამ თარიღს მიეძღვნა სპეციალური ჟურნალი „დიდი პროლეტარული რე-

ვოლუცია“, რომელიც ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე გამოვიდა. გაზეთებმა ამხილეს მენშევიკების ბატონობის სამი წლის შემდეგ, რომელიც უღრესად მძიმე იყო. „მენშევიკების სამი წლის ბატონობამ, — წერდა „კომუნისტ გზუხში“ 1920 წლის 8 დეკემბერს, — ქვეყანა სრულ დანგრევამდე მიიყვანა“.

ქართველი მენშევიკები კი იმის ნაცლვად, რომ მიიღოთ ზომები და გამოეყვანათ ქვეყანა მძიმე მდგომარეობიდან, ებლატებოდნენ ძველს.

„ახალი კომუნისტი“ (№ 70, 1920 წლის 17 ოქტომბერი) სასტიკად კიცხავდა მენშევიკების ასეთ საქმიანობას იგი წერდა: „არა ძველი წყობილების აღდგენა, არამედ ახალი წყობილების შექმნა, — მო რა გამოიყვანს კაცობრიობას (და არა მარტო საქართველოს) უკვე მძინვარე კატასტროფიდან.“

სოციალიზმი და არა კაპიტალიზმი, ახალი წყობილების შექმნა და არა ძველის აღდგენა. აი რით უნდა იხელმძღვანელოს მუშათა კლასმა, რომლის ის სერიოზულად ცდილობს კატასტროფიდან თავის დღწევას.“

მენშევიკებმა მხოლოდ საფარი შეინარჩუნეს სოციალისტური. სინამდვილეში მათ უარყვეს სოციალიზმი და მის ამკარა მტრებად იქცნენ. მენშევიკური სოციალიზმის შესახებ „ახალი კომუნისტი“ მიწინავეუნი წერდა: „კატასტროფა კარზეა მომხდარი, მარა სოციალიზმი მაინც ვერ გვისხნის, უნდა ვცვალოთ ისევ გაკოტრებული წყობილება აღვადგინოთ როგორმე, ასეთია უკანასკნელი სიტყვა მენშევიკური სოციალიზმისა“ (№ 73, 20 ოქტომბერი, 1920 წ.).

მენშევიკებს თავიანთი ბატონობის მთელ პერიოდში არ დაუყენებიათ სოციალიზმის საკითხი (არც პერსპექტივად და არც თეორიულად), არც გამოუცათ მარქსის, ენგელსის, ლენინის არც ერთი ნაშრომი.

მენშევიკების ამკარა რეფორმისტული პოლიტიკა ჯერ კიდევ აღმე გამოზღვადნა, თუშეცა მაშინ ისინი ჯერ კიდევ სიტყვით მუშათა კლასს არ იღებდნენ ხელს რევოლუციას. მაგრამ როდესაც ძალადუღვლბას დაებატრინენ, ამკარად დაიწყეს ბრძოლა რევოლუციას წინააღმდეგ.

„ახალი კომუნისტისა“ და სხვა ბოლშევიკური გაზეთების საქმიანობა მიმართული იყო მენშევიკების რეფორმისტული თვალსაზრისის წინააღმდეგ. „ახალი კომუნისტის“ მოწინავენი (1920 წლის 28 ოქტომბერს) ხაზგასმულია, რომ რეფორმების გზა დამღუბველია, რომ ხსნა პროლეტარული რევოლუციანობა.

რაც დრო გაივოდა, მენშევიკური საქართველოს მდგომარეობა სულ უკიდო და უფრო უარესდებოდა. ქვეყანაში შექმნილ მძიმე მდგომარეობას ალიარდებდნენ თვით მენშევიკი მეთაურები, მათი და მათი მოკავშირეების პრესა. ნ. ჟორდანიანი 1920 წლის დეკემბერში განაცხადა: „ქვეყანა კატასტროფისაკენ მიდის, შრომის ნაყოფიერება იწი პროცენტით დავუკ, მიწშილი გაძლიერდა“.

საქართველოს რევოლუციონარული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანოს „საქართველოს“ 1920 წლის № 171-ში ვიკიხობებში: „ჩვენი ქვეყანა მივიდა კატასტროფულ მდგომარეობამდე. სამეურნეო ანარქია, — აი რა ახასიათებს ჩვენს სინამდვილეს“.

მენშევიკური გაზეთი „ბორბა“ დასტურებს ნ. ჟორდანიანს, რომ „რესპუბლიკა განიცდის ეკონომიურ კრიზისს, რომელიც აუტანელ ტვირთად აწვევს მშრომლებს“.

ქებოდა რა კავკასიაში შექმნილ მძიმე ვითარებას, ი. ბ. სტალინი გაზეთ „პრავდაში“ 1920 წლის 30 ნოემბერს საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის შესახებ წერდა:

„საქართველოს კატასტროფიული სამეურნეო და სასურსათო მდგომარეობა ფაქტია, რასაც ახლანდელ საქართვე-

ლის მსგავსეობივ კი აღნიშნავენ, ანტანტის ბაღდადში გახვეული საქართველო, რომელიც ამის გამო დაკარგა, როგორც ბაქოს ნავთი, ისე ყუბანის პური, საქართველო, რომელიც ინგლისსა და საფრანგეთის იმპერიალისტური ოპერაციების ძირითად ბაზად გადაიქცა და ამიტომ საბჭოთა რუსეთთან მტრული ურთიერთობა დამყარდა, — ეს საქართველო ამჟამად თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს თვლის“ (თხზ. ტ. 4, გვ. 446—447).

1920 წლის 16 დეკემბერს ბოლშევიკურ გაზეთებში გამოქვეყნდა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური და თბილისის კომიტეტების, აგრეთვე პროფსინული კავშირების კომუნისტური ფრაქციების ცენტრის მოწოდება საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა ორგანიზაციისა და მშრმელებისადმი.

„პარტიის წევრთა ორგანიზებულ დაკავშირება მშრომელთა გარემოცვულ მოყაროსთან... ნათქვამი იყო ამ დოკუმენტში... მომავალი გამარჯვებისათვის, აი ჩვენი მოწოდება თქვენადმი! ბრძოლა ჩვენი პარტიის ლეგალური არსებობისათვის ახალ პერიოდში შედის. ეს ბრძოლა არცერთი საათით არ უნდა შეერწყოს.“

მშრომელთა ადვოკატი დღე აღოსოვს: კომუნისტების სხივები ეფინება მშრომელ საქართველოსაც. გაუმარჯოს კომუნისტებს!“

ამ მოწოდების დასტამბვა საბაბი შეიქმნა ბოლშევიკური გაზეთების აკრძალვისა. 18 დეკემბრიდან ბოლშევიკური გაზეთები დაბრ გამოსულა. მხოლოდ სომხური გაზეთი გადარუხა აღარუხა დეკემბრის ბოლომდე, შემდეგ კი ისიც დაბურეს.

1920 წლის დასასრულსა და 1921 წლის დასაწყისისათვის საქართველოში მომწიფდა რევოლუციური კრიზისი, უშუალო რევოლუციური სიტუაცია, მენშევიკური ხელისუფლების შენარღვებული აჯანყების გზით დამხობისათვის. საქართველოს კომუნისტური პარტია ამ დროისათვის 9 ათასზე მეტ კომუნისტს ითვლიდა და უკვე მძლავრი, მტკიცე მასობრივი პარტია იყო.

ბოლშევიკების გავლენის გაძლიერებას ადასტურებდა არა მარტო მათი პრესა, არამედ მოწინააღმდეგეთა გაზეთი „საქართველოც“. „ბოლშევიკურმა მუშაობამ ჩვენში — ვერად, „საქართველოც“... ფართო ხასიათი მიიღო. ქვეყნის მივინთი იზრდებიან ბოლშევიკური ძალები, გაერთიანებული სრული ბატონობა...“ (7 დეკემბერი, 1920 წ.).

საქართველოს მშრომლები გამოდილობით დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ კომუნისტური პარტიის მეთაურობით შეიძლება მათი სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლება.

მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ქართველი ხალხის შეთარღვებულ გამოსვლამ, რომელსაც კომუნისტური პარტია წარმართავდა, უმაღლეს წერტილს მიღწავა 1921 წლის თებერვალში. პარტიის მითითებით აჯანყების ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი. კრიტიკულ მომენტში, როდესაც აჯანყება კლმინიკურ წერტილს აღწევდა, გამოსხატვდა რა საქართველოს მშრომელთა ნება-სურვილს, რევკომმა დახმარებისათვის მიმართა საბჭოთა რუსეთს, დიდ ლენინს.

საბჭოთა რუსეთისა და წითელი არმიის ძმურმა დახმარებამ დაარქავა ქართველი ხალხის დაუძინებელი მტრების — მენშევიკებისა და მათი დამკჳმების რეჟიმის დაცემა და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება.

1921 წლის 25 თებერვალს თბილისში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მასშვებელი წითელი დროშა აღვირვდა, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობათ ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს.

ვ. ი. ლენინი, რკპ (ბ), საბჭოთა რუსეთის მშრომლები, აღვითოვანებით მიესალმნენ ამ უდიდესი მნიშვნელობის მოვლენას ქართველი ხალხის ცხოვრებაში. 2 მარტი ვ. ი. ლენინმა გ. კ. ორჯანიკიძეს გადასცა წერილი, რომელშიაც იგი მხურავდად მიესალმებოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას. ამავე წერილში მოცემული იყო საქართველოს კომპარტიის მოქმედების სანბოლო პირობა საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცებისა (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 32, გვ. 189-190).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას სპეციალური წერილით მხურავად მიესალმა ჩვენი პარტიის ცკ-ის ორგანო, ბოლშევიკური პრესის მებარჩხტრე გაზეთი „პრავდა“.

„თბილისში, — ვკითხულობთ ამ წერილში, — უკვე აღარ არის მენშევიკური მთავრობა. საქართველოს დედაქალაქი აჯანყებულთა ხელშია, რევოლუციური მუშების და გლეხების ხელშია... ახლა შეიძლება იმედი ექონიოთ, რომ კავკასიაში შეიკვლება ძმური საბჭოთა რესპუბლიკების წრე — აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო. შეწყდება კავკასიის ხალხთა ეროვნული მტრობა, საბჭოების ოჯახს შეეერთდება ახალი საბჭოთა რესპუბლიკა. სალამი თქვენი, ქართველო ამხანაგებო!“

სალამი „წითელ თბილისს!“ („პრავდა“, 2 მარტი, 1921 წ.).

საქართველოს ბოლშევიკურმა გაზეთებმა („კომუნისტმა“, და „პრავდა გურიში“), რომლებმაც გამოსვლა იწყეს 1921 წლის 2 მარტიდან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტთან ერთად ქართველ ხალხს მიიღოცეს დიდი ისტორიული გამარჯვება, სოციალისტური რევოლუციის განხორციელება. ასეული ათასობით მშრომელი ამ გაზეთების საშუალებით გაეცნო ვ. ი. ლენინის ისტორიულ მოწოდებას საქართველოს კომუნისტებისა და რევკომისადმი.

გაზეთი „კომუნისტი“ 1921 წლის 2 მარტის პირველ ნომერში წერდა: „აღსრულდა! საქართველოს მშრომელმა ხალხმა წითელი რუსეთის დახმარებით დაასხვრია, ნაკუწ-ნაკუწად აქცია მენშევიკური ბატონობის რაჳსები. თითქმის ოთხი ხანგრძლივი წელი გაგრძელდა ეს ბატონობა... მენშევიკური პარტიის ამ ოთხი წლის ბატონობამ ნათლად დააახზვა ყველას, რას ნიშნავს მუშათა კლასისა და სოციალისტურ მზა მოღალატეთა, კომუნისტურ რევოლუციამზე ბრახშორეული, წვრილბურჳვზიული დიქტატურა“.

1921 წლის ივნისიდან გამოსვლას იწყებს ორკვირეული ეურნალი „ხელოვნება“, რომელშიც დაიწყო ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხების სპეციალური გაშვება მარკსისტულ-ლენინური პოზიციებიდან.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით ახალი ბრწყინვალე ფურცელი გადიშალა საქართველოს ისტორიაში. ქართველი ხალხი მზად თავისი ქვეყნის ნაშობი ბატონ-ბატონი. ლეკვიდრებულ იქნა ყოველგვარი ექსპლოატაცი-და ჩაგვრა, ამაღლდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და კულტურა.

ახალი წყობილების დამყარების შემდეგ მიენიერების ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა დარგზე ზრუნვა სახელმწიფოს ხელში გადავიდა. იგი მოლიანდა ჩაყენებულ იქნა ხალხის სამსახურში. ხალხის წიაღის გამოსულა ინტელიგენცია სათავგებო უდას ფორმით ეროვნული და მინარჩობი სოციალისტური კულტურის შემდგომ წინსვლას. საზოგადოებრივი პროგრესის კეთილმოზილურ საქმეში, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს პრესასაც.

აკოლონ ქუთათელაძე სსრ კავშირის სახალხო მხატვარი



სწრაფი ქართველ ხელოვანს, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ა. ქუთათელაძეს მიენიჭა სსრ კავშირის სახალხო მხატვრის საპატიო წოდება. მხატვარმა წინააღმდეგობით აღსავსე დიდი შემოქმედებით გზა გახელო.

მისმა ნიჭმა და მხატვრობისადმი დაუცხრომელმა სწრაფვამ ფართო ასპარეზი მოითხოვა. ამიტომ ახალგაზრდა აპოლონი ჯერ „კავკასიის მხატვართა წამახალისებელი საზოგადოების“ სასწავლებელში შედის, შემდეგ კი მხატვარ ბ. ფოგელის ფერწერის კურსო სკოლაში იღრმავებს ცოდნას. მალე იგი საბჭოთა არმიის რიგებშია და მხარდამხარ იბრძვის სამშობლოს დამცველებთან ერთად.

1922 წელს აპოლონ ქუთათელაძე ახლად დაარსებული სამხატვრო აკადემიის პირველი სტუდენტია, აქ იწყება მისი სერიოზული პროფესიული დაოსტატების, ჭეშმარიტი, რეალისტური პრინციპების გზა. მომავალი ხელოვანის შემოქმედებითი ჩამოყალიბების, მისი მხატვრული სტილის დახვეწას თვალყურს ადევნებდნენ ისეთი დიდი ხელოვანნი, როგორებიც იყვნენ: გიგო გაბაშვილი და ცნობილი ფერმწერი, გრაფიკოსი ე. ლანსერე.

მხატვრობის საიდუმლოებათა კიდევ უფრო ღრმად ჩაწვდომის მიზნით აკადემიის დამთავრების შემდეგ მიემგზავრება ლენინგრადში, ხოლო შემდეგ იწყებენ მოსკოვში სხვადასხვა სამუშაოთა შესასრულებლად.

მალე იგი სამშობლოში ბრუნდება და იწყებს ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას.

აღსანიშნავია სამშობლოს სიყვარულით შთაგონებული ადრეული თემატური ნამუშევრები „1905 წელი საქართველოში“, „ნაპატივის ბრძოლა“, „წითელი დროშა“, საინტერესოა მშობლიური კუთხის ამსახველი პეიზაჟებიც („ზინი“, „მათხოი“), რომლებიც თავისი კუთხისადმი დიდი სითრთოთა გამსჭვალული.

ა. ქუთათელაძეს გეოთენის ქართველ მწერალთა ნაწარმოებების ილუსტრაციები. აგრეთვე ვაჟას, ილიას, აკაკის, ნ. ბარათაშვილის პორტრეტები, რომლებშიც მხატვარმა ოსტატურად, ნათელი ფერებითა და მკვეთრი მონასმებით მოგვცა მათი შინაგანი, მდიდარი სამყარო.

საქართველოს ისტორიის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით არის აღბეჭდილი პატრიოტულ თემებზე შექმნილი ტილოები „ეპიზოდი თამარ მეფის ცხოვრებიდან“, „თამარ მეფის ლაშქრობა“, „საკაძე მარაბდის ომში“ და სხვ.

აპოლონ ქუთათელაძეს, მრავალ ინდივიდუალურ თუ საერთო გამოფენებში მიუღია მონაწილეობა და ყველგან განსაკუთრებული ინტერესით ეცილებიან მის ნამუშევრებს.

იგი მრავალმხრივი ფერმწერია, მისი მდიდარი ფანტაზია, მხატვრის განსაკუთრებული ნიჭი, ფართო ერუდიცია თავისუფლად გასწვდა მხატვრობის თითქმის ყველა ჟანრს. მხატვრის ნათელი, რეალისტური ხედვით, ინდივიდუალობით და სწორი გააზრებითაა აღბეჭდილი შესანიშნავი კომპოზიციური ნაწარმოებები: „ს. ორჯონიძე ჩრდილოეთ კავკასიაში“ (1934 წ.), თემატური კომპოზიციები „მათუ-მის მუშების პოლიტიკური დემონსტრაცია 1902 წელს“, დიდი სამამულო ომის ამსახველი ტილოები: „გმირი დამცველები“ და სხვა ცხადყოფენ, რომ ქართულ სახვით ხელოვნებას ჰყავს შესანიშნავი შემოქმედი, რომელიც დღესაც ახალგაზრდული შემართებით განაგრძობს მოღვაწეობას და სათავეში უდგას ეროვნული მხატვრობის სამყედლოს, თბილისის სამხატვრო აკადემიას.

ქურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქცია სულითა და გულით მიესალმება და ულოცავს ქართველი ერის საამაყო შვილს, გამოჩინულ ქართველ მხატვარს — აპოლონ ქუთათელაძეს სსრ კავშირის სახალხო მხატვრის საპატიო წოდების მინიჭებას.



ლენინის სახელობის მოედანი ერევანში.

გ ბ კ ი ც ე ლ, თ ა ნ ე ი ე ლ ე ზ რ უ ლ ა ლ

— წინსვლა დაძლევის ნიშნავს... წინსვლითა და სიძნელეების გადალახვით გაიარა თავისი დიდი გზა ჩვენმა კინომ, — ამხანაგმა გეგორგ ჰაირიანმა ამ სიტყვებით დაიწყო საუბარი სომხური ჟურნალის „სოვეტკან არვესტის“ კორესპონდენტთან, — მრავალმხრივია ჩვენი აღმავალი გზის მონაპოვარი და რაკი ამ გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯების გასხენება და მისი შეფასება მოგვიწევს, ფიქრით იმ უპირველეს შემოქმედებით საწყისებს უნდა მივწვდეთ, რაც საფუძვლად დაედო ჩვენს წარმატებებს, ჩვენს შემოქმედებით გამარჯვებ-

საუბარი სომხეთის სსრ მინისტრთა საბაოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტატის თავმჯდომ.

გარა ბ. პაირიანთან

ბებს. კარგად არის თქმული: მხოლოდ სოციალისტური რევოლუციით გამარჯვებული, თავისუფალი ქვეყანათუ შეძლებს ჭეშმარიტი კინოს ღირსეული სახის შექმნასო. და შემთხვევითი როდია, რომ სწორედ საბჭოების ქვეყანაში იშენენ კინოხელოვნების ისეთი დიდი მასშტაბების რევოლუციონერები და რეფორმატორები,


როგორებიც არიან: ეიზენშტეინი, პუდოკინი, დოფენკო, ვერტოვი, შუბი, კულეშოვი და სხვანი.

საბჭოთა ხელოვნების და, განსაკუთრებით, კინოს ერთ-ერთი მთავარი თავისებურება მისი მრავალეროვნული ბუნებაა. როცა ჩვენ საბჭოთა კინოს მონაპოვარზე გვიხდება საუბარი, მხედველობაში გვაქვს ეროვნული კინემატოგრაფია, მისი დიდი გამარჯვებები. საბჭოთა რესპუბლიკების წარმატებები ამ მხრივ ახლა აღარავის უკვირს. მათ საკუთარი, მხოლოდ მათთვის ნიშანდობლივი შტრიხებით გაამდიდრეს კინოხელოვნება და ხშირ



არამ ხაჩატურიანი თავის სტუდენტებთან (მოსკოვი).

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი გურგენ ჭანიბეკიანი.



შემთხვევაში ისეთ სიმაღლეებს მიაღწიეს, რომ ყოველი ერის სულისა და გონების ნაწილად იქცნენ. ამ მხრივ გამონაკლისს არც სომხეთის კინოხელოვნება წარმოადგენს, თავისი ხალხის დიდებულ წარსულს, აწმყოს, მომავლის ოცნებებს ისიც გულმოდგინედ ემსახურება.

კინო სომხეთს რევოლუციამდე არ ჰქონია. საბჭოთა სომხეთის კინოხელოვნება სოციალისტური რევოლუციის პირმშობია. 1920 წელს ოპერატორმა ლემბერგმა ასტაფიანის ქუჩაზე გადაიღო ერევანში წითელი არმიის მე-11-ე ნაწილის შესვლა. აი, სწორედ ამ ისტორიული დღიდან მიეცა დასაბამი სომხური კინოს განვითარების გზებს.

მაშინ ყველაფერი „პირველი“ იყო, ახალი სპეციალისტებიც, ფილმებიც და კინოფირზე გაცოცხლებული ახალი ცხოვრებაცა და ადამიანებიც. დიდხანს არ გაუვლია და პირველ დოკუმენტურ კადრებს პირველი მსატრეული ფილმები მიჰყვა, რომლებმაც თავიდანვე კარგი სახელი მოუტანა ავტორებსაც და ახლად-

ღვსადგმულ სომხურ კინემატოგრაფიასაც.


ახლა, საბჭოთა სომხეთის ნახევარსაუკუნოვან საიუბილეო წელს, შევიძლება, თამამად ვთქვათ, რომ ჩვენს ეროვნულ კინემატოგრაფიას თავიდანვე მყარი საფუძველი აქონდა, რამაც ჭეშმარიტად შეუწყო ხელი მის შემდგომ შემოქმედებით აღმავლობას. ამ წლებში მაცურებელმა იხილა დაასლოებით ასი მხატვრული და ათას ხუთასი დოკუმენტური ფილმი. სომეხ კინემატოგრაფისტთა ბევრმა ნამუშევარმა მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი საბჭოთა კინოს აქტივში; ეს იყო ჩვენი კინოს მამამთავრის — ჰამო ბეკნაზარიანის ფილმები: „პეპო“, „ნამუსი“ და „ზანგეზური“; ეს იყო „გეიორი“ და „პატიოსნებისათვის“, რომლებმაც მაცურებელთა სიყვარული დაიმსახურა; „საგანგებო დავალება“ და „გამარჯობა, ეს მე ვარ“, „მღვდლის აღთქმა“ და „ტუეტიკი“, „სამკუთხედი“ და „ძმები საროიანები“ და ამასთანავე უაღრესად სინტერესო დოკუმენტური ფილმები: „მშობლიური მიწა“, „მარტიროს სარიანი“ და „შვიდი სიმღერა სომხეთს“.

...ჩვენი საუკეთესო ფილმებისათვის ნიშანდობლივია მხატვრული-იდეური სიმართლე, ჩანაფიქრის ნათელი ხორცშესხმა და ემოციური სიღრმე. კარგ ფილმებთან ერთად, რა თქმა



სახელმწიფო პრემიის ლურჯეტი, სომხეთის სსრ სახალხო მხატვარი გ. ხანჯიანი.

სცენა ბალეტიდან „მრისხანების ტბა“ (კომპოზიტორი გ. ეგიაზარიანი, ბალეტმსტერი მ. მარტიროსიანი).





საბავშვო ნახატების სურათების გალერეა ერევანში.

უნდა, არა ერთი და ორი სუსტი ნაწარმოებიც შექმნილა და სამწუხაროდ, მსგავსი სისუსტეებისაგან მოლიანად არც ახლა ვართ დაზღვეული. უსუსურ, უსიცოცხლო სახეებსა და ყურით მოთრეულ, ყალბად გამოინაგონ სიტუაციებზე აგებულ ფილმებს პრავა ყოველთვის სამართლიანად მკაცრად აკრიტიკებდა. მსგავს შემთხვევებში მაყურებლის თვალა, მისი გემოვნება ყოველთვის უმტყუნარი იყო... მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მარცხიან ფილმებს სვეალოდ, მე ვიტყვი, უსარგებლოდ, არ ჩაუვლია სომხური კინოსათვის, ასევე ფილმებს მე იმ წერილ კენჭებს სვეადარებდი, რომლებიც თუმცაღა იკარგებიან კედელში, მაგრამ სიმარცხის განმტკიცებაში მაინც უხმარებიან. რაც უფრო გადიოდა დრო, გემოვნება უფრო და უფრო იხვეწებოდა და შეცდომებიც ნაკლები იყო. რთულდებოდა, ღრმავდებოდა ძირითადი შემოქმედებითი პრობლემები. მთავარი მაინც ჩანაფიქრის სიღრმე და მხატვრული ხორცშესხმა იყო, წარუმატებლობა კი ყოველთვის სასარგებლო გაკვეთილს წარმოადგენდა. ხოლო უკვე შექმნილის სწორი კრიტიკა, შემოქმედებითი დაუცხრომლობა და ახლის ძიება სომხური კინემატოგრაფიისათვის უცხო არასოდეს ყოფილა.

— ბოლო წლები ჩვენი სტუდიის

ცხოვრებაში განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო; თქვენის აზრით, სომხური კინოს განვითარებისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელი თვისება რა არის?

— აწმყოს ჩვენება... თანამედროვეობის ასახვა ყოველთვის იყო ჩვენი კინოხელოვნების დამახასიათებელი თვისება; და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. მაგრამ არ შევეცდები, თუ ვიტ-

ყვი, რომ არასოდეს ეს დინტერესება არ გამოხატულა ასეთი სიმბოლოებით, ასე ღრმად, ასე თანმიმდევრულად. უაღრესად განსხვავებული თემები, სფეროები. გმირები — აი, რა გახდა ჩვენი სტუდიისათვის ერთი ნიშანდობლივი. ეს შეეხება როგორც ჩვენს დღევანდლობას, ისე, ჩვენგან არც თუ ისე შორეულ — ჩვენს რევოლუციურ წარსულს... ამასთანავე უნდა აღინიშნოს ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი მდგომარეობაც — თანამედროვეობით დინტერესება, მისი გამოხატვის ცხოველყოფილი ცეცხლი სომხურ კინემატოგრაფიაში მუდამ ერწყმოდა და ერწყმის კინოხელოვნების საერთო მიღწევებს. ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ სიტყვა „შერწყმა“ აქ ეპიკონობას როდი ნიშნავს, ეს არის შემოქმედებითი გადიდრების ერთგვარი ზერხი; კინემატოგრაფიის საერთო მიღწევების გამოყენების მიუხედავად ყოველ კადრში არ იკარგება საკუთარი, ერთგული სახე, ხმა, ხასიათები...

ძნელი მისახვედრი სულაც არ არის, რომ მე ტრადიციის გენერალურ ხაზს ვგულისხმობ, რომელიც, ასე თუ ისე, გამოიხატება ჩვენს თითქმის ყველა კინოფიქსზე... დამოუკი-

კადრი ფილმიდან „ჩვენ ვართ ჩვენი მიზეზი“. იშხანი — სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი მღერ მკრტიჩიანი.



დებლად მათი მხატვრული ღირსებებისა.

ახლა წელიწადში სამ მხატვრულ ფილმს ვუშვებთ. ასეთ ვიწრო ჩარჩოებში შეუწყნარებელი დაუდევრობა იქნებოდა საშუალო და, მით უმეტეს, საშუალოზე დაბალი დონის ფილმების გამოშვება. ვიდრე თქვენს მეორე შეკითხვას ვუპასუხებდე, უნდა გამოეტყველ, რომ ამ „ავადსასხენებელ დონეს“ ხშირად როდი ვაღწევთ თავს. მიზანი კი მაინც ნათელია და ჩვენც ყოველნაირად ვცდილობთ გარკვეული სიმძლავრის დაძლევას. სიძნელეები თუმცა დიდია, მაგრამ ყოველ ღონეს ვცდით მათ გადასაჭრელად.

— მაინც რას გულისხმობ?

— წლებს განმავლობაში ჩვენი კინოხელოვნების ყველაზე დიდი საზღვარი სცენარის პრობლემა გახლდათ. ძნელი სათქმელია, თითქოს ეს პრობლემა დღეს მთლიანად გადაჭრილი იყოს, მაგრამ რაკი „არმენ-ფილმის“ სტუდიას სარედაქციო-სასცენო კოლეგია ახალგაზრდა, ნიჭიერი ძალებით შეივსო, რაკი ჩვენთან უფრო და უფრო ხშირად თანამშრომლობენ ჩვენი ქვეყნის ცნობილი სცენარისტები, გამოცდილი მწერლები, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სომ-



სცენა ალ. სპენდიაჩიანის ოპერადან „ალმასტი“.

ხური კინოს სვალინდელი დღე უკვე ველად უკეთესი იქნება. მხატვრული კინემატოგრაფიის გარშემო შემოიკრიბნენ ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლები — ა. აივაჯიანი, პრ. მათეოსიანი, ზ. ხალაფიანი, რ. ჰოვსეფიანი და სხვები.

ჩვენი სტუდიებში დღესაც გრძელდება ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალების მატება. სომხური ფილმების

ტიტრებზე სულ უფრო და უფრო ხშირად ჩანს ახალი რეჟისორების, ოპერატორების, მსახიობების სახელები. ახალგაზრდების მოჭარბებული ენერჯია, მათი ცოცხალი შთაბეჭდილებები, შერწყმული უფროსი თაობის გამოცდილებასთან, გვირგვინი იხუთის სახელებს, ურომლისოდაც თანამედროვე კინო ვერ წარმოიდგინება.

— სომეხი კინემატოგრაფისტები, როგორც აღნიშნეთ, ყოველთვის ცდილობენ ხალხის მრავალმხრივი ცხოვრების, მისი საქმიანობის, მისი მისწრაფებებისა და სულიერი სიმდიდრის გამოხატვას. თავისი საქმიანობის პროფილით ცხოვრებასთან, მის უაღრესად საინტერესო ფაქტებთან პირდაპირ, უშუალო დამოკიდებულებაში კინოლოკუმენტალისტები არიან. როგორ ვითარდება კინოს ეს უაღრესად საჭირო სფერო სომხეთში?

— დოკუმენტური ფილმების შესაქმნელად ყოველთვის დიდი სერიოზულობით მუშაობდნენ და მუშაობენ სომეხი კინომუშაკები. სწორედ მათი წყალობითაა, რომ დღეს ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების ისტორიის ბევრი საინტერესო მოვლენა აისახა კინოფირზე. სომხური კინოს საუკეთესო ფილმებზე ლაპარაკისას, დოკუმენტური ფილმებიდან მხოლოდ

სომეხთის სსრ სახელმწიფო ანსამბლის მოცეკვავენი.



სამი დავასახელე, მაგრამ დასახელუ-
ბის ღირსი სინამდვილეში საგამოდ
ბევრი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ ამ
ფილმების უმეტესობა უკანასკნელ
ათწლეულში შეიქმნა, როცა ბოლოს
და ბოლოს ერევანში გაიხსნა ჩვენი
მეორე სტუდია, რომელიც მხოლოდ
და მხოლოდ დოკუმენტურ ფილმებს
უშვებდა.

ვ. ი. ლენინი კინომუშაკებს მო-
უწოდებდა, კინოფირზე უკვდავყოთ
მისი სახელი, ვინც ისტორიას
აქწმის... ეს მოწოდება, ჩემი აზრით,
უპირველეს ყოვლისა, მიმართული
იყო კინოლოკუმენტალისტებისაკენ,
რომელთა შემოქმედების იდეურ-მხა-
ტრული ხორცშეხების, განსაზღვრე-
ბის ობიექტი და საგანი ფაქტია, მათ
გვერდით მცხოვრები და მოქმედი
თანამედროვე ადამიანია.

როდესაც სომხურ დოკუმენტურ
კინოფირებს უყურებთ, არ შეიძლება
მხედველობიდან გამოგრჩეთ ის გა-
რემობა, თუ ჩვენი დოკუმენტალის-
ტები ცხოვრების საინტერესო, ტიპი-
ური მოვლენებს რაოდენ ყურადღებას
აქცევენ. ისინი სულაც არ ცდილობენ
საშემოქმედო განზრახვას გართულებას,
მის გაბუნებლადანებას, პირიქით, მათი
შემოქმედება თითქმის ყოველთვის
ნათელია და ღრმა.

— თუ შეიძლება, რამდენიმე სი-
ცქვე გვიხსარეთ „არმენფილმის“
სტუდიის ბოლო ნამუშევრებსზე.

— ჩვენმა მხატვრულმა კინომ ბო-
ლო ორ წელს ძალიან გაგვახარა.
„ძმები სართიანების“ გარდა, რომელ-
საც სომხურ კინოში ისტორიულ-
რევოლუციური თემის ფსიქოლოგი-
ურ პლანში განხორციელების ცდის
საუკვეთად დასაბამად ვთვლი, —
ერთმანეთის მიყოლებით თემატურად,
ჟანრობრივად და მხატვრული ჩანა-
ფიქრებით სრულიად განსხვავებული
კიდევ სამი ფილმი იხილა მაყურებ-
ლებმა. ეს ფილმები გახლავთ: ვ. ქა-
რამიანისა და სტ. კვეორცილის „აფე-
თქება შუაღამის შემდეგ“, იუ. ერს-
ნკიანის, „თავდავიწყებაზე გადგე-
ლი ხიდები“ და ს. ფარაჯანოვის
„ბროწეულის ფერი“. ამ ფილმებში,
თუ ერთის მხრივ ნაჩვენებია რვეო-

ლუციური პეროიკა, მისი რეალური
და ამავე დროს რომანტიული ადამი-
ანები, რომელთა გმირობა დიდი და-
ძაბულობითაა გამოსახული და რო-
მელსაც მოზარდი თაობისათვის დი-
დი აღმზრდელითი მნიშვნელობა
აქვს, მეორეს მხრივ ჩვენი თანამედ-
როვე ახალგაზრდები არიან ხორცშე-
ხსნივლი, მათი ფიქრებთანა და მის-
სამყებობით, ისინი ფართოდ გაჭი-
მული, მყარი ხიდებით უკავშირდები-
ან ჩვენი ცხოვრების არც თუ ისე შო-
რეულ წარსულს, შემართებითა და
თავდადებით სულდგმულობენ, ვინც
სამსუბლო ომს თავი შესწირა და სა-
მარადისოდ ახალგაზრდებდა დარჩე-
ნენ. რაც შეეხება მესამე ფილმს —
„ბროწეულის ფერი“ — ეს არის პო-
ეტური სიმბოლოებისა და მეტაფო-
რების საშუალებებით შექმნილი უაღ-
რესესად საინტერესო კინოსურათი, სა-
დაც მეთვრამეტე საუკუნის დიდებუ-
ლი მგოსნის — საიათნოვას პოეტური
ხილვების მომხიბვლელი სამყაროა
გამოცემული, ფილმი საინტერესოა
სრულიად ახლებური სტილით, გა-
მომხატველობითი საშუალებებით,
თავისებურებით. რეჟისორის ცხო-
ველ წარმოდგენებს ფერწერის დიდი
ტალანტი აცოცხლებს. მისი ყოველი
კადრი ფერწერული ტილია, ხოლო
მთლიანად ფილმი — დიდებული გა-
ლერეა. „ბროწეულის ფერი“ გამოხა-
ტავს ხალხის ცხოვრებისეულ სურა-
თებს, მის ზნე-ჩვეულებებს, რამაც
ნაწარმოებს „მიწიერი სული“ ჩა-
უდგა...

სამი ფილმი, სამკვარი მიდგომა,
სამი სიღრმე... საბჭოური სომხური
კინოს წარმატებების საფუძველი და
ხვალინდელი დღე, ჩემის აზრით,
სწორედ ამ სახესვაობებში, ერთმან-
ეთის შევსებასა და გამაიდრებამი
უნდა ვეძიოთ. მე მხოლოდ ასერიგად
შესასწება ჩვენი კინოს აზლი თუ შო-
რი მომავალი. ეს ასეა დღეს და ასე
უნდა იყოს ყოველთვის. საილუსტრა-
ციოდ ორიოდ სიტყვას მოგახსენებთ,
რამდენიმე ფილმზე.

მიმდინარე წელს მაყურებელმა
იხილა თუმანიანიეული აღმანახი
და „ჩვენი ვართ ჩვენი მთები“. აღმა-

ნახს თუმანიანიეულს იმიტომ ვუ-
წოდებთ, რომ მასში დიდი პოეტია
ნაწარმოებების მიხედვით გადაღებუ-
ლი სამი მოკლემეტრაჟიანი ფილმია
გაერთიანებული — „ჩახ-ჩახ მყეფი“,
„ახიანარი“ და „ღარიბის პატიოს-
ნება“.

ფილმი „ჩვენი ვართ ჩვენი მთები“
სოფლის ცხოვრებაზე აგებული, რო-
მელიც პრ. შათავისიანის ამავე სა-
ხელწოდების შესანიშნავი ნაწარმო-
ების მიხედვით ჩვენი ერთ-ერთი სა-
უკვეთო ფილმია — „სამკუთხედის“
რეჟისორმა პ. მალიანმა გადაიღო;
აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი კი-
ნო ჯერ კიდევ საკმაოდ დავალეუბ-
სურათი მხოლოდ რევუნში 300 ათა-
სმა მაყურებელმა ნახა.

დიდი ლენინის დაბადების 100
წლისთავისა და საბჭოთა სოციალის-
ტიკური 50 წლის აღნიშნავად ჩვენი კინო-
ციკლის ერთ-ერთი ფილმი კვლავ ის-
ტორიულ-რევოლუციური თემატიკის
მიქედვნიანია. რეჟისორები — ვ. ქარა-
მიანი და სტ. კვეორცილი, ცენტრალ-
ტ. კაპარალითან ერთად კვლავ და-
პირუნდებიან ლეგენდარულ გამოს,
ფართოდ გახმარებული ფილმების —
„პირადად ვიცნობ“ და „საგანგებო
დავალების“ გმირს. ფილმში მოქმე-
დება სამოქალაქო ომის წლებში ხდებ-
და, სიუჟეტური საფუძველია — ილი-
ჩის ახალი მნიშვნელოვანი დავალე-
ბის შესრულება.

თანამედროვეობა დაგება საფუძე-
ლად მწერალ პ. ზეთუნციანისა და
რეჟისორ ფ. დოვლათიანის ახალ
ფილმს, უკვე ნაცად თემაზე — მეც-
ნიერებისადმი მიძღვნილ სცენარს
წერს ა. ალაბაბოვი.

სომეხი და რუსი ხალხების მეგობ-
რობის თემას ჩვენი კინო კიდევ ერთ-
ხელ დაუბრუნდება ისრაელ ორი-
სადმი მიძღვნილი ფილმით. გადასა-
ღებად მზადდება მ. არმენის „მქე-
ფავე წყარო“.

— როგორ ვითარდება სომეხი და
ქართველი კინემატოგრაფისტების
ურთიერთობა?



— ტრადიციულად სომეხი და ქართველი კინოხელოვანთა შემოქმედებითი ურთიერთობა ბრწყინვალე მაგალითებითაა სავსე. სამისოდ თავისი დროის ქართველ კინემატოგრაფისტებთან მართო ჩვენი კინოს ფუძემდებლის — ჰამო ბეგნაზარიანის უაღრესად ნაყოფიერი შემოქმედებითი თანამშრომლობაც კი კმაროდა. ეს სასურველი თანამშრომლობა, ეს ბრწყინვალე ტრადიცია დღესაც თანმიმდევრულად და ნაყოფიერად გრძელდება, „ბროწეულის ფერის“ დიდი ნაწილი საქართველოში უპირატესად თბილისშია გადაღებული. საქართველოს დედაქალაქში, ქართ-

ველი მეგობრების დიდ დახმარებას დღესაც კარგად გრძნობს კინოფილმ „სათაბლას“ შემოქმედებითი კოლექტივი. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი კინოსმასობების გვერდით სომხურ ფილმში ხშირად ნიჭიერად თანამშრომლობენ ქართველი მსახიობები — ს. ჭიაურელი, ა. კვანტალიანი, გ. გვეგჭორი, მ. თბილელი და სხვანი.

მომავალშიც, რა თქმა უნდა, ამგვარი ურთიერთობები უფრო და უფრო განმტკიცდება.

— ბუნებრივია, ერთ საუბარში ძნელია ჩვენი კინოს, ასე თუ ისე, სრული დახასიათება, მაგრამ სომხ-

რი კინოს დღევანდელი მდგომარეობის შესახებ საერთო დასკვნის გამოტანა იქნებ როგორმე შეიძლოს.

— მიუხედავად იმისა, რომ არის ეგრეთწოდებული „წერილმანი“ საკითხები, თუ ყოველდღიური სიძნელებები დასაძლავი, მიუხედავად იმისა, რომ სომხური კინოს დღევანდელი მდგომარეობა სულაც არ გვეონია ვარდისფრად გაბრწყინებული, დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, რომ სომხური კინო — საბჭოთა კინოს ოჯახის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელი — განაგრძობს თავისი ძნელს, მაგრამ მტკიცე და თანმიმდევრულ აღმავლობას.

აყვავებულ ქვითა არქიტექტურა

არცვინ გრიგორიანი

სომხეთი უძველესი კულტურის ქვეყანა, მხარე-მუხე-უშია, აქ მთავორების მრისხანე პეიზაჟსა და ცისფერ მწვერვალებს შორის, მიუვალ ადგილებსა და ნაირის ამწვანებულ ველებზე მიმოხეულია ასობით ტაძარი, ეკლესია, სასახლე და ციხე-სიმაგრე — სომხეთის ისტორიის ცოცხალი მოწმე. გარნისი, ერმიშაინი, ზვარტნოცი, ანი, რიფსიმე, ახპათი, სანაინი, ჰეგართი... სომეხი ხალხი ქვას ქვაზე ადებდა და ისე აგებდა ამ ნაგებობებს, რომელთაც მსოფლიოს გააცნეს არა მარტო მათ შემქმნელთა მაღალი კულტურა, არამედ მათი შემქმნელი ხალხის ბედიც.

ძველად სომხეთს „ქუაია ქვეყანას“ უწოდებდნენ, ამით ხაზს უსვამდნენ მხარის სიღარიბესა და უნაყოფობას. ახლა ეს ქვეები თვატრებად და სასახლეებად, ნათელ შენობებად იქცა. არქიტექტურაში ბატონობს ტუფი, ყოველგვარი შეფერილობისა, ვარდისფერიდან და ყვითელიდან დაწყებული მოწითალო, მონაცრისფრომდე. ბუნებრივი მასალით მოპირკეთებული მრავალრიცხოვანი ტანობები ძრგუნულად ერწყმიან გარემო ბუნებას და იმ თავისებურ იქნასა და განუმეორებელ სილამაზეს ანიჭებენ რესპუბლიკის ეპილაქებსა და სოფლებს, რაც ყველაზე მეტად აღაფრთოვანებს მნახველს.


უკანასკნელ ათეულ წლებში ძალზე გამოიკვალა სომ-

ხეთის ქალაქები და სოფლები, პირველ რიგში მისი დედაქალაქი ერევანი. ერევნის სახეცვლილებებში აისახა სომეხი ხალხის მიღწევები სახალხო მეურნეობასა და კულტურაში.

დიდი და რთული გზა გაიარა საბჭოთა სომხეთის არქიტექტურამ. 1924—25 წლებში ერევანში აშენებული ერთი და ორსართულიანი სახლებიდან, იმ დრომდე, როდესაც აიგო რესპუბლიკის მთავრობის სახლის დიდებული შენობა, სენდარიაინის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი და სომხეთის სსრ მცენიერებათა აკადემიის შენობები, მრავალსართულიანი და მაღლივი საცხოვრებელი სახლები, საზაფხულო კინოთეატრი „მოსკვა“, ნორჩის სტუდენტთა საცხოვრებელი სახლი და ბოლოს სომხეთის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პავილიონი.

ჩამოყალიბებულ პირველივე დღეებიდან საბჭოთა სომხეთის არქიტექტურა მიყვებოდა თავისი დროის პროგრესულ იდეებს. ჯერ კიდევ 20—30-იან წლებში ახალგაზრდა საბჭოთა სომხეთში შეიქმნა ერთ-ერთი თავისი დროისათვის ყველაზე მოწინავე ეროვნული არქიტექტურული სკოლა, რომლის წარმომადგენლებში არიან გ. ალაბიანი, გ. ქოჩარი, მ. მაზმანიანი და სხვ.

დღეს სომხეთის არქიტექტურა განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ მასში ახალი შინაარსი და მიხანდა-



ლენინაიანი, არავაცის ქუჩა,
არქიტექტორი გ. მუშელაიანი.

სახელობა წარმატებით ერწყმის ეროვნულ ფორმებსა და კონსტრუქციულ ელემენტებს, რომელთაც გაუძღვს დროის გამოცდას. ამაში იოლად გვარწმუნებს მართო ერეენის მაგალითიც.

1924 წელს აკადემიკოსმა ა. ტამანიანმა შეადგინა ერეენის დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტი. ეს გენერალური გეგმა საბჭოთა კავშირის ქალაქმშენებლობაში პირველი იყო. მას შემდეგ ორმოცზე მეტმა წელმა გაიარა. ცხოვრებამ ყველაზე თამამ წინასწარდასახულასკე კი გადააჭარბა და სულ მოკლე ხანში სამჯერ მიანიჭ იქნა გადახედვითი ქალაქის გენერალური გეგმა.

როგორ გამოიყურება დღეს საბჭოთა სომხეთის შვიდასათასიანი დედაქალაქი?


ერეენის კომპოზიციურ ცენტრს ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანი წარმოადგენს. აქ თავს იყრის ქალაქის ყველა ძირითადი მაგისტრალი — ფართო, ლამაზად განაშენიანე-

ბული პროსპექტები და ქუჩები. ოციან წლებში ამ მოედნის ადგილას იდგა დაბალი თიხის სახლები, დაფერდებული დუქნები და აზიური აბანო. ყურად რეკდა ზარი ქალაქის კომუნდატურის შენობაზე.

ახლა კი მოედანზე აღმართულა ქალაქის უზარმაზარი საზოგადოებრივი შენობები. მათ შორის საუკეთესოა სომხეთის მთავრობის სახლი, რომელმაც განააზღვრა მოედნის არქიტექტურული გადაწყვეტა მთლიანად. მთავრობის სახლი აიგო 40-იან წლებში ალექსანდრე ტამანიანის პროექტით. მასში გამოყენებულია სომხური კლასიკური არქიტექტურის ეროვნული მოტივები და მეთოდები.

მთავრობის სახლის არქიტექტურაში გამოსახვა კპოვა ყოველივე იმან, რაც ახასიათებს სომხური ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნაწარმოებებს დღეს: ძირითადი მონუმენტური მოცულობების პარმონიული შერწყმა დეტალების დამუშავების განსაკუთრებულ სინატიფესთან. მთავრობის სა-

ქალაქ აბოვიანის საცხოვრებელი კვარტალის მკვეთი. არქიტექტორები: ხაჩიკიანი, ფარხანიანი, ჩერკეზიანი, პოლოსიანი, ბაბაიანი, მელქეზიანი.



მეშახტის ძეგლი მეტალურგთა კულტურის
სახლის წინ ქალაქ კახვანში



სლის ფასადები გამოირჩევა მდიდრული კომპოზიციური გადაწყვეტით. აქ არის მძლავრი თაღების, სვეტების, კედლების სიბრტყისა და დეკორის იშვიათი მთლიანობა.


მონუმენტურობითა და მაღალმხატვრული კულტურით გამოირჩევა მოედნის სხვა ნაგებობანი და პირველ რიგში, ვ. ი. ლენინის არქიტექტურულ-სკულპტურული ძეგლი.

ერევნის კომპოზიციურ გადაწყვეტას საფუძვლად უდევს არსებული ქალაქის ირგვლივ ახალი რაიონების კონცენტრული განვითარება: ასეთი გადაწყვეტა ნაკარნახევია თვით გარემოთი, რომელიც ბუნებრივ ამფითეატრად ერტყმის ძველ ქალაქს სამი მხრიდან. თანამედროვე ქალაქი ძირითადად ჩრდილოეთისა და დასავლეთის მიმართულებით იზრდება. სწორედ ეს მხარეები აძლევს ერევანს საუკეთესო

რელიეფს, ფართო ტერიტორიას და ძველ ქალაქთან ორგანულად სწორედ ეს მხარეებია დაკავშირებული. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „ძველი ქალაქის“ გაგება საკმაოდ პირობითია, ვინაიდან ის ისეთივე ინტენსიურობით იზრდება, როგორც ახალი რაიონები. ქალაქის ახალი საცხოვრებელი რაიონი აღმოცენდა მდინარე რაზდანის მარჯვენა სანაპიროზე. ოდესღაც, ეს ადგილი უდაბური იყო, მხოლოდ ქარი დთარემობდა და მტვრის ბული ზეცამდე აჭონდა.

ახლა კი ცაში აჭრილა კოშკურა ამწეოთა ისრები. როდესაც დამთავრდება ახალ საცხოვრებელ რაიონში დაგეგმილი 14-ვე კვარტალის მშენებლობა, იქ 80 ათასი ერევნელი იცხოვრებს. ასეთი რაიონი ნორჩის ტაფობზეც შენდება.

ნ. ი. ლენინის ძეგლის დასაწყისში ერევნის სამხრეთ დასავე-



სომხეთის ქ. გარისის პედაგოგიური ინსტიტუტის მაცეტი. არქიტექტორები: გურჯალიანი, მატჩიანი, სარუნაიანი.

ლეთით სომხეთის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა გაიხსნა. ამაყად აღმართულა ოთხ მსუბუქ საყრდენზე მდგარი მრეწველობის პავილიონის გუმბათი. იგი გადახურულია ანაწყობი არმოცემენტის კონსტრუქციით. ეს დინამიური ნაგებობა, რომლის ინტერიერში მოთავსებულია სომხეთის ფაბრიკა-ქარხნების პროდუქცია, გამოფენის მშენებმა, მისი საუკეთესო ექსპონატია.

საინტერესოდ არის გადაწყვეტილი მცენიერების, კულტურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის პავილიონი. აქ შერწყმულია თანამედროვე არქიტექტურისა და ეროვნული ტრადიციების ელემენტები. პავილიონის სამხრეთ-დასავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ფსალღები დიდი მინებია და ტუფისაგან გამოკვეთილი ქვის პილონებისაგან შედგება. სამხრეთ-დასავლეთის პილონები კუთხეს ქნიან პავილიონის გასწვრივ ღერძთან, ამის წყალობით დიდი სივრცეების დროსაც კი შუის სხივები შენობაში არ აღწევენ. სამხრეთი ფსალღის მზისაგან დასაცავად გაკეთებულია მსუბუქი ბეტონის წინაფურები, რომლებიც მცირე განაკვეთის ბრუნებზეა დაყრდნობილი. თანამედროვე სტილის ნაგებობაში არქიტექტორებმა მოხერხებულად გამოიყენეს ბუნებრივი ქვაზე ოსტატურად შესრულებული ეროვნული ორნამენტები.

ერევანს ხშირად უწოდებენ „აყვავებულ ქვათა ქალაქს“. მაგრამ საბჭოთა სომხეთის დღე-ღამეები მართლაც ამით რაღაცა ცნობილი. ქალაქი იმითაც არის საინტერესო, რომ აქ, „აყვავებულ“ ქვებს ემატება ურიცხვი აყვავებული ბაღი და პარკი. ქალაქს ირგვლივ საცავი სარტყლის ფართი, მწვანე რკალი აკრავს. ერთიანად სულ მწვანით დაფარულ ნორჩის მაღლობის ფერდობები და კანაკერის ტაფობი.

ბოლო წლების ერევნის დამახასიათებელი გახდა პარკები, ბულვარები და სკვერები ხელოვნური ტიპებით, აუზებითა და შადრევნებით. თითქმის ყოველ ქუჩაზე შეხვდებით ბაზალტისა და გრანიტისაგან ნაგებ ცივი წყლის წყაროებს.

ერევანს იშვიათი სიღამაზის გარეუბნები აკრავს. მთელ

ქალაქს ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე კვეთს დასასვენებელი ზონა, რომელიც განლაგებულია მდინარე რაზდანის ხეობაში. ზონის მთლიანი ფართობი 300 ჰექტარზე მეტია.

ქალაქის მშენებებს წარმოადგენს დიდი წყლის აუზი, რომლის შექმნაზე არა ერთი თაობა ოცნებობდა. დღეს კი ამ ოცნებამ ფრთა შეისხა. უკვე დამთავრდა კაშხლის მშენებლობა, რომელმაც გადაკეტა რაზდანი და ერევნის წყლები წყალუხვი გახადა. ახლა უკვე ქალაქის მცხოვრებლებს და სტუმრებს საშუალება აქვთ დაისვენონ ტბის სანაპირო პლაჟზე, ისყირონ კატერბითა და აფრიანის ნაგებობ, დასტებნენ 22 სართულიანი სახლის სიმალის შადრევნების მშენებით.

თანამედროვე სომხეთის არქიტექტურის განვითარება საფუძველი მაინც ქალაქმშენებლობაა. ამის მაგალითია რესპუბლიკის მთელი რიგი ქალაქები და სოფლები. ჯერ კიდევ 30-იან წლებში აკადემიკოსმა ალექსანდრე ტამანიანმა შეადგინა ვალარშაპეტის (ენჩიძინის), აშთარაკის, ნორ-ბაიაზეთის, ლუგაშენის (რაზდანის) დაგეგმარების პროექტი.

საერთოდ 20—30-იანი წლები მნიშვნელოვანი პერიოდი საბჭოთა სომხეთის ქალაქმშენებლობის მცენიერული თეორიის განვითარებისათვის. ამ წლებში შეიქმნა ლენინ-ნაკანის დაგეგმარების პროექტი, ჩატარდა კონკურსი კიროვაკანის დაგეგმარების პროექტის შექმნაზე, ერევანში დაინახა პირველი ცდები ცალკეული საცხოვრებელი კვარტალებისა და რაიონის შექმნისაკენ. ფაქტობრივად ამ პერიოდისა და რაიონის შექმნისაკენ.

დღეს კი ქალაქმშენებლობის სამუშაოებს მოუცავს მთელი სომხეთი. მიმდინარეობს ძველი ქუჩების რეკონსტრუქცია, შენდება ახალი საცხოვრებელი რაიონები ლენინაკანში, კიროვაკანში, ალავერდიში, არტიკში, ენჩიძინში, არტაშატსა და რაზდანში.

სომხური არქიტექტურის ძირითად თავისებურებას შე-

აღგენს განაშენიანების ანსამბლურობა და ნაგებობათა პარ-
მონიული შერწყმა გარემო ბუნებასთან. ამის დამადასტუ-
რებელია ერევნის, ლენინაკანისა და კიროვაკანის მოედნე-
რების ანსამბლები და ცალკეული ნაგებობა, რომ აღარაფერი
ვთქვით შუაუკუნეების უნიკალურ არქიტექტურულ ანსამ-
ბლებზე (ასპატი, სანაინი და სხვ.), რომლებიც მსოფლიო
არქიტექტურის საგანძურშია შესული.

რესპუბლიკის მეორე სამრეწველო ცენტრის, კიროვაკა-
ნის მრავალართულიანი ადმინისტრაციული და საცხოვრე-
ბელი სახლების არქიტექტურა ბუნებრივად შესამებულია
ქალაქის ირგვლივ აღმართული მთების დიდებულეზასთან.
ხშირად ტყით დაფარული მთის ფერდობები შესანიშნავი
ფონია ვარდისფერი ტუფით მოპირკეთებული შენობების-
თვის. აქ ამ ცოტა ხნის წინათ დამთავრდა რესპუბლიკის
ერთი ულამაზესი ანსამბლის — კიროვის სახელობის მო-
ედნის მშენებლობა.


მეტალურგების ქალაქ ალავერდის მიძიმე რელიეფმა
მშენებლებს უკარნახა საინტერესო საეგემო და მოცულო-
ბით-კომპოზიციური გადაწყვეტა. აქ მშენებლობა მიდის

განუწყვეტელი აფეთქებების თანხლებით, ქუჩები პირდაპირ
კლდეებში იკვეთება, იკვეთება და გრძელდება, ხელახლა
დაიგეგმა ჯრავაჯანისა და დებეტის ქუჩები.

საბჭოთა სომხეთის ქალაქმშენებლობაში სერიოზულა-
ყურადღება ექცევა ფუნქციონალური შინაარსისა და ესთე-
ტიკური ფორმების ურთიერთკავშირის მოხერხებულ დაგე-
მარებასა და შენობის ადგილთან კარგად მიზმასთან ერთად
ბევრ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში შეხვედებით მცირე
ფორმის არქიტექტურის ნიმუშებს, არქიტექტურაში ფერისა
და კონტრასტის მხატვრულ გამოყენებას.

ბოლო წლებში სომხეთი არქიტექტორები თამამად და
მრავალმხრივ იყენებენ ქვის ფერს ცალკეული შენობისა და
მთლიანად ქუჩების განაშენიანებაში. მაგალითად, ერევანში
აბოვიანის ქუჩის რეკონსტრუირებული ნაწილი გაშენდა
თეთრი და მოყვითალო ტუფით. საიათნოვას პროსპექტის
კუთხის საცხოვრებელი სახლი შექმულია შავ და მოყვითა-
ლო ტუფში გამოყვანილი გეომეტრიული ორნამენტით.
ერევანში ხშირად შეხვედებით სხვადასხვა ფერის ტუფს შე-
ნობათა ფასადის გადაწყვეტაში. უფრო ხშირად დამატებ-

აბოვიანის ქუჩის ფრაგმენტი (ერევანი)



თი ფერი გამოიყენება კარნიზებში, თამასება და სხვა არ-
ქიტექტურულ დეტალში.

სომეხი არქიტექტორები და სკულპტორები ცალკეულ შემთხვევაში ეძებდნენ და პოულობდნენ კიდევ მონუმენტურ-
რი ხელოვნებისა და არქიტექტურის სინთეზის ორიგინალურ
და საინტერესო გადაწყვეტას. ამ მხრივ საუკეთესო მაგალი-
თად გვევლინება ტრესტ „არარატის“ ლიზის სარდაფები
მათი დეკორატიული პორტიკებითა და კარკასებით. სწო-
რად არის მოფიქრებული საყრდენი კედლის და კანაკე-
რის გზატკეცილიდან სარდაფებში შესასვლელის მხატვ-
რულ-დეკორატიული გაფორმება. აქვე უნდა აღვნიშნოთ
დახურული ბაზრის გადახურვა, რომელიც 1950 წელს
აიგო. მთავარი თაღის პორტალის ლიზებში მოთავსებული
თუჯის ვიტრაჟი გამოირჩევა იმით, რომ მასში ეროვნული
ელემენტი წარმატებით არის გამოყენებული და ორგანულ
მთლიანობაშია შენობის არქიტექტურასთან.

ერევანი მდიდარია სომხური კულტურის გამოჩენილ
ადამიანთა საბატვისაცემოდ აღმართული ძეგლებით. მარ-
ტო ბოლო დროს შექმნილის ჩამოთვლაც საკმარისია, რომ
წარმოვიდგინოთ ერევნის ესთეტიკის ფორმირებაში მონუ-
მენტური სკულპტურის გამოყენების დონე. ხანატურ აბო-
ვიანის, ოვანეს თუმანიანის, შიქაელ ნალბანდიანის, ავეტიკ
ისაკიანის, ალექსანდრ სპენდიარიანის, აკოვ პარონიანის,
საიათნოვას და სხვათა ხსოვნისადმი მიძღვნილი ძეგლები
ამის ნათელი დამადასტურებელია.

ერევნის ემბლემა იქცა დავით სასუნცის მონუმენტი,
რომელიც აღმართულია ქალაქის ვაგზის წინა მოედანზე.
მისი ავტორია მოქანდაკე ერვანდ ქოჩარი. ნიჭიერი მხატვ-
რის ეს ქმნილება საბჭოთა მონუმენტური ხელოვნების
თვალსაჩინო ნაწარმოებია. ცხენზე ამხედრებული ახალგაზ-
რდა დავიდის ფიგურა წინ მიისწრაფის. ხელთ მახვილი —
ელვა უპყრია. ცხენის ფეხებზე წაქეცილი ფილაა, რომლი-
დანაც წყალი დის. ეს ხალხის მოთმინების ფილაა. უცქე-
რით ქანდაკებას და უნებურად გაგონდება ებოსის ფურ-
ცლები... დავიდის პატივით მგერი, როდესაც დარწმუნ-
დება ძველი სამყაროს ბოროტებასა და უსამართლობაში,
იმაში, რომ ბედნიერი ცხოვრება შეუძლებელია, ეს სამყა-
რო უნდა დაინგრას, კლდეს შეაფარებს თავს იმ ნათელი
დღის მოლოდინში, როდესაც კვლავ შეეძლება თავისუფ-
ლად ცხოვრება... ეს დღეც დადგა. სომეხი ხალხის საუკე-
თესო შვილებმა, სახალხო გმირებმა, პოეტებმა, მწერლებმა,
კომპოზიტორებმა უმძიმეს პირობებს გადაარჩინეს და
ხალხს შეუნახეს მრავალსაუკუნოვანი კულტურა.

ერევნელებს ძლიერ გვიყვარს ჩვენი ქალაქი არა იმი-
ტომ, რომ აქ დავიბადეთ, ვისწავლეთ და აქვე ვრომოთ,
არამედ იმიტომ, რომ ჩვენი ქალაქი მართლაც ამის ღირსია.
ყველას, ვინც კი ერევანში ყოფილა, დამტკბარა კანაკერის
ტაფობიდან მისი პანორამით, მოუვლია მისი განიერი ქუ-
ჩები და პრისპექტივი, მდგარა სკვერებსა და პარკებში ძვე-
ლებთან, შეუსვამს წყაროს ცივი წყალი, მოუსმენია ალგის
ხეების შრილი ნორქის მალღობზე და უნახავს მშობლიური
არარატიდან დილის მსუბუქი ბურუსის გადაყრა, გაიგება
ამ გრძნობას.



გიორგი ჩახავა.

ლიმბირი ტატიშვილი.



„მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლავად აინთავს!..“



კობა ვალაქერიძე.

სულიკო ხეტეშვილი

„...თავი იმისთვის არ ბაღნი-
რას ბიჭობა, ვინმემ მაღლობა
გვიტოვას, მაგრამ არც ის
ივარავას, მათი აზრები ვერა-
ვინ ბაივოს“.

აპატი ვაწაბი — „წინდა-
ნები ჭოჭობეთში“.

უსტასუმი წელი გავიდა მას შე-
მდე, რაც ფაშისტურ გერმანიასთან
ომისაგან განაწამებმა ხალხებმა შეე-
ბით ამოისუნთქეს.

შობილიური მიწის სიყვარულმა
ერთიან ძალად შეადუღა ჩვენი
ქვეყნის ყველა ეროვნება, რომელმაც
მსოფლიოს უჩვენა გმირობისა და მა-
ცაცობის არნახული მაგალითები.

თუ სტატისტიკას მივმართავთ,
აღმოჩნდება, რომ საქართველოდან
სამამულო ომში 673 ათას კაცს მიუ-
ღია მონაწილეობა. მათგან ბრძოლის

ველზე გმირთა სიკვდილით დაცემუ-
ლა 187 ათასი ვაჟკაცი.

დღეს შეუძლებელია მოკრძალები-
თი არ გავისხენოთ მათი სახელები,
„ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი
დაღვარა“, რათა მომავალ თაობას
ბედნიერად ეცხოვრა.

სამშობლოსათვის თავდადებულ
მებრძოლთა შორის ქართული თეატრ-
რის მუშაკებიც იყვნენ. სამამულო
ომის ვეტერანი, ამჟამად ქუთაისის
ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრ-
რის მუშუშების გამგე ალექსანდრე სე-
ითის ძე ალფაიძე იკონებს:

„1941 წლის 21 ივნისს, შაბათს,
ქუთაისის თეატრმა თბილისში გასტე-
როლებზე ყოფნის დროს დაღვა სპექ-
ტაკლი „მეფე ლირი“. 22 ივნისს
დღით რადიომ გვაუწყა ომის დაწე-
ვება; მიწვეულ იქნა სახელდახელო
მიტინგი. ამ მიტინგზე სიტყვებით

გამოვიდნენ მსახიობები: აკაკი (ჯა-
ჯა) მამრიკიშვილი, აკაკი აფხაძე,
აკაკი ოქრუაძე, რეჟისორის თანაშემე-
წე გიორგი ჯიბუტი, სალიტერატუ-
რო ნაწილის გამგე გიორგი ნაფცეტა-
რიძე და დამამზადებელი საამქროს
გამგე იოსებ ნინიშვილი.

მამრიკიშვილმა განაცხადა: „ამ-
ხანაგებთ! მოგიწოდებთ ყველას, ია-
რადს მოვიკიდოთ ხელი და დავიცვათ
ჩვენი საყვარელი სამშობლო! ბუტა-
ფორული ხელყუმბარა უნდა შევცვა-
ლოთ საბრძოლო ყუმბარით, ბუტა-
ფორული შაშხანა — საბრძოლო შა-
შხანით. გადავიცვათ საომარი ფარა-
ჯები. და ჩავდგეთ სამშობლოს დამე-
ველთა რიგებში!“

ამ მოწოდებას ყველამ მხარი და-
უჭირა. ქუთაისის თეატრიდან ფრო-
ნტზე საბრძოლველად გაემართნენ
საუკეთესო ვაჟკაცები: ა. ოქრუაძე,

ა. აფხაიძე, ა. ვაშაიძე, შ. კობახიძე,
ა. მამრიკიშვილი, გ. ჯიბუტი, ა. ალ-
ხაზაშვილი, მ. ბინაურიშვილი, გ.
ნაფტეკარიძე, ი. ბინიაშვილი, მ.
აღორსტუაძე შუასრულს თავიანთი
მისია, და უკან არ დაბრუნებულან
ომის ქარცხენიდან.

არ დაჩრდილა საქართველოს
თითქმის არც ერთი თვატრი, რომ-
ლის მუშაკებსაც უშუალოდ მონაწი-
ლეობა არ მიეღოთ სამამულო ომში.
დიდი მსხვერპლი გაიღეს გორის, ტი-
აურისა და ფოთის თვატრებმა.

გორის თვატრიდან ფრონტზე და-
იღუპნენ: ლ. ჩეჭვერტაძე, მიხეილ
გუგუშვილი, მსახიობები გიორგი ბა-
სილაია და ალექსანდრე ასათიანი,
მხატვარი ნიკოლოზ გვოცი; უგო-
შვილი და იაკობიანი; შალვა წკრი-
აშვილი, პავლე მოციქულაშვილი,
გიორგი მსარეულიშვილი, ნიკოლოზ
ბიკოვი, პელიანკინი, სტეფანე ალ-
ლოკი, ივანე კორჩაგინი, მიხეილ
მღებროვი, მიხეილ ცაბალოვი.

ჭიათურის თვატრიდან 32 მუშა-
კი წავიდა ბრძოლის ველზე და მთ-
ვნი მშობლიურ კერას ვერ დაბრუნ-
დნენ: გერვასი მჭედლიშვილი, ბეს-
არიონ ზამბახიძე, ელგუჯა კაციტაძე,
მიხეილ ჭიტიაშვილი, ვლადიმერ
ხვედელიძე, ტრიფონ ცარციძე, სერ-
გო ჩუბინიძე, გიორგი აბაშიძე, გი-
ორგი გიორგაძე, შოთა კივანელიძე,
შოთა ფანცულაია, პლატონ ცერცვა-
ძე, ვანკატონ მიროტაძე, ლევან ლო-
ლუა, იროდი და შოთა გაფრინდაშვი-
ლები, ანდრო ზაზუაძე, გიორგი რუსა-
ძე, ოთარ მამანიძე.

ფოთის თვატრიდან ბრძოლის ვე-
ლზე დაიკვნენ: დავით ანთაძე, სანდრო
ფინსია, სერგო ბერძენიშვილი, შალ-
ვა მიქიაშვილი, შალვა მაჭავარიანი,
გოგი ხარაზიშვილი, ქეთო ასათიანი,
შალვა ჩემია, ოთარ ნადარეიშვილი,
არტემ კოსტაძე, ნიკოლოზ ყურაშვი-
ლი, შოთა რევია, მიხეილ ექიმოვი,
მიხეილ ვფრემაშვილი.

მარუხის ლეგენდარულ ბრძოლე-
ბში თავი ისახელა ზ. ფაბიაშვილის
სახელობის ოპერისა და ბალეტის სა-
ხელმწიფო თვატრის ორკესტრის მსა-
ხიობმა დიმიტრი ტატიშვილმა. აი-
რას იგონებს ყოფილი 808-ე პოლკის

მეთაური შალვა თელია ვ. გენუშვი-
სა და ა. პოპუტოს წიგნში „მარუ-
ხის მიწების საიდუმლო“:

„5 სექტემბერს (ივლისისმებმა
1942 წელი, ს. ხ.) დღით, დაიწყო
უშუალოდ მარუხის უღელტეხილისა-
თვის ყველაზე მძიმე და სისხლის-
მღვრელი ბრძოლა. მოწინააღმდეგე
არტილერიისა და ავიაციის მხარდა-
ჭერით გადმოვიდა მძაფრ შეტევაზე.
დიდ საფრთხეში ჩავარდნენ 808-ე
პოლკის მე-2 ბატალიონის ქვეყანა-
ყოფები. მოწინააღმდეგე უტყვედა
ოფორც ფრონტიდან, აგრეთვე
ფრთებიდანაც. მტერმა იერიში თავი
საკომანდო პუნქტზე მიიტანა. მა-
რავითარი რესერვი აღარ არის. ახლა
უკვე ტყვიამფრქვევებს წამოუწვა
მეთაურთა შემადგენლობა და მძაფრი
ცეცხლი გაუხსნეს მოწინააღმდე-
გეს!... ტატიშვილის ოცეულის ებრძა-
ნა იერიშზე გადასვლა. გამართვა
ხელნართული ბრძოლა. ამ შტაბის
დროს გმირული სიკვდილით დაეცა
ლევტენანტი დიმიტრი ტატიშვილი.

სამშობლოს უსაზღვრო სიყვარუ-
ლი, გამარჯვების დიდი რწმენა და
მაღალი პატრიოტული შეგნება გა-
მოსჭვივის ბართიდან, რომელიც
რუსეთის სახელმწიფოს თბილისის
სახელმწიფო თვატრის კოლექტივის
გამოუგზავნა ფრონტიდან ახალგაზ-
რად მსახიობმა კობა ვადაჭკორია:
„დეკემბერს აქეთ ვარ ყირიმში და
ვითვლები საბჭოთა ყირიმის ერთ-
ერთ დამცველად. ვიბრძვი ლოწო-
ვით: ყირიმი იყო და იქნება საბჭო-
თა! ექვსი დღის საბრძოლო ნათლობა
უკვე მივიღე. ვიბრძვი ისე, როგორც
შეგურის საბჭოთა იარაღს, რომელ-
საც მე დღეს ვატარებ. ჩვენი მიზა-
ნია გავანადგუროთ ჩვენი წმინდა მი-
წაზე შემოჭრილი ფაშისტთა ხროვა.

ამხანაგებო, ვამაყობ იმით, რომ
მეც მიმიძღვის წილი ამ საამაყო საქ-
მეში... დანიშნული ვარ ხელმძღვანე-
ლობის მიერ ნაწილის კომისრად, სა-
დაც ვასრულებ და გამართლებ ჩვენი
პარტიის დავალებას. უკვე ბევრი გა-
მოსცილებმა შევიძინე, რომლითაც ვი-
ბრძოლებ მანამდე, სანამ არ მოე-
სპობ ფაშისტ ჭოვაკებს!... წერი-
ლის დაწერიდან რამდენიმე დღის

შემდეგ ჭაბუკი მსახიობი ვაჭკაცუ-
რად დაიცა ბრძოლის ველზე.

კ. ვადაჭკორიას გარდა, რუსთა-
ველის სახელობის თვატრის მუშაკე-
ბიდან ბრძოლის ველზე სამარადისო
ბინა პიუგის მსახიობებმა ო. დადიანი-
მა, ვ. ნახარიშვილმა, ბ. ბურდულმა,
და ჭიბარძიშვილმა ორკესტრის მსა-
ხიობებმა გ. ხეჩეგამი და დ. გულია-
შვილი; რეჟისორის თანამუშევრე გ.
ბაკურაძემ; სცენის თანამშრომელმა
ი. აბაიშვილმა; მოკარნახემ გ. ჯა-
ნუაშვილმა; სცენის მუშებმა ივ. ხე-
თაგურმა, პრ. შერკომი, გ. დვალაძემ,
ს. გამბარაძემ.

ევგესტაპოლის ეპოპეაში მტერ-
თან დაუნდობელი ბრძოლის დროს
თავი გამოიჩინა მარჯანიშვილის სა-
ხელობის თვატრის ახალგაზრდა მსა-
ხიობმა გიორგი ალექსანდრეს ძე ჩა-
ხავამ. საბჭოთა კავშირის გმირი ა.
გეგეშიძე ასე იგონებს მასთან შეხ-
ვედრის ეპიზოდს:

1942 წლის ზამთარში, ბრძო-
ლებმა საკმაოდ შეთხველბულმა ჩვე-
ნმა ბატალიონმა შეეცება მიიღო. მო-
სულეებს შორის თანამემამულენიც იყ-
ვნენ საქართველოდან. მოვსურვე
მათთან გასაბრუნება და ჩემთან გამო-
ცხადება მაღალი, მხარბეჭაინი ახალ-
გაზრდა ოფიცერი:

— ლევტენანტი ჩახავა.
ოფიცრის ლამაზი სახე ნაცნობი
მეჩვენა. ვეკითხებო:

— სად შეხვედრდით ერთმა-
ნეთს?

— ალბათ თბილისში.

— თბილისში მე დიდი ხანია არ
ვყოფილვარ, შორეულ აღმოსავლეთ-
ში ვმსახურობდი...

— მაშინ კინოში შეხვედრი-
ვართ...

მიმოჩვენა, რომ ოფიცერმა გაი-
ხურდა, მაგრამ ის სახეებით სერიო-
ზულად ლაპარაკობდა.

— მსახიობი გახლავართ მარჯა-
ნიშვილის თვატრიდან, თუ გინახათ
კინოსურათი „დაკარგული სამოთხე“,
ერთ-ერთ ძმას ვიამაზობდი...

რალა თქმა უნდა, ჩახავას სახე
ჩემთვის კინოფილმიდან იყო ნაცნო-
ბი. ოფიცერს განუცხადე, რომ იგი
ინიშნებოდა ბატალიონის შტაბის მე-



„ენიუსონის ოჯახი“, კრასავინა — ა. მამიკიშვილი.



„ნაბერკლიდან“. თანდლა — გიორგი ჩახავა.

თაურის თანამემწედ, ხოლო შეთავსებით უნდა გამოსულიყო მებრძოლების წინაშე და თავისი აქტიურული ოსტატობით აემბლღებინა მათი საბრძოლო სულისკვეთება.

ამ თანამდებობას ჩახავამ ცოტა ხანს გაუძლო. ერთხელ მოვიდა ჩემთან და მითხრა:

— ფრონტზე წასვლა მოვიტოხოვე, რათა ვიბრძოლო. მსახიობად ყოფნა თბილისშიც შემიძლო. გიორგი, მომიცეთ ნამდვილი სამუშაო...

მაღე გაიარა შესაბამისი მომზადება და დაინიშნა მეტყველამფრქვევეთა ოცეულის მეთაურად. იბრძოდა გაბედულად. მე ვიტყვოდი — ლამაზად. ერთ-ერთი ბრძოლის დროს, როდესაც მის გვერდით მეტყველამფრქვევე გამოვიდა, ჩახავამ შესძლო ორივე ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი გაეწაღებინა მტრისათვის, როცა ერთი ტყვიამფრქვევი სროლისაგან ძალზე სურდებოდა, იგი სწრაფად გადაბრბოდა მეორე ტყვიამფრქვევზე და აგრძელებდა განუწყვეტელ სროლას.

ამ ბრძოლაში ლეიტენანტი ჩახავა მიმივდა დაიჭრა. მე ვნახე იგი საკაცეზე მწოლიარე, გაფთხებულნი, სისხლში მოსვრილი ფორმით.

— თბილისში ყოფნა თუ მოგაწვეთ, — მითხრა მან, — გადაეცით, რომ პატიოსნად შევასრულე ჩემი მოვალეობა...“

არ დასცალდა მამაც მებრძოლს მშობლიურ თეატრში დაბრუნება. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის შალვა ჯაფარიძის სიტყვებით — გიორგი ჩახავა სცენაზედაც გამოირჩეოდა, როგორც ნიჭიერი და ტემპერამენტით აღსავსე ახალგაზრდა.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრიდან ომში წასული 40 ახალგაზრდა მუშაკიდან სამშობლოს თავი შესწირეს: გიორგი ნაკაიძემ, სიმონ ტურინამა, გიორგი თარალაშვილმა, პეტრე ავალიანმა, ზუბიაშვილმა.

ომმა იმსხვერპლა მოზარდ მკურნებელთა ქართული თეატრის მსახიობები: გიორგი მწარიაშვილი და ვახტანგ ტეტუნაშვილი; თოჯინების

ქართული თეატრიდან ვლადიმერ ცხადია და ალექსანდრე ეილცოვი. ბრძოლის ველიდან ვედარ დაუბრუნდნენ ბათუმის თეატრს სულიმან კახიძე, ილია ზუბუა, ბასილაძე, ვალიკო გვიმბერიძე, სოსო კვიციანი, სულიმან ბაკურაძე, გოგუაძე. მასარაძის თეატრმა სამამულო ომის ფრონტზე დაკარგა მსახიობები გ. ლლონტი, კ. ძიძიგური, შ. გობრონიძე, დ. დუმბაძე, შ. ლომჯარია, ა. ჭეივილი.

კიდევ მრავალი ამაღლეგებელი ეპიზოდის მოყვანა შეიძლებოდა ქართული ხელოვნების მსახურთა ფრონტული ცხოვრებიდან, მაგრამ ამ მცირე წერილს არა აქვს პრეტენზია ანთმწურავად ასახოს მათი გმირული საქმიანობა დიდ სამამულო ომში. იგი მხოლოდ გახსენებაა თეატრების იმ მუშაკებისა, რომელთა გვარებიც ჩვენთვის ცნობილი იყო და რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე მსხვერპლად შესწირეს სამშობლოს განთავისუფლებას. „მათ სსოვნას ქვეყანა საწონღებათ აინთებს!...“

ბრიგოლოვი ქართულ სცენაზე

კლარა ტულუში

XIX საშუალო ოცდაათიანი წლებიდან დღემდე გრიბოლოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან“ დაკავშირებულია როგორც რუსული, ისე ქართული თეატრის ისტორიასთან. მან დიდი როლი შეასრულა ჩვენი თეატრალური კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში. როგორც მსახიობებისათვის, ისე მსყურებლებისათვის ეს კომედია იყო და არის უმაღლესი ხელნაწების ნიმუში, რომელიც თავის დროზე ხელს უწყობდა მოწინავე იდეების განვითარებას, არყვედა ძველი საზოგადოების გეონომიურ, პოლიტიკურ და ეთიკურ საფუძვლებს. გრიბოლოვი ცდილობდა ისეთი ხასიათი მიეცა პეისისათვის, რომ ცენზურას გაეშვა და განეცადა „ის ბავშვური სიამოვნება, როცა საკუთარ ლეკვებს ბისმის თეატრში“.

1824 წელს გრიბოლოვი თავისი კომედიის გამოცემისა და სცენაზე დადგმის ნებართვისათვის პეტერბურგში ჩასულა, მაგრამ მისთვის ამაზე უარი უთქვამთ. გრიბოლოვმა 1825 წლის იანვრის თვეში მოახერხა თავისი კომედიიდან მხოლოდ ნაწყვეტების დაბეჭდვა ალმანახში „რუსკაია ტალა“.

რუსეთში „ვაი ჭკუისაგან“ სრული სახით (თუმცა ცენზურული დამახინჯებით), 1833 წელს გამოვიდა, ხოლო ოფიციალური ნებართვა ნაწარმოების დადგმაზე 1863 წელს გაიცა.

მთავრადვე მკაცრი ზომებისა, XIX საუკუნის ოცდაათიანი წლებში როგორც რუსეთში, ისე საქართველოში, გრიბოლოვის კომედია ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, ოფიციალური ცნობებით ირკვევა, რომ აქ გრიბოლოვის კომედიას გაეცნენ გაცლებით უფრო ადრე, ვიდრე სხვა რომელიმე ქალაქში.²

გრიბოლოვის სიცოცხლეში იყო რამდენიმე ცდა კომედიის „ვაი ჭკუისაგან“ დადგმისა. ასე მაგალითად, 1825 წელს პ. კარატიცინისა და ა. გრიგორიევის ხელმძღვანელობით პეტერბურგის თეატრალური სასწავლებლის მოსწავლეებმა გრიბოლოვის ნებართვითა და მისი თანდასწრებით მოამზადეს კომედია „ვაი ჭკუისაგან“, მაგრამ პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორს პიუსის სცენაზე დადგმის ნება არ დაურთავს.

არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ 1827 წელს კომედია „ვაი ჭკუისაგან“ ავტორის თანდასწრებით წარმოუდგენიათ ქ. ერევანში. პროფ. ვ. ფილაპოვი ამას უარყოფს და აღნიშნავს, რომ მართალია, ამ კომედიის დადგმა ერევანში გაუკრძალვებული იყო 1827 წელს, მაგრამ მთავრობას აუკრძალავს მისი დადგმა.³

5. დროშენი თავის წიგნში „მასალები რუსული თეატრის ისტორიისათვის“ (გვ. 84) აღასტურებს, რომ ერევანში 1827 წელს კი არა, არამედ 1828 წელს იყო განზრახული კომედიის „ვაი ჭკუისაგან“ დადგმა, მაგრამ ხელისუფლებამ გაიგო რა სასტიკათის მზადების შესახებ, აკრძალა მისი იხსენიება.

საქართველოში „ვაი ჭკუისაგან“ პირველად ალ. ჭავჭავაძის სახელი წარმოდგენიათ, მაგრამ როდის და რა სახით, ამის შესახებ მასალები შემონახული არაა.⁴ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კომედია წარმოადგინეს გრიბოლოვის თანდასწრებით.

ამ მხრივ მეტად საინტერესო ცნობებს ვვაწვდის გრი-

ბოლოვის ცხოვრებისა და შემოქმედების ცნობილი კომენტარები ი. გარუსოვი, რომელმაც 1875 წელს გამოცა კომედია „ვაი ჭკუისაგან“. იგი აღნიშნავს, რომ „გრიბოლოვის ხელით შესწორებული ხელნაწერით კომედია „ვაი ჭკუისაგან“ დაიდგა ავტორის თანდასწრებით თბილისში“ (გვ. 244). აქვე ვკითხულობთ, რომ ლექსები 70-73 1827 წელს გრიბოლოვის შესწორებითა თბილისის შინაური წარმოდგენისათვის (გვ. 250). დაბოლოს, გულდაწყვეტილი ი. გარუსოვი იძლევა შეკითხვას „სად და ვითან იხატება თბილისის თეატრისათვის ავტორის მიერ შესწორებული ხელნაწერი?“ (გვ. 232). იგივეს იმეორებს გრიბოლოვის თხზულებათა ცნობილი გამოცემული (ი. შლიაპკინი (1889 წ. ტ. 11, გვ. 523).

ა. გარუსოვი და ი. შლიაპკინი უდავოდ სარწმუნო წყაროებით ხელმძღვანელობდნენ, როდესაც ვვაწვდიდნენ ამ ძვირფას ცნობებს. ვასაკვირო არ არის და არც ეჭვს იწვევს ის გაეროება, რომ კომედია „ვაი ჭკუისაგან“ გრიბოლოვის თანდასწრებით წარმოუდგენიათ საქართველოში, სადაც შეიქმნა ამ კომედიის ადრინდელი რედაქცია. არსებობს სხვა ცნობებები ამ დადგმის შესახებ.⁵

პროფესორ სცენაზე კომედია „ვაი ჭკუისაგან“ დაიდგა გრიბოლოვის საკვდილის შემდეგ — 1829 წლის 21 იანვარს პეტერბურგში, უფრო გვიან 1830 წლის 30 იანვარს მოსკოვში იდგმებოდა სცენებზე პირველი მოქმედებიდან, ხოლო შემდეგ, 1830 წლის 5 თებერვალს, პეტერბურგში და იმავე წლის 23 მაისს მოსკოვში დაიდგა კომედიის მესამე მოქმედება სათაურით „მოსკოვის მეჯლისი“. იმავე წლის 16 ივნისს პეტერბურგის თეატრში „მოსკოვის მეჯლისი“ მიგმატა კომედიის IV მოქმედებაც. ამ სახით 1831 წელს კომედია დაიდგა მოსკოვშიც. სრული სახით „ვაი ჭკუისაგან“ დაიდგა პეტერბურგში 1831 წლის 26 იანვარს, მოსკოვში კი — იმავე წლის 27 ნოემბერს.

საქართველოში მისი სცენური განხორციელება დღესაც ვერ მიზნერხდა, პროფესიული თეატრის უქონლობის გამო. 1831 წელს თბილისის რუს და ქართველ სცენისმოყვარეთა ინიციატივით შეიქმნა სცენისმოყვარეთა დასი. ამ საქმის ხელმძღვანელი იყო ახალგაზრდა ოფიცერი მიხეილ მაგაზოვი. მას თანაგრძობობა უწევდა ძველი მეგობარი სამხედრო საზსახურები რომან ბაგრატიონი (ძმა ცნობილი მხედართმთავრის პეტრე ბაგრატიონისა).

ბაგრატიონის მთელი ოჯახი გატაცებული იყო ხელოვნებით. მიხეილ მაგაზოვმა სწორედ მათი სახლი აირჩია შინაური წარმოდგენებისათვის, რომელიც მალე თეატრალურ არეადა იქცა. ამ სახლს „თეატრალურ სახელოსნოსაც“ კი უწოდებდნენ.

მალე შედგა სცენისმოყვარეთა წრე. დაიწყეს შინაური სპექტაკლების წარმოდგენა. პირველად დადგეს კარატიცინისა და მხელნიჭვის პიუსები. რადგან ისინი კარგად ჩატარდა, გრიბოლოვის კომედიის „ვაი ჭკუისაგან“ დადგმაც გადაწყვიტეს.

მთავრადვე მოელო რიგა სიწველევებსა, „ვაი ჭკუისაგან“ პირველად რუსულ ენაზე თბილისში 1832 წლის 21 იანვარს დაიდგა. წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

გაერვლებულია შეტებულება, თითქოს „ვაი ჭკუისა-

გან⁶ პირველ რუსულ დადგმას თბილისში გამოემხურა სოლომონ დოდაშვილი ჟურნალში „სალიტერატურური ნაწილი“ ტფილისის უწყებთათვის⁷.

სოლომონ დოდაშვილი ამ ქრონოლის 1832 წლის მეორე ნომერში წერს: „ჩვენს ეკლესიას წარსულ კვირას იყო თეატრი ერისა ჩინებულსა სახლსა შინა, საკურველად წარმოადგინეს, მერწმუნე უკეთესად აღა შეიძლებოდა, გარნა რა წარმოდგინებდა ვითარ ანა ყოველსავე საკუთრად მოეწერა“.

საეჭოდ მიგვაჩნია, რომ ს. დოდაშვილის ეს გამოხმაურება ეხებოდას ა. ს. გრიბოედოვის კომედიის დადგმას, იმიტომ, რომ კომედია „ვაი ჭკუისაგან“ დაიდგა 1832 წლის 21 იანვარს რომან ბაგრატიონის სახლში. 1832 წლის ჟურნალ „სალიტერატურური ნაწილი“ ტფილისის უწყებთათვის⁸ მეორე ნომერს, რომელშიაც ს. დოდაშვილის გამოხმაურებაა დაბეჭდილი, ცნობის მიერ წაწერილი აქვს „ნებადართულს დაბეჭდვა: ტფილისის, იანვრის 20-სა 1832 წელსა“. ცხადია, საცნობარო ვიზის შემდეგ უკვე დასაბეჭდად გამზადებულ ჟურნალს ასალი მასალა აღარ დაემატებოდა.

ს. დოდაშვილის ეს „გამოხმაურება“ მოთავსებულია იმ ბარათში, რომლითაც ის პასუხებს ჟურნალის იმავე ნომერში დაბეჭდილ თავისი ძმის — სტეფანე დოდაშვილის წერილს — „მოწერილი ს. პეტერბურლიდამ ტფილისის მისათვის“.

ამ წერილის გაცნობისას ნათლად ჩანს, რომ ს. დოდაშვილი თავის „პასუხში ტფილისიდან“ სრულად ვერ არ ეხება გრიბოედოვის კომედიის დადგმას. იგი ლაპარაკობს ქართული თეატრალური საზოგადოების ზრდაზე.

აღექსანდრე და გასანტა ორბელიანების ბინაში მოღვაწე თეატრალური წრის წევრები სოლომონ დოდაშვილის მიერ დაბეჭდილ პირველი ქართული ლიტერატურული ჟურნალის აბტიეს წარმოადგინებდნენ. ს. დოდაშვილის გამოხმაურება, როგორც სამართლიანად აღნიშნავს რუსუდან საყვარელიძე, წიწროდ ამ წრის ერთ-ერთ ქართულად ინსტრუმენტულ საექტაკლს მიეკუთვნება⁹.

კომედიის „ვაი ჭკუისაგან“ დადგმის შესახებ პირველი მოკლე მიმოხილვა მოთავსებული იყო გაზეთში — 1832 წლის „ტფილისსკიე ვედედობისტი“ № 3. მიმოხილვას ხელს აწერს საექტაკლის მონაწილე ფსევდონიმი Гарегუბანский ПУСТЫНИК — დიმიტრი ზუბარევი.

დიმიტრი ზუბარევი თბილისში ჩამოვიდა 1828 წელს. იგი მეტად განათლებული და მიღებული კაცი იყო თბილისის საზოგადოებაში. თანამშრომლობდა ჟურნალში „ვესტნიკ ვეროპი“. ზუბარევის მოკლე მიმოხილვა წლების განმავლობაში ერთადერთი წყარო იყო თბილისში „ვაი ჭკუისაგან“ რუსულ ენაზე დადგმის შესახებ. მხოლოდ 1875 წელს, საექტაკლის მეორე მონაწილე მისელი გამაზოვმა უფრო დაწვრილებით აგვიწერა ამ დადგმის შესახებ ჟურნალ „ვესტნიკ ვეროპი“ VII ნომერი.

გრიბოედოვის კომედიის „ვაი ჭკუისაგან“ დადგმა 1832 წლის 21 იანვარს უდღესი წარმატებით ჩაიარა⁷. საექტაკლს დაესწრო კავკასიის მთავარმართველი თავისი თანხის წევრებით და მთელი ქართული არისტოკრატია. დადგმას ვერ დაესწრო მხოლოდ დრამატურგის მეუღლე ნინო ჭავჭავაძე, რადგანაც იგი ამ დროს წინანდალში იმყოფებოდა.

ნინო ჭავჭავაძის პატივსაცემად თბილისში მისი ჩამოსვლის შემდეგ პიესა განმეორებით წარმოუდგენიათ, მაგრამ მძიმე განცდების გამო ნინო კვლავ ვერ დაესწრო.

მას შემდეგ, რაც თბილისში რუსულ ენაზე გამართულმა საექტაკლემ წარმატებით ჩაიარა, ალექსანდრე ორბელიანის ლიტერატურულმა წრემ გადაწყვიტა, ქართულად ეთარგმნა და დაედგა ეს კომედია თავისი წრის ძალებით.

ამ წრის ერთ-ერთი წევრი ილია ორბელიანი (ნ. ბარაბაშვილის ბიძა) 1831 წლის 5 ნოემბერს თბილისიდან წარდა თავის უფროს ძმას გრიგოლს: „თქვენი კარგი მეგობარი დათვი ყორღანოვი ჩემი კარგი მეგობარიცაა და სწირად მიგვეყვარე კომედიას“⁸.

სამი თვის შემდეგ იგივე ილია ორბელიანი თავის ძმას გრიგოლს აცხობინებს, რომ მათმა წრემ განახორციელა ჩამდენივე რუსული საექტაკლი, ხოლო ქართულად უკვე თარგმნილია რუსული პიესები და ისინივე დადგმებია. 1832 წლის 4 თებერვლის თარიღით თბილისიდან გაგზავნილ წერილში ვითხულობთ: «Тут часто бывають театры. Георгий Ернстов, Вахтанг Орбелиани и многие другие, в том числе и я, скоро будут представлять Грузинский театр, или переведем из русскою на грузинский».

ქვეს არ იწვევს, რომ ერთ-ერთი ამ პიესათაგანი, რომელიც ქართულად უთარგმნიათ და ქართულადვე წარმოუდგენიათ, არის ალ. გრიბოედოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან“. ჩვენს აზრს კიდევ უფრო აძლიერებს იაკობ ბალახაშვილის მიერ მიკვლეული ანონიმი: „(1832 წელს) დაიწყო ემაწვილა კაცებმა თარგმნა კომედიისა და რამოდენიმე კიდევ წარმოადგინეს ალექსანდრე ორბელიანის სახლში, სხვათა შორის „კორე თ ზუა“ გრიბოედოვისა“¹⁰.

XIX საუკუნის 40-50-იან წლებში ქართული თეატრის ისტორიაში ასალი პერიოდი დაიწყო. 1845 წელს თბილისში ჩამოყალიბდა რუსული პროფესიული თეატრი, რომელმაც დაწერა და გააცვიფრა ქართველ მაყურებელში მათელი მხატვრული გემოვნება და სიყვარული თეატრალური ხელოვნებისადმი. თეატრი დაგამა მსუბუქი დრამებიც, ხოლო 1846 წლის 8 ოქტომბერს მეორე სეზონი უკვე ალ. გრიბოედოვის კომედიით გახსნა.

საზოგადოება დიდი ინტერესით შეხვდა გრიბოედოვის პიესას, მაგრამ, როგორც ირეკვეს, საექტაკლი მეტად სუსტად და ნაჩქარევად ჩატარებულა. ამაზე მეტყველებენ ის რეცენზიები, რომლებიც მოთავსებულია გაზეთ „კავკაზში“ (№ № 41, 42).

კომედიის „ვაი ჭკუისაგან“ დადგმის ასეთი დამარცხების შემდეგ, თეატრი იძულებული იყო თავისი რეპერტუარიდან ამოეღო ეს პიესა. 1846-1851 წლებში გადიოდა მხოლოდ კომედიის IV მოქმედება.

მეფისნაცვალი მ. ვრონცოვი ცდილობდა რუსული თეატრი საქართველოში ცარიზმის ინტერესებისათვის დაემორჩილებინა. ამ მოსაზრებით ნ. ვრონცოვმა თეატრის ხელმძღვანელობა დააკისრა მწერალ-დრამატორის გ. სოლოგოვს, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა თეატრის მუშაობა ცარიზმისათვის სასურველი გზით წარმართა. იგი ასატყევე წინააღმდეგი იყო კომედიის „ვაი ჭკუისაგან“ და „რევიზორის“ დადგმისა¹².

სოლოგოვის მმართველობის დროს, გაზეთები არაფერს არ იტყობინებან კომედიის „ვაი ჭკუისაგან“ დადგმის შესახებ, მაგრამ ზოგიერთი ცნობა გაზეთ „კავკაზიდან“ გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ კომედია 1853-1854 წლებში იდგმებოდა.

რუსულმა თეატრმა გარკვეული როლი ითამაშა ქართული თეატრის აღდგენის საქმეში. ქართული პროფესიული თეატრი აღდგენილი იქნა 1850 წელს გიორგი ერისთავის ინიციატივით, რომელიც ერთსა და იმავე დროს იყო თეატრის ხელმძღვანელიც, რეჟისორიც, მსახიობიც.

არ შეგვიძლებთ 50-იანი წლების თეატრის მუშაობის აღწერასა და ამ თეატრის ურთიერთობაზე რუსულ თეატრთან. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ქართული თეატრი XVIII საუკუნეში კომედით ამტკიცებდა და 1850 წელსაც, როცა იგი გიორგი ერისთავის მეთაურობით ხელახლა აღდგა,

სცენის ფარდა კომედიით აიხადა. ამ თეატრში კომედიის ჟანრის მკვიდრად ქონდა ფუნქციონირება და შემდგომ პერიოდშიც მისი გუნდობა ამ სახით მიმდინარეობდა.¹³ დასაინათა, რომ კ. ერისთავმა, დიდმა თავყანისმცემელმა და მთარგმნელმა გრიბოედის კომედიის, ვერ განასიორციელა თავის სცენაზე მისი დადგმა. ვფიქრობთ, რომ ეს გამოწვეული იყო სილოუების მკაცრი რეჟიმით.

იმის გამო, რომ ვერც რუსული და ვერც ქართული დრამატული თეატრი ვერ აკმაყოფილებდა მეფის მთავრობის მოთხოვნებებს, 1856 წელს დაიშალა ქართული თეატრის დასი. ხოლო ორი წლის შემდეგ იგივე ბედი ეწია რუსულ დასსაც. ამრიგად, ერთივე და მეორეც მეფის რეჟიმული რეჟიმის მსხვერპლი გახდა.

1866-67 წლებში რუსულმა თეატრმა კვლავ განაახლა თავისი მუშაობა და 1867 წ. მან სწორი კვლავ კომედიით „ვაი ჭკუისაგან“ გახსნა. ამ სპექტაკლის დადგმაც ჩვენ ვერ შეგვიქანა ნათელი, გარკვეული შესწევულება, ვინაიდან ვაჭაბუკი მითათესებელი რეჟისორები ერთმანეთისაგან სრულიად განსაზღვრულ ცნობებს ვევაწვიან. ასე მაგალითად, ქართული კულტურის ცნობილი მიმდევარი კ. წერეთლის რეჟისორიდან ირკვევა, რომ კომედიის დადგმამ ვერ დააკმაყოფილა თბილისის საზოგადოება.¹⁴ ნ. ვ. ორლოვი კი აღატყობულია კომედიის დადგმით.¹⁵

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის რუსული დასი ძირითადად მოდებოდა მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობები-საგანს,¹⁶ ანდა მსახიობებისაგან, რომლებმაც გაიარეს მცირე თეატრის სკოლა. ამიტომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისის რუსული თეატრალური დასი აგრძელებდა მოსკოვის მცირე თეატრის ტრადიციებს და კომედიამ „ვაი ჭკუისაგან“ წამყვანი ადგილი დაიკავრა თბილისის რუსული თეატრის რეპერტუარში.

განსაკუთრებით დიდი როლი რუსულ-ქართული თეატრალური ურთიერთობის გაღრმავებაში მიუძღვის მოსკოვის მცირე თეატრის მხატვრულ ხელმძღვანელს, თბილისის მკვიდრს ა. სუშნაიაშვილ-იუვიჩს, რომლის ხელმძღვანელობითაც მცირე თეატრი ჩამოიფიქრა საგასტროლოდ საქართველოში.¹⁷

მოსკოვის მცირე თეატრმა არა ერთხელ წარმოადგინა თბილისში ადგილობრივი მაყურებლებისათვის საყვარელი პიესა „ვაი ჭკუისაგან“. ამ პიესას განსაკუთრებული წარბეჭდა სედა 1887 წელს, როდესაც ა. სუშნაიაშვილ-იუვიჩი ჩამოვიდა საცინასთან ერთად. ჩაკცის როლს ასრულებდა იუვიჩი, ლიზას კი — სავანა.

რუსულ სცენაზე დიდი წარმატებით ჩატარდა საიუბილეო სპექტაკლები 1879, 1885, 1889, 1895 წლებში.

ჯერ კიდევ ორი კვირით ადრე 1879 წლის 13 იანვრის გაზეთში „დროებაში“ გრიბოედის გარდაცვალებიდან 50 წლის მუსრულობის გამო აღწინაა საზოგადოებას სადღესასწაულო წარმოდგენების გამართვის შესახებ.

შეზარდა საინტერესოა გრიბოედოსადმი მიძღვნილი საიუბილეო სპექტაკლი სცენისმთავართა ჯგუფის მიერ, რომელიც ჩატარდა „ტიფლისის კრედიტის“ სცენაზე, ახალაღილ სამხატვრო აკადემიის შენობაში, გრიბოედის ქუჩაზე. საგულისხმოა, რომ როდესაც ასრულებდნენ გრიბოედოსის თავყანისმცემლები. ასე მაგალითად: ჩაკცის როლს ასრულებდა დრამატურგი, სცენისმთავარი და რეჟისორი დავით ერისთავი, ფამუსოვის როლს კი — პ. ა. ოპოჩინინი, შვილი — პ. ოპოჩინინისა, რომელიც კარგად იცნობდა გრიბოედოსს.

1879 წ. „დროება“ და „უკვაკაზი“ იტყობინებოდა, რომ კომედია „ვაი ჭკუისაგან“ იუბილეს დღეს წარმოდგენილი იყო როგორც „ტიფლისის კრედიტში“, ისე თეატრში. „პიულეტები ამ წარმოდგენის თითქმის ერთის კვირით წინათ იყო აღატყობული, ისე რომ სტაჟინების, რომელიც ამ წარ-

მოდგენიდან შემოსული ფულით უნდა დაარსდეს გრიბოედოსის სახელობაზე, საკამო ფული შეუგროვდებოდა.“¹⁸

1881 წლის „დროება“ № 36 კი ვევაწყებს, რომ კომედიის ტრეპი, რომელიც ივისრია კომედიის დადგმისა შემოსულის თანხის მოგროვება გრიბოედოსის სახელობის სტაჟინების დაარსებისათვის, აცხადებს, რომ „...4 000 მან. მოვაკრავდეთ და ამ ფულის სარგებლობით ქაჯრის კლასიკურ გიმნაზიაში ერთი სტაჟინება დაინიშნება, რომელსაც მიიღებს მხოლოდ ადგილობრივი მცხოვრებლის შვილი“.

ორიგინურად ჩატარდა სპექტაკლი „ვაი ჭკუისაგან“ 1886 წლის 20 აპრილს. მსახიობებს უთამაშებდა „მეოცე საუკუნის ტანსაცმელში“ („უკვაკაზი“, № 86).

ამავე წელს „ვაი ჭკუისაგან“ წარმოდგენილი ღარიბების სასარგებლოდ (ტიფლისკი ლისტოკი“, 1886, № 126).

1895 წლის „ტიფლისკი ლისტოკი“ ვევაწყებს, რომ იმპერატორის დაბადების დღის აღსანიშნავად 6 მაისს წარმოდგენილი კომედია „ვაი ჭკუისაგან“.

ვერც საინტერესო მასალას ვეაძლევს საქართველოს პრესა გრიბოედოსის უკვდავი კომედიის თბილისში რუსულ სცენაზე განსახიორების შესახებ. თემა იმდენად დიდია, რომ ჩვენ ადგილის სიმიცობის გამო მასზე ვერ შევირდებით. სურათის სისრულისათვის სალოუსტრაციოდ ვასახელებთ იმ გაზეთებისა და ჟურნალების ნომრებს, რომლებზეც ეჭება თბილისის სცენებზე დადგმებს. აქედან ნათლად ჩანს, თუ როგორ ინტერესით ევიდებოდა რეველუციამდელი საქართველო გრიბოედოსის უკვდავ კომედიას:

1832 წ. „ტიფლისკი ვედომოსტიკა“ № 3; 1846 წ. „უკვაკაზი“ № 39, 41, 42; 1851 წ. „უკვაკაზი“ № 14, 24; 1867 წ. „უკვაკაზი“ № 99; 1868 წ. „დროება“ № 1, „უკვაკაზი“ № 1, 3; 1869 წ. „უკვაკაზი“ № 132; 1871 წ. „უკვაკაზი“ № 121; 1873 წ. „უკვაკაზი“ № 62, 64, 72, 74; 1876 წ. „ტიფლისკი ვესტნიკი“ № 40, 50; 1877 წ. „უკვაკაზი“ № 105; „ტიფლისკი ვესტნიკი“ № 113; 1878 წ. „უკვაკაზი“ № 168, 294, 1879 წ. „უკვაკაზი“ № 11, 13, 14, 16, 23, 24, 25, 30, 31, 210; „ტიფლისკი ვესტნიკი“ № 250; 1880 წ. „უკვაკაზი“ № 151; 1881 წ. „დროება“ № 36; „უკვაკაზი“ № 141; 1882 წ. „უკვაკაზი“ № 2; 1883 წ. „დროება“ № 77; „უკვაკაზი“ № 133; 1884 წ. „უკვაკაზი“ № 29, 31, 133, 155, 179; „ნოვოე ობოზრენიე“ № 153, 155, 349, 504; 1885 წ. „უკვაკაზი“ № 29, 31; „ნოვოე ობოზრენიე“ № 504; 1886 წ. „უკვაკაზი“ № 86, 91; 1887 წ. „ივერ ობოზრენიე“ № 5, 8, 9, 21, 33; „უკვაკაზი“ № 12, 102; „ნოვოე ობოზრენიე“ № 1051, 1053, 1055, 1074; „ტიფლისკი ლისტოკი“ № 36, 86, 88, 91, 116, 124, 126, 127; 1888 წ. „ტიფლისკი ლისტოკი“ № 14; 1889 წ. „ივერია“ № 194, 199; „ნოვოე ობოზრენიე“ № 1889, 1891; „ტიფლისკი ლისტოკი“ № 14, 207; 1890 წ. „ივერია“ № 21, 1891 წ. „ივერია“ № 27, 28, „ნოვოე ობოზრენიე“ № 2426, 2449, 2711, 2715; „ტიფლისკი ლისტოკი“ № 253, 265; 1892 წ. „უკვაკაზი“ № 145; „ტიფლისკი ლისტოკი“ № 127; 1894 წ. „ივერია“ № 276, 277, „უკვაკაზი“ № 1, 3, 4, 5, 10, 104, 345; „ნოვოე ობოზრენიე“ № 3544, 3738, 3781, 3783; 1895 წ. „უკვაკაზი“ № 11, 33; „ნოვოე ობოზრენიე“ № 3786, 1787, 3798; „ტიფლისკი ლისტოკი“ № 8, 10, 11, 34, 98, 99, 102; 1897 წ. „უკვაკაზი“ № 98, 99, 170; „ტიფლისკი ლისტოკი“ № 95, 247; „ტიფლისკი კაბა ენა“ № 11-12; 1898 წ. „ნოვოე ობოზრენიე“ № 4917, 4919, 4920, 4921, 4922; „ტიფლისკი ლისტოკი“ № 95, 102; 1899 წ. „უკვაკაზი“ № 203, 205; „ნოვოე ობოზრენიე“ № 5348, 5293, 5515; 1900 წ. „უკვაკაზი“ № 40, 44, 47, 72; „ივერია“ № 211,

228, 231; „კავკასი“ № 282, 286; „ნოვოე ობოზრენიე“ № 5484, 5489, 5507, 5509; 1901 წ. „კავკასი“ № 38, 149, 194, 250, 259, 303; 1902 წ. „ნოვოე ობოზრენიე“ № 6192, 6287; 1905 წ. „კავკასი“ № 47; 1906 წ. „კავკასი“ № 227; 1909 წ. „კავკასი“ № 24; 1910 წ. „კავკასი“ № 47; 1906 წ. „კავკასი“ № 227; 1909 წ. „კავკასი“ № 24; 1910 წ. „კავკასი“ № 31, 32, 33, 34, 35, 36, 38, 43, 45, 46, 47, 108, 233, 242, 244; 1911 წ. „კავკასი“ № 29, 30, 32, 33, 40; 1912 წ. „კავკასი“ № 243; 1913 წ. „კავკასი“ № 5, 261; „სასახლე გაზეთი“ № 1042, 1043; 1914 წ. „კავკასი“ № 218, 249, 276; 1917 წ. „კავკასი“ № 205, 218, 230.

„ეკი ჭკუისაგან“ თბილისში სომხურ ენაზე წარმოუდგენია 1881 წლის 8 იანვარს. დავით ერისთავმა ფრცველი რეცენზია მიუძღვნა ან დადგამა ადგილობრივი ჟურნალში „პორც“. კომედია სომხურ ენაზე წარმოუდგენიათ 1882, 1891, 1893 წლებშიც.

ქართულ პროფესიულ სცენაზე გრიბოედოვის კომედია დაიდგა უარყო მოვლენებით, ალბათ პროფესიული თეატრისა და კარსი თარგმანის უქონლობის გამო. არსებობს ცნობები, რომ გრიბოედოვის კომედიის ქართულ სცენაზე დადგმის ცდებით თბილისში იყო ჯერ კიდევ 1853 და 1879 წლებში. შემდეგ 1884 წლის გაზაფხულზე ცნობილი მსახიობის კოტე მესხის საბუნებისმეტყველოდ წარმოუდგენიათ ქუთაისში. ამის შესახებ „დროების“ № 117 ქუთაისელი კორესპონდენტი (კოფიაშვილი) იტყობინებოდა: „მოთამაშენი იყვნენ სცენისმოყვარენი. სახლები ბევრი დაქსოვნი წარმოადგინა. ლაზიანად ითამაშა კ. მესხი (ჩაცკი) და ან. ლორთქიფანიძემ (ფამუსოვი). კომედია ცუდად არის ნათარგმნი. ტაძის კერა და „ბროკაჟი“ ყვირილი განუწყვეტელი იყო“ (აქვეთი გულისხმობდა ვ. წინამძღვრისშვილის თარგმანს). იგივე ცნობებს გვაწვდის გაზეთი „კავკასი“.

1886 წლის 23 თებერვალს კომედია ისევ კ. მესხის საბუნებისმეტყველოდ დაიდგა ქ. ქუთაისში. როგორც განაწილებული ყოფილა მომღვაწიარად: ჩაცკი — კ. მესხი, ფამუსოვი — აბაშიძე, შილაჩაინი — ალექსანდრე-მესხიველი, ლიზა — საფაროვა-აბაშიძე, სკალოზუბი — ცვაგარევი.

თბილისში კომედია წარმოუდგენიათ 1887 წ. 11 იანვარს. დადგმას დიდი გამარჯვება ხვდა და მსახიობებმაც მაყურებელთა საერთო მოწონება დაიმსახურეს. ჩაცკის როლს ასრულებდა კოტე მესხი, ფამუსოვისას — ვ. აბაშიძე, შილაჩაინისას — ლ. მესხიშვილი, სკალოზუბისას — ა. ცვაგარევი, ლიზას როლს — მ. საფაროვა-აბაშიძისა. დადგმას გაზეთებმა „კავკასი“ (№ 12) და „ივერია“ (№ 13) მაღალი შეფასება მისცეს.

1887 წლის 13 თებერვალს კომედია გაუმეორებიათ ვ. აბაშიძის საბუნებისმეტყველოდ. გაზეთი „ივერია“ № 37 წინანსწარ აცნობა მაყურებელს ვ. აბაშიძის ბუნებისმეტყველოდ წარმოდგენის შესახებ არც ქართულ, არც რუსულ პრესაში აღნიშნული ცნობის გარდა არაფერი გამოქვეყნებულა. 1889 წლის 21 სექტემბერს ქართული თეატრის საბუნებისმეტყველოდ წარმოდგენილ გრიბოედოვის კომედიის დადგმის გამო გაზეთი „ივერია“ № 119 წერდა, რომ ვასო აბაშიძემ ბრწყინვალედ შესრულა ფამუსოვის როლი.

შემდეგი დადგმები იგივე ვ. წინამძღვრისშვილის თარგმანით განეკუთვნება 1890, 1891, 1894, 1895 წლებს.

1890 წლის 28 იანვარს ვ. აბაშიძის საბუნებისმეტყველოდ წარმოუდგენიათ კომედიის I და II მოქმედება. 1891 წლის 8 თებერვალს ქართულ დასის მიერ წარმოდგენილ სპექტაკელში ჩაცკის როლი რუსულ ენაზე შესრულებია არტისტ კოტე მესხის. 1894 წლის 26 სექტემბერს კი კ. მესხის მონაწილეობით და ხელმძღვანელობით კომედია კვლავ ქუთაისში დაუდგამთ. 1895 წლის იანვარში კომედია წარმოუდ-

გენით დრამატული საზოგადოების სახსრების გასაძლიერებლად.

როგორც გაზეთებიდან ირკვევა, თანამედროვენი უმაცულობენ იცვენ წინამძღვრისშვილის თარგმანით. 1887 წლის გაზეთ „კავკასი“ (№ 12) რეცენზენტი უპირისპირებს ერისთავის ვ. წინამძღვრისშვილისა და ვ. ერისთავის თარგმანს და უპირატესობას აძლევს ერისთავისშვილისა. გაზეთ „ნოვოე ობოზრენიე“ (№ 2449) ფრცველზე კი მოთასებულა ცნობა იმის შესახებ, რომ ვ. აბაშიძემ დაითმანა აკაკი წერეთელი, რათა მან დაეხმარებინა წინამძღვრისშვილის თარგმანს, რომ ცოტა მაინც შეამსუბუქოს თარგმანის ნაკლი, ვინაიდან ქართული დრამატული ჯგუფი ენაზედაც კომედია „ეკი ჭკუისაგან“ ქართულ ენაზე დასადგმელად. ა. წერეთელს ალბათ ვერ გახსურებია ცნობა ვ. აბაშიძის თხოვნა. ეს იქნადა ჩანს, რომ ვ. წინამძღვრისშვილის თარგმანით დადგმულ გრ. ბოედოვის კომედიაში ადგილ-ადგილ ჩართული იყო ერისთავისშვილი თარგმანის ნიშნულები.¹⁹

ამრიგად, სპექტაკლის წარმატებას ძლიერ უშლიდა ხელს კარგი პოეტური თარგმანის უქონლობა. ამ გადამწყობას ყურადღება მიაქცია ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ. მისი დაველოდო, პოეტმა ქალმა დომინიკა ერისთავმა მდებარე-განდევლობა თარგმნა კომედია ლექსად.

ამ თარგმანით კომედია თბილისში წარმოადგინეს 1900 წლის 15 ოქტომბერს.

როგორც რეცენზიებიდან ირკვევა, კომედიის დადგმა ვერ ჩაბრუნულა სათანადო სიმაღლეზე.

ჟურნალ „კვალის“ № 43 მოთავსებული წერილის დასაწყისში რეცენზენტი გადამხიციებს კომედიის დიქტიონარს და პერსონაჟებს დახასიათებას. შემდეგ იუ უარყოფით შეფასებას აძლევს როგორც კომედიის დადგმას, ისე მსახიობთა თამაშს.

რეცენზენტის ყველაზე მაგარი მათრახი მოხვდა რევიზორს. იგი აღნიშნავს: „საზოგადოდ კი პიესამ სასურველად ვერ ჩაიბარა და ამაში რამდენიმე ბრალი თვით რევიზორსაც ეიბა. მისი ხელი და მუშაობა სრულებით არ ანდა არტისტთა თამაშს. არტისტებ ვერ შეეცნობთ თავისი როლები და, მიერის, რატომ რევიზორის არ დაქანება ან სპექტაკლში“; რევიზენტი მიუთითებს რევიზორს „პოლონეზის“ გავიჯობად. „რა საჭირო იყო „პოლონეზის“ ასე გაგებოლება — არ მესმის. ამან მხოლოდ ერთი სახარბიო ატეხა საზოგადოებაში და მეტი არაფერი. ეს ცვკვა კი არა უფრო იხსურება იყო და ნუ-თუ რევიზორის არ შეეძლდ ასეთი იხსურება შეემოკლებინა ანდა სულ გამოეშვა“.

როგორც რეცენზიიდან ირკვევა, რევიზორი ვ. გუნიუას უსახსრისმეტყველოდ მოექცა არა მარტო კომედიის დადგმას, არამედ განდევლისეულ თარგმანსაც.

კვალის № 43-ის რეცენზიაში მოყვანილია რამდენიმე ნაწყვეტი განდევლის თარგმანისა. ჩაცკის ერთი მონოლოგი: „...Куда деваться от княжен“ თარგმანი სცენაზე წარითქმული იყო დამახინჯებულად. (ჩაცკის როლს ასრულებდა კ. მესხი).

რუსეთში მიყოფა ალ. ხახანაშვილმა წაიკითხა ზემოაღნიშნული სტატია და მისი საშუალებით არასწორი შეხედულება შეეშვა კომედიის ქართულ თარგმანზე, მან თავისი აზრი გამოთქვა გაზეთ „რუსკიე ვედომოსტის“ (1900 წ. № 308) ფრცველზე, სადაც ალ. ხახანაშვილი მიუთითებდა თარგმანის უხარისხობაზე და თავის მეგობარ ქალს უსაყვედურებდა ალ. გრიბოედოვის კომედიის თარგმანს სასკოლო გამოცემიდან.

ალმუხთებულმა განდევლობა ჯერ წერილი მისწერა ალექსანდრე ხახანაშვილს, ხოლო შემდეგ უკრალ „ივერიაში“ (№ 47) სათაურით „მცირე შენიშვნა“ მოათავსა. წერილი ამავე უკრალის № 43 მას მიერ თარგმნილი ჩაც-

კის მონოლოგის შეცვლილი სახით გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. ამით მთარგმნელმა სიმართლე უთხრა შეცვლაში შეყვანილ საზღვარებებს.

აი, რას წერს განდევლილი: „ნება მიბოძეთ ვაუწყო, როგორც თქვენი პატივცემული გაუთვის მეთხზნველი, ის სხვათაც, რომ მე, როგორც მთარგმნელი ამ პიესისა მეტად გამაოცა 19 თებერვლის ქართულ თეატრის სცენიდან წარმოთქმულმა ჩაცვის ერთმა მონოლოგმა, რომელიც გრიბოედოს ვის კლასმა არ ეკუთვნის და მით უმეტეს ვერც მე ჩაიღვინდი ასეთ თავმჯდომას, რომ ჩემი მხრით რამე ჩაემბატონებინა ამ უკვდავ ნაწარმოებში...“

„ამიტომ ვბოძებ თქვენსავე გაზეთში დაბეჭდვით ამ მონოლოგის დედანი და ჩემი ნამდვილი თარგმანი“.

განდევლის თხოვნა დაკმაყოფილებული იქნა.

თუ ერთმანეთს შევადარებთ სცენაზე წარმოთქმულ ჩაცვის მონოლოგს („კვალის“ № 43) და განდევლის თარგმანს („კვალის“ № 47) ნათელი გახდება, რომ არავითარი მსგავსება მათ შორის არ არის.

ამრიგად, განდევლის აღმწოდების მიზნები ქონია. თუ ვის მიერ იქნა ეს თარგმანი დამახინჯებული, ვერ დავადგინებ.

განდევლილი იქვე იძლევა შენიშვნას ალ. ხახანაშვილის წერილზე, რომელიც ეხება პიესის თარგმანს: „ეს წერილი დაწერილი მოხდა, როცა „რუსსკიე ველომოსტი“ (№ 380)²⁰ წვდითხე დიდად პატივცემული პროფესორის ალ. ხახანაშვილის წერილი ჩემი თარგმანის „ეი ჭკუისაგან“ შესახებ. მე სრულიად არ მივიკრს, რომ პატივცემულ ავტორს სამართლიანი აზრი ვერ შეუდგენია ამ თარგმანის შესახებ: დამეთანხმებით, თითქმის სამი ათას ვერსზე მოყოფისათვის ადვილი არ გახლავთ კრიტიკის დაწერა მთელს რუსეთს, როცა საწერილი სავანი ხელთ არ აქვს, არც მთლიან წაუკითხავს და მხოლოდ დამახინჯებულის ხალხურად აცხადებს. თუ კი ჩვენ, რომელიც რამდენჯერმე გადავკითხავს ეს თარგმანი და უფრო მეტი საშუალება გვიქონდა სიმართლეს არ ავადგინოთ, ვერ შევიძლიოთ ნამდვილი გაგება, არ წამითხველი ხომ იმით არსებებულბა, რაც აქაურმა გაზეთებმა მიწაწაღეს.“

განდევლის საპასუხოდ ამავე ნომერში მოთავსებულია რედაქციის შენიშვნა, რომელიც ბოდროს იხდის განდევლის წინაშე.

ამ სპექტაკლს ვრცელი წერილით გამოეხმაურა იმედარევილი „მოკეთის“ ფსევდონიმით გაზეთ „ივერიაში“

(№ 231), სადაც იგი კიცხავს როგორც რეჟისორს, ისე მსახიობებს, გრიბოედოს კომედიის მიმართ ასეთი უპასუხისმგებლო მოპირებლობისათვის.

სრულიად სამართლიანი იყო გაზეთების მაცერი კრიტიკა კომედიის „ეი ჭკუისაგან“ წარმოდგენის გამო 1900 წლის 19 თებერვლს.

მოკლე საუკუნის დასაწყისში ქართული თეატრი კვლავ ნიმიშვანულიან ფაქტორის წარმოადგენდა ეროვნული სპექტრის განვითარებაში. ქართული თეატრის მოღვაწეები აღრმაკვედინენ იმ ტრადიციულ კავშირს, რომელიც რუსულ თეატრთან დამყარებული იყო ვერ კიდევ მეოთხეამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამ შრივ განსაკუთრებით საინტერესო იყო გამოჩენილი ქართველი მსახიობის ლადო მესხინიშვილის (ვლადიმერ სარდიონის ძე ალექსი-მესხინიშვილის) მოღვაწეობა. მან რუსულ სცენაზე მიღებული გამოცდილება ნაყოფიერად გამოიყენა ქართულ თეატრში — 1915 წლის 14 ნოემბერს ლ. მესხინიშვილის რეჟისორობით თბილისში ქართულ სცენაზე დაიდგა კომედია.

„სახალხო გაზეთმა“ (№ 1042, 1043) სათაური „ქართული თეატრი“, წინასწარ აცნობა საზოგადოებას ამ სპექტაკლის შესახებ. „ხუთშაბათს 14 ნოემბერს ბერფისი ტასო აბაშიძისა — წარმოდგენილი იქნება „ეი ჭკუისაგან“. თარგმანი განდევლისა. ამ პიესისათვის შეეკრითა ახალი ტანსაცმელი, დაბატულია ახალი დეკორაციები. რეჟისორი ვლ. ს. ალექსი-მესხინიშვილი. მონაწილეობენ: ქანია: ტასო აბაშიძე, ასათიანი, ჯავახიშვილი, ქიქოძე, ჩერქეზიშვილი, ბ-ნანი: ვ. აბაშიძე, არაღვლი-იშხნელი, ბარველი, გომელაური, გუჩია, ზარდალიშვილი, იმედაშვილი, მამფორია, მესხი, სარაული, თარაღაშვილი, ურუშაძე, ხონელი, ციციშვილი, შალიკაშვილი, შანშიაშვილი და სხვ.“

გაზეთ „კავკაზში“ (№ 261) მოთავსებულ ბერფისი წერილში კავად არის შეფასებული ეს დიდგმა და განსაკუთრებით კი მისი თარგმანი.

ამრიგად, ალ. გრიბოედოს კომედია „ეი ჭკუისაგან“ ქართული სცენის მუდმივი თანამგზავნი იყო. მას ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა რეკლუციამდელ სცენაზემის იდეურ და მსატერულ ღირებულებას დიდად აფასებდნენ ცნობილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, მსახიობები, რომლებმაც შექმნეს არხოვანის კომედიის სცენური იერსახეები: კ. მესხი, ვ. აბაშიძე, დ. ერისთავი, ა. სუბიათაშვილი-იუენი, ტასო აბაშიძე, იმედაშვილი და სხვები.

შ ე ნ ი ვ ნ ე ბ ი :

¹ Грибоедов, Сочинения подготовка текста, предисловие и комментарии Вл. Орлова, М.-Л., 1959, стр. 32.

² Акты казавской археологической комиссии, т. XI, стр. 914.

³ В. А. Фидлипов. «Горе от ума» А. С. Грибоедова на русской сцене», Москва, 1954.

⁴ ვინა შაღური. «გრიბოედოვი და საქართველო», თბილისი, 1954 წ. გვ. 35.

⁵ იხილეთ: «Тифлиссие ведомости», 1832, № 3; «Молва», 1832 წ. № 26; «Русская старина», 1874, № 8.

⁶ რუსულან საყვარელიძე. «ქართული თეატრის ისტორიიდან», თბილისი, «ხელოვნება», 1956 წ., გვ. 66.

⁷ დაწერილობით იხილეთ: ა. გახინილაძე, «ნარკვევები XIX საუკუნის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან», თბილისი, 1957 წ.

⁸ ეურნალი «მნათობი», 1938 წ., № 12.

⁹ საქართველოს ცენტრალური საგანგებო მმართველობის საქმეთა ფონდი, საქმე № 171.

¹⁰ ეურნალი «მნათობი», 1945, გვ. 108.

¹¹ А. С. Грибоедов «Горе от ума», вступление и статьи И. К. Ениколопова, Тбилиси, 1946, стр. 178.

¹² «კავკაზი», 1851 წ., № 24.

¹³ ს. გერსიაი, «ვისო აბაშიძე», თბილისი, 1948 წ., გვ. 122.

¹⁴ «დროება», 1868 წ., № 1.

¹⁵ «კავკაზი», 1868 წ., № 3.

¹⁶ დაწერილობით იხილეთ: Г. Бухникашвили «Московский малый театр», Тбилиси, 1964 г.

¹⁷ დაწერილობით იხილეთ: Г. Таиашвили, «Русско-грузинские литературные взаимоотношения», Тбилиси, 1957 г. стр. 267-298.

¹⁸ «დროება», 1879, № 25.

¹⁹ ვახ. «ნოვოე მოზობრენიე», 1891, № 2454.

²⁰ «კვალის» 1900 წ. № 47 დამუშავებული კორექტორული შეცვლა. ალ. ხახანაშვილის რეცენზია მოთავსებულია გაზეთ «რუსული ველომოსტი» 1900 წლის არა № 380, არამედ № 308.

შენიშვნები ქართული კინოს ისტორიის საკითხებზე

გიორგი ხარატიშვილი

ქართულ კინოხელოვნებას მდიდარი წარსული აქვს. ჩვენი ფილმები 20-ან წლებშივე გავიდა საკავშირო ასაპრუხზე და ახალი თანრის თუ სოციალურ-რევოლუციური თემის დამკვიდრებით, ხელი შეუწყო მთელი საბჭოთა კინოხელოვნების მხატვრულ და იდეურ პროგრესს. 20-ან წლებში, ყოველ შემთხვევაში, მის პირველ ნახევარში, ქართული ფილმები თემის აქტუალობითა და მხატვრული ღირსებით, წინ უსწრებდა, ა. ვ. ლუნაჩარსკის დასკვნებით რომ ეიმსჯელოთ, ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკის მიღწევას. 1925 წლიდან ქართული ფილმები დასავლეთ ევროპისა და აზიის ქვეყნებშიც გამოჩნდა და 30-ანი წლების დასაწყისში საბჭოთა კინოექსპორტის თითქმის ნახევარს შეადგინდა.

ჩვენ გვაქვს დრამის, ოპერის, მუსიკის, სახვითი ხელოვნების მეცნიერულ ნიადაგზე დაფუძნებული ისტორია, მაგრამ არა გვაქვს გამართული კინოს ისტორია. ქართული კინო 60 წლის ასაკს გადასცილდა, მაგრამ ჯერჯერობით კიდევ ვერ შევქმენით მისი სრულად ამსახველი ისტორია, მაშინ, როდესაც ეს შესძღეს ისეთმა რესპუბლიკებმა, რომელთა კინოხელოვნება ჩვენსაზე ახალგაზრდაა.

ქართული კინოს ისტორიის შედგენას ზოგჯერ ისეთი პირობები კისრულობენ, რომელნიც ღრმად არ იცნობენ ჩვენს ისტორიას, კულტურას, ლიტერატურულ წყაროებს და ამის შედეგად კერიოზულ ამბებსაც წერენ. მაგალითისთვის: კორა წერეთელი თვლის, რომ რეჟისორ ალ. წუწუნავას ფილმი „კინ არის დამნაშავე“ შექმნილია ეგ. ნინოშვილის ნაწარმოების მიხედვით.¹ როსტისლავ იურენკვის სურს დაადგარწმუნოს, რომ „სანდრო ჟორჯიანიანს თავის მრავალრიცხოვან კომედიურ სახეებში გამოსახა ხელისან კინტოს ერთგული თვისებები“,² რომ კინოკომედია „ქუშუბას მზიივის“ რეჟისორი სიკო ფალავანდშიშვილი სერკვი ეი-

ზენშტეინის მოწაფე იყო³ და სხვა. რ. იურენკვს არც ირინე რატიანი ჩამორჩა და წერილში „კ. მარჯანიშვილი კინემატოგრაფიაში“ აგვიწერს, თუ როგორ გამოიყენა დიდმა რეჟისორმა 1928 წელს კინოკადრები გ. ბუხნიკაშვილის პიესის „კი. მაგრამ“-ის გასცენირების დროს. ასეთი კურიოზული შემთხვევების დასახელება კიდევ მრავლის შეიძლება.

ქართული კინოისტორიოგრაფია ჯერ კიდევ ერთბა დარბია. კინოხელოვნების საკითხებზე პირველი კომპეტენტური შრომა მხოლოდ 1928 წელს გამოქვეყნდა. ეს იყო სერგო ამალოშვილის „თეატრისა და კინოს პრობლემები“. შრომა თეორიული ხასიათისაა და განიხილავს კინოხელოვნების მთავარ თეორიულ საკითხებს, რომელნიც იმ წლებში პრობლემური იყო. 1933 წელს რუსულად გამოიცა ა. დუდუჩაგას «Проблемы национальной кинематографии», რომელიც როგორც თეორიულ, ასევე ქართული კინოს ისტორიის საკითხებსაც ეხება. მიუხედავად იმისა, რომ ალ. დუდუჩაგას შრომაშიც გვხვდება შეცდომები, იგი რჩება ქართული კინოხელოვნების აწმყოსა და წარსულის განალიზების პირველ ცდად.

ქართულ კინოისტორიას საფუძველი ჩაუყარა კინოდრამატურგმა კართლ გოგოძემ თავის შრომით — „ნარკვევები ქართული კინოს ისტორიიდან“ (1950 წ.). კ. გოგოძე ადრევე, 1925 წელს მივიდა სამუშაოდ „სახკინმრეწვეში“. მოსკოვში უმაღლესი სპეციალური განათლების მიღების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ქართულ კინოს და ცოცხალი იმწმე გახდა ყოველივე იმისა, რაც კინომრეწველობაში მოხდა დღემდე. კ. გოგოძემ შექმნა ქართული კინოს განვითარების სისტემატური კურსი, გააანალიზა ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა. მანვე შექმნა ორი ისტორიული ხასიათის ნაშრომი: „ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის 40

წელი“ (1961 წ.) და „ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის გზები“ (1965 წ.). დაწერა მონოგრაფიები ვახილ ამპუტაციულზე, ალექსანდრე წერეთელზე, კოტე მარჯანიშვილზე, ივანე პეტრუციაშვილზე, ნატო ვაჩაბაძე და სხვ.

ქართულ კინემოდენოზასა და ისტორიოგრაფიას ბოლო წლებში ეთმობა კორა წერეთლის მონოგრაფიები: «Юность экрана» (1965), «Николай Шенгелая» (1968), «Киноискусство советской Грузии» (1969). აკავი ბაქრაძის „კრიტიკული ვითუდები“ (1967 წ.). ცალკეული ნარკვევების ავტორები არიან: შოთა სალუქვაძე, ნათა ამირკიციანი, თათარ სეფიაშვილი, გიორგი უზნაძე, გივი ბარამიძე და სხვ. გიორგი დოლიძის მონოგრაფია „მაიაკოვსკი და კინო“, მართალია ქართული კინოხელოვნების საკითხებს არ ეხება, მაგრამ იგი მაინც ქართული კინომოდენოზის შენაძნობა.

ქართული კინოხელოვნების განვითარებას განიხილავს აგრეთვე საბჭოთა კინოხელოვნების ისტორიის კურსები: სამხრეთული — «Очерки истории советского кино»⁴, Н. Лебедев. «Очерк истории кино СССР»⁵ «Краткая история советского кино» (1969)⁶, «История советского кино»⁷, პირველი ტომი.

კინოს ისტორიის ზემოთ ჩამოთვლილ სახელმძღვანელოებში კარგადაა ერთად უმართავი შეცდომებია, რაც მეგრ შემთხვევაში ჩვენი ისტორიისა და კულტურის ზრეველ ცოდნითაა გამოწვეული. ყველაზე მეტი უზუსტობანი კი, საწმუხაროდ, ჩვენს თანამემამულეს კ. წერეთელს მოსდის. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მისი ნაშეუდი შრომები: 1. „ოუზსტ ვერანა“, 2. „საბჭოთა საქართველოს კინოხელოვნება“, 3. „საბჭოთა კინოს ისტორიადან“. პირველ ტომში დაბეჭდილი თავი „ქართული კინო“ (გვ. 613-652).

შოგიერთ სახელმძღვანელოში პირველი ქართული მხატვრული ფილმის „ქრისტინეს“ გადაღების თარიღად 1920 წელს დასახელებული, ან ზოგადად იყრება, „მემორიების პერიოდში“. მაგალითად. 8. ლაბეშვილი თავის „სსრკ კინოს ისტორიის ნარკვევებში“ წერს: „1920 წლის ბოლოს და 1921 წლის დასაწყისში ალ. წუწუნავამ გადაიღო პირველი ქართული მხატვრული ფილმი „ქრისტინე“⁸. კინოლექსიკონის პირველ ტომში კი გვითხვლებოთ — „ალ. წუწუნავამ (ე. ნინოშვილის მიხედვით), რევოლუციამდელი საქართველოს გლეხთა გაჭირვებელი ცხოვრების შესახებ 1919 წელს გადაიღო ფილმი „ქრისტინე“⁹ და სხვ.

სინამდვილეში ალ. წუწუნავამ „ქრისტინე“ გადაიღო გაცილებით ადრე, სახელდობრ, 1916 წელს, გერმანე გოგიტიძის დახმარებითა და თანხებით. საქართველოს თეატრალურ მუზეუმში დაცულია ალ. წუწუნავას პირადი არქივი, სადაც ინახება ალ. წუწუნავას ვერულები, რომელიც მას ჟურნალ „დროშის“ რედაქციისთვის გადაუხადა, იმასთან დაკავშირებით, რომ ჟურნალში ქართული კინოს წარსულის შესახებ დაიბეჭდა შ. ალხასიშვილის ნარკვევი. ალ. წუწუნავა რედაქციას წერს:

„ქრისტინე გადაღებულია ჯერ კიდევ იმპერიალისტური იმის პერიოდში სანმდრო კინომატორის მიერ, რომელიც ქრისტინას აღება რუს-ოსმალის ფრონტზე, სურათი გადაიღო გერმანე გოგიტიძემ თავის ხარჯზე, რაგორც ეგრძე ინიციატორმა, ჩემი დადებითი“.

ახლა თანამიმდევრულად აღვნიშნოთ კინოს ისტორიკოს კორა წერეთლის ნამუშევრებში დაზვებული შეცდომები-უსწორებანი:

1. კ. წერეთლის ნარკვევიდან შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ვ. ბარსკიმ, ივ. პეტრუციაშვილმა და ა. ბეკ-ნაზაროვმა 1921 წელს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის ჩამოყალიბებს კინოსექცია, საიდანაც იწყებს თავის ისტორიას ქართული საბჭოთა კინემატოგრაფია.

ეს აზრი მცდარია. საქართველოს განათლების კომისარიატთან კინოსექცია ჩამოყალიბდა კომისარიატის აკადემიური საბჭოს თაოსნობით. ამ საბჭოს ინიციატორი განა და გერმანე გოგიტიძე, რომელსაც მხარში ამოუდგინე ალექსანდრე წუწუნავა და შალვა დადიანი. კინოს სექციის პირველი თავმჯდომარე სწორედ გ. გოგიტიძე დაინიშნა. ვინაიდან, მაშინ საქართველოა შორის არ იყვნენ კინოს გამოცდილი სპეციალისტები და ამიტომ მოიწვიეს ვ. ბარსკი, ივ. პეტრუციაშვილი და ა. ბეკ-ნაზაროვი, რომლებიც იმ დროს თბილისში იმყოფებოდნენ.

2. კ. წერეთელმა ქართული კინემატოგრაფიის 20-იანი წლების მერე სახეების ისტორიად ამორიცხა ისეთი ღვაწლმოსილი, ამავდარი რეჟისორი, როგორც იყო ალ. წუწუნავა.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა როლი შეასრულა ქართული თეატრის დიდმა მოღვაწემ ალ. წუწუნავამ ქართული კინოხელოვნების ორგანიზაციისა და მისი შემდგომი განვითარების საქმეში. როგორც ვთქვით, იგი მხატვრული კინემატოგრაფიის ფუძემდებელია, 1924 წელს გადაიღო „ინ არის დამნაშავე“, რომელიც დიდი მნიშვნელობით სარგებლობდა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში, და-საგლეო ევროპისა და აზიის ქვეყნებში. მისი მოღვაწეობა განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო 20-იანი წლების მერე ნაბეჭდის, როდესაც შექმნა ქართული კინოხელოვნების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობის სამი ფილმი: „ხანუმა“ აკე (კაცარლის კომედიის მიხედვით (1926 წ.), „ორი მონადირე“ ე. ელფენტიძის ნოველის მიხედვით (1927 წ.) და „ჩახვი გურიაში“ ევ. ნინოშვილის ისტორიული თოხთრობის მიხედვით (1928 წ.).

კ. წერეთელის „საბჭოთა კინოს ისტორიის“ პირველ ტომში დაბეჭდილი ნარკვევი ალ. წუწუნავას მხოლოდ ერთ ფილმში — „ხანუმა“ ისხედება; ორ საუკეთესო ფილმს კი — „ორ მონადირესა“ და „ჩახვი გურიაში“ სრულიად არ ახსენებს. „ხანუმას“ ორიოდ სიტყვით განიხილავს და თვლის, რომ იგი არ წარმოადგენდა წინ გადადგმულ ნაბიჯს ვ. ბარსკის ფილმების („თავადის ასული მერი“, „ბეგლა“, „მაქიმო მაქიმოში“) შემდეგ. მას ავიწყდება, რომ „ხანუმა“ იყო ჩვენი ცხოვრების ამსახველი პირველი კინოკომედია, რომ ალ. წუწუნავამ ამ ფილმით ქართულ კინემატოგრაფიაში საფუფველი დაუდო სრულიად ახალ ჯარსს — ნაციონალურ კინოკომედიას. არც იმას ახსენებს, რომ ფილმით როლებს ასრულებდნენ ქართული დამატებითი ხელოვნების კორფეები — ვალერია გუჩია, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ტასო აბაშიძე, ლალო კავკასიძე და სხვ.

როგორც ვთქვით, კ. წერეთელმა ქართული კინოხელოვნების ისტორიად სრულიად ამორიცხა ალ. წუწუნავას ორი უკანასკნელი ფილმი — „ორი მონადირე“ და „ჩახვი გურიაში“.

მართალია, არც მწერალ ე. ელფენტიძის ნოველაში და არც ალ. წუწუნავას ფილმში სოციალური კონფლიქტი არ უჩვენებიათ, მაგრამ, განა ეს უფლებას გვაძლევს დავიფიქსოთ იშვიათი ფსიქოლოგიური დრამა, სადაც ასე იელვა ქართველი მსახიობების (კ. მიქაბერიძე, მ. გულუბანი) ოსტატობამ? ალ. წუწუნავამ „ორი მონადირე“ გადაიღო იმ წლებში, როდესაც საბჭოთა კინოში მსახიობის დანიშნულება ჯერ კიდევ გარკვეული არ იყო (ს. ეიზენშტეინი, ლ. კულშოვი, „ფფქსი“).

„ჩახვი გურიაში“ დიდი მოვლენა იყო არა მარტო ქართული, არამედ მთელი საბჭოთა კინოსათვის. ს. ეიზენშტეინის „ჩახუმისანი პოტიომკინის“ და ვ. პუდოვკინის „დედის“ შემდეგ ისეთი თეატრალ-რეგოლუციური თემაზე 20-იანი წლებში სხვა ასეთი ფილმი აღარ შექმნილა. ფილმში საუკეთესოდაა გამოკვეთილი სახეები, დიდი ხელოვნებითაა

გადაღებულ ბატალური და საერთოდ მასობრივი სტენები, ბუნების პეიზაჟები; რეჟისორი სრულყოფილად იყენებს კინოსტუდენტების სპეციფიკურ საშუალებებს — მსხვილ პლანს, რაკურსს, მონტაჟს.

„ჯანყი გურიაში“ მაყურებელმა კარგად მიიღო და წლების განმავლობაში აწმყენებდა; მას შემდეგ განვლო თბილისში ათეული წელია, ფილმი განახლებას და დღესაც დიდი სიამოვნებით ვუყურებთ მას.

ალ. წუწუნავას არქივში ინახება „ჯანყის“ სცენარი, რეჟისორის სამუშაო გეგმა და წერილები, რომლებიც რეჟისორის კმაყოფილი მაყურებლისაგან მიუღია. გურიაში ამ ფილმის შესახებ ლექსიც კი გამოუთქვამთ. წერილთა შორის არის ცნობილი ქართველი მოღვაწის, ჟურნალ „თეატრი“ და ცხოვრების“ რედაქტორ იოსებ იმედაშვილის წერილიც. აი, რასა წერს იგი რეჟისორს:

გერო ალაოლა!

ჩემ წარმოდგენა რა აღტაცებული ვარ შენი ხარვეზის მუშაობით კინოს დარგში. დრამატულ სცენაზე ხომ მთელი რევოლუცია მოხდებოდა, ახალი ხანა შეგებოდა, ეს მე თავის დროზე აღვიხსნე და ძლიერ შედეგები ვარ, რომ შენი ერთი, პირველი ხელისშეწყობითაა, შენი გამარჯვებაა წინსვლის მოქმე მც ვეუბნე ჩვენი უზრუნველ და პრაქტიკული დახმარებით. უპოვადიერი სიამოვნებით მაგონდება, მაგრამ ის კი არ მაგონს, რომ კინოშიაც ასეთი ქალაქი გამოჩნდებოდა. 1928 წ. 21 მაისი.¹⁰

ალ. წუწუნავას დამსახურება ქართულ კინემატოგრაფიაში მართო რეჟისორობით არ ამიშურდება. იგი იყო მეორე ქართული კინოსცენარისტი, თუ პირველ კინოდრამატურგად სიმონ შალაქს ჩავთვლით. დაწყებული პირველი ფილმიდან („ქრისტინე“) დამთავრებული უკანასკნელი ფილმით („ჯანყი გურიაში“) თვითონვე უკანასკნელნი ისიც სარეჟისორო თეატრალური მუშაუების მასალებიდან ისიც ატარებდა, რომ ალ. წუწუნავა „სახკინემატოგრაფიის“ პედაგოგურ საქმიანობასაც ეწეოდა — კითხულობდა ლექსებს და ასწავლიდა კინოსმანიობის ოსტატობას. კ. წერეთლის სწენებში ნარკვევი 39 გვერდს შეიცავს და გასაკვირია, რომ ქართული კინოსტუდენტების ასეთი დავალებითი დახმარებისათვის მხოლოდ 9 აშკარა გაიმეტა, მაშინ, როდესაც ამ პერიოდის შედარებით ნაკლებ ინტენსიურად მოღვაწეა კ. პალატოვის შემოქმედების განხილვას 7 გვერდი უძღვნა.

3. კ. წერეთელმა მონივრად იაიმი „იუნოსტ გურანა“ მთელი თავი მიუძღვნა ნატო ვანანაძეს და შეეცადა ერეგობისა მსახიობის დაოსტატების პროცესი. აღინიშნა ყველა მის მიერ შესრულებული როლი ვ. ბარსკის, ა. ბუკ-ნახალოვის, ი. პურესტიანის, კ. მარჯანიშვილის, მ. ჭეჭუაშვილის და ნ. შენგელაიას ფილმებში და ერთი სიტყვაც არ თქვა ნატო ვანანაძის ისეთ მნიშვნელოვან როლზე, როგორიც იყო ფატი ალ. წუწუნავას ფილმში „ვიწ არის დამნაშავე?“. 6. ვანანაძე 1923 წელს მოვიდა ქართულ კინოში, როდესაც პირველი ფილმები იქმნებოდა. მოვიდა სრულიად გამოუცდელი და თანდათანობით დაეფულა მსახიობის ოსტატობას. ნატოს დაოსტატებში ყველაზე დიდი დავაწილი მიუძღვის სწორად ალ. წუწუნავას და ეს ბუნებრივია. ალ. წუწუნავა იყო პირველი დიდი და გამოცდილი რეჟისორი, რომელსაც ნატო შეხვდა. ალ. წუწუნავა — კ. ტყეშელაშვილის მოწავე, მისოკივის სამხატვრო თეატრის შემოქმედებითი მეთოდის მიმდევარი, როგორც თეატრში, ისევე კინოშიც, მსახიობს პირველ ადგილზე აყენებდა და როდესაც გარდასახვას ასწავლიდა.

ნატო ვანანაძემ ეს დაუფლავა და თავის მუშაურებში თქვა: „აქედანწინ რაუდნის ძე წუწუნავა იყო პირველი რეჟისორი ჩემი მსახიობის ვაჟზე შეხვედრალი, რომელიც ტყანისდა-

სკის სისტემით მუშაობდა. რეპეტიციების დროს იგი ცდილობდა მსახიობის თამაში ფსიქოლოგიური სიზარბოლის გამოხატვით უყოფილო. იგი ყოველთვის ზუსტ დაღვაწის იძლეოდა. სათანადო მდგომარეობის და მიზანსცენების გამოხატვა შეეძლო. ალ. წუწუნავა ჩვეულო ატარებდა საუბრებს იმ ადამიანთა ხასიათის შესახებ, რომელთა განსახიერება ვგვედგებოდა, როდესაც ანალოზს უკეთებდა და მისი განვითარების ხაზს ვგისახავდა.“¹¹

4. კ. წერეთელი სერიოზულ შეცდომებს უშვებს ქართულ კინემატოგრაფიაში კოტე მარჯანიშვილის მოღვაწეობის შეფასების საკითხში:

ა) „საბჭოთა კინოს ისტორიის“ პირველ ტომში კ. მარჯანიშვილის გადაღებული სურათებიდან განიხილავს მხოლოდ „სამანიშვილის დიდნაცავას“, „ასრულეს“, „გოგი რატკინას“, „ამოქსას“ და „კრახანას“, სურლებით არ ისვენებს ისეთ მნიშვნელოვან ფილმს, როგორიც არის დ. ერემბურტის ნოველის მიხედვით შექმნილი „კომუნარის ჩიზუხი“. თავი დადებებით იმის, რომ კ. მარჯანიშვილმა ამ ფილმში რასა პარიზის კომუნის ბრძოლის დროს შეძლები. აქ მთავარი ახლას ასრულებდა ჩვენი ეპოქის დიდი მსახიობი უშანგა ჩხეიძე, რომელმაც საოცრად დამაჯერებლად, ფსიქოლოგიური სანე შექმნა. რომ არა კ. მარჯანიშვილი, ესე ამ დიდი მსახიობისა და მოქალაქის სახე არ შემოგვენახებოდა. კ. წერეთელი კი უშ. ჩხეიძეზე სიტყვასაც არ ამბობს.

ბ) წერეთელი მართალია მაღალ შეფასებას აძლევს „სამანიშვილის დიდნაცავას“, მაგრამ მას მოეთხოვება იტოვდეს ისიც, თუ ვინ დაწერა სცენარი ამ ფილმისათვის, იგი ერთ ადგილზე წერს, რომ „სამანიშვილის დიდნაცავას“ სცენარი დაწერა ნ. შენგელაიამ და კ. მირსკინი.¹² მირსკინი ადვილზე მხოლოდ ნ. შენგელაიას თვლის ავტორს¹³ და არსად არაფერს არ ამბობს, რომ სცენარის შექმნაში ყველაზე დიდი დავაწილი მიუძღვის დავით სურგულაძის ვაჟიშვილს, ჩვენს სახელოვან შურვალს სიერო კლიდაშვილს.

„სამანიშვილის დიდნაცავა“ საინტერესო კინოკომედია გამოვიდა. მაგრამ გარდა იმისა, რომ კ. მარჯანიშვილმა ფილმში ქართული თეატრის ნიჭიერი ოსტატები ათამაშა (ალ. ჟორცელიანი, ა. ვასაძე, მ. ლამაზაძე, ნ. ჯავახიშვილი და სხვ.), გროტესკული ხერხით კიდევ უფრო გააღრმავა დ. კლიდაშვილის სატირა. ამიტომ, როდესაც „სამანიშვილის დიდნაცავას“ კომიზშიც ვსჯავართ, უნდა მივიგონოთ სახელგანთქმული ქართველი იუმორისტი შალვა შარაშიძეც („თაჯუნას“), რომელიც კ. მარჯანიშვილმა საყვარელიდ მიიწვია ტიტრების შესადგენად და მასაც თავისი მძაფრი იუმორით ბევრი რამ შეემატა ფილმს. მოვიგონოთ ერთი ასეთი კადრი: დადარდაინებული პლატონი თვითონვე მიეგზავრება ბუკინას საცოლის სამებნლად. პლატონი ღარიბი აზნაური იყო და მოუვლელიობისაგან საშინლად გამბდობდა და გაძაღტყავებულ ცხენზე ჰყავდა. გვარანზე ჩნდება ცხენზე მჯდარი პლატონი. ცხენი ძლივს მათორეებს ფეხებს, ბორძიკობს, პლატონი გულმოსული მთარას აწვას, მაგრამ აჯანაყვეტილი ცხენს ადგლიდან ვერ ძრავს. ტიტრში კი ვკითხულობთ ნ. ბარათაშვილის სიტყვებს — „ბრძონის, მიმავლის ჩემი მრინა“ და ასე შემდეგ, მთელი ფილმი ასეთი მოხდენილი, სიუჟეტის შესატყვისი იუმორით იყო შექმნილი.

ბ) კ. წერეთელი წერს: „კ. მარჯანიშვილმა კიევის სოლოვეცკის თეატრში მუშაობის დროს ა. ვოხნესენსკის პეიჯა „ცრემლები“ დაღვა და ხანეთკოვის ფირმამ იგი გვრანზე გადაიღო“. ეს საკითხი დასასუსტებელია. მართალია, ხანეთკოვის ფირმამ გვრანზე გადაიღო კ. მარჯანიშვილის სპექტაკლი „ცრემლები“, მაგრამ კ. მარჯანიშვილი კიევი სოლოვეცკის თეატრში მუშაობდა 1907-1908 წლებს სეზონში და მართა ა. ვოხნესენსკის „ცრემლები“ არ დაუდგინა. ეს სპექტაკლი კ. მარჯანიშვილმა პირველად დადგა 1909 წელს ოდესაში — მ. ბაგროვის ანტრეპრისა-



დ. მამულეშვილი

ჩემი მიწის დედაბაბო.

ში, ხანჭოჩოვის ფირმას არც ეს სპექტაკლი გადაუღია ეკრანზე. ა. ხანჭოჩოვის ფირმამ ეკრანზე გადაიღო კ. მარჯანიშვილის სპექტაკლი, რომელიც მან დადგა მოსკოვში 1911 წლის სეზონის ბოლოს, მოსკოვის სხვადასხვა თეატრის მსახიობთა მონაწილეობით, თუმცა მთავარ როლს, ისევე როგორც 1909 წელს ოდესაში, ახლაც ვ. იურენევა ასრულებდა.

გ) კ. წერეთელს (ქართული კინოს სხვა ისტორიკოსებსაც) სხვათა შორის, აქვს ნახსენები კ. მარჯანიშვილის მიერ თეატრალურ სპექტაკლში კინოფირის გამოყენება. ამ საკითხს უფრო სერიოზული გამოკვლევა სჭირდება, ვინაიდან მას დიდი მნიშვნელობა აქვს თეატრისა და კინოს ურთიერთობის ისტორიისათვის. კინოკადრების დრამატულ თეატრში გამოყენების საქმეში კ. მარჯანიშვილი ნოვატორი იყო და მის გვერდით გერმანელი რეჟისორის ე. პისკატორის, ან პ. ფედოროვის დაყენება შეცდომაა. ერ. პისკა-

ტორმა 1928 წელს ბერლინში („ლესინ თეატრში“) ე. ტოლერის პიესის „პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ დადგმის დროს გამოიყენა კინოფირი ისევე, როგორც ეს გააკეთა მოსკოვში ვ. ფედოროვმა, როდესაც „რევოლუციის თეატრში“ მ. ტოლერის იგივე პიესა დადგა. მაგრამ ამ დადგმათა შორის დიდი განსხვავება იყო და სახელდობრ: ე. პისკატორმა და ვ. ფედოროვმა ბაგარიის რევოლუციის დღეებში გადაღებული კინოქრონიკა გამოიყენეს. ისიც სპექტაკლის დაწყების წინ, ფარდის გახსნამდე. კ. მარჯანიშვილმა კი ყველა სპექტაკლისათვის („პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, „როგორ“, „შუალამეზ გაიარა“) სპექტაკლის მონაწილე მსახიობებით სპეციალურად გადაიღო კინოკადრები, რის მეშვეობითაც სცენიდან მოქმედება გრძელდებოდა კინოში, კინოდან ვერუნდებოდათ სცენაზე და ასე ბოლომდე. ამრი-

(ვაგაბელობა 38-ე გვერდზე).

საქართველოს
ახალგაზრდა
მათემატიკის
ნამუშევრების
გამოფენიდან

დ. ბაშელიშვილი
პირველი მერცხალი.



ვაზო, შე მადლიანო!

გად, სცენა კინოს ორიგინალურად შეერწყა და დაუკავშირდა, რითაც კ. მარჯანიშვილმა დრამატულ თეატრს მისცა გამოსასხვლეობის კიდევ ახალი საშუალება — მსხვილი და საშუალო პლანი, რაც უფრო ღრმად ხსნდა გმირების ფსიქოლოგიურ სამყაროს ვ. პისკატორმა და ვ. ფედოტოვმა კი შექაჩვეულად გააერთიანეს თეატრი და კინო.

5. კ. წერეთელი შრომაში «Николай Шенгелая» წერს: «Основатели студии, режиссеры И. Перстиани, А. Ццунава, В. Барский, А. Бек-Назаров, в своих первых произведениях — «Арсен Джорджишвили», «Три жизни», «Отцеубийца», «Пастырь», «Сурамская крепость», «Разбойник Арсен», созданных в 1921-1925 годы — осуществили экранизацию грузинских классических литературных произведений, которые характеризовались глубокой социальной проблематикой. В центре их были события освободительной борьбы, революционного движения прошлых лет»¹⁴.

აქ თითქმის იმდენი შეკვლია, რამდენიც წინადადება პირველი ყოვლისა, ი. პერესტიანი არ არის ქართული კინოსტუდიის დამაარსებელი. საკმარისა გადავიკითხოთ ი. პერესტიანის მემუარების ის თავი, სადაც რეჟისორი ქართულ კინოში მუშაობის წლებს აღწერს.¹⁵ ფილმი «არსენა ჯორჯიაშვილი» არ წარმოადგენს ლიტერატურული ნაწარმოების კვრანზოცაყას. საინტერესოა, რომელ დასახლებულ ფილმშია («სამი სიცოცხლე», «მამის მკვლეელი», «მობოღარი», «სურათის ცხე») ასახული — «События освободительной борьбы, революционного движения прошлых лет?»

6. კ. წერეთელი Б. შენგელაის ფილმ «ელისოს» ლიტერატურული სცენარის ავტორების სათხოვნად არასრულად ამუშავს, იგი წერს: Ближайший соподвижник Маяковского, сопостановщик Сергея Эйзенштейна по театру, опытный литератор Сергей Третьяков предложил Николаю Шенгелая великоленную драматургию¹⁶, და ასევე იმეორებს «История советского кино-ს პირველ ტომში»¹⁷, რაც სინამდვილეს არ წარმოადგენს, ვინაიდან «ელისოს» სცენარი Б. შენგელაიამ ერთობლივად დაწერა, ეს დღესაც კარგად ახსოვთ ქართული კინოს ძველ მუშაკებს, რომლებიც იმ წლებში «სახე-კინორწმუნო» მოღვაწეობდნენ, მაგრამ დირექცია თავს იკავებდა და სცენარი მხოლოდ მას შემდეგ მიიღო წარმოებაში, როდესაც ის ს. ტრეტიაკოვმა შეასწორა. როგორ გავიკითხო სიტყვები — «Предложил великоленную драматургию». კინოს დრამატურგია ნიშნავს სცენარს, დაწერა კი როგორც ვთქვით, თავდაპირველად Б. შენგელაიამ დაწერა და თუ კ. წერეთელმა ვერ შესძლო აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბება და აქ მხოლოდ თემის მიხედვით გულისხმობს, მაშინაც ცდება, რადგან ს. ტრეტიაკოვს არ შეეძლო «ელისოს» თემის მიგნება, მან ქართული ეს არ იცოდა და იმ წლებში «ელისოს» რუსული თარგმანი არ არსებობდა. ქართველი კლასიკოსთა შორის ა. ყაზბეგის რომანები ვეწლახე ვიკან თარგმნა რუსულად.

ამასთანავე უნდა შევინიშნოთ ისიც, რომ ს. ტრეტიაკოვი არ იყო «Сопостановщик Сергея Эйзенштейна!». ს. ტრეტიაკოვი რეჟისორულ საქმიანობას არ ეწეოდა. იგი ს. იოჟენშტეინთან მოსკოვის პროლეტკულტის თეატრში მუშაობდა როგორც დრამატურგი და არა თანადამდგემელი. ს. იოჟენშტეინმა დადგა ს. ტრეტიაკოვის შემდეგი პიესები: ა. ოსტროვსკის კომედია «На всякого мудреца довольно простоты» — თავისუფალი ფუნქციონირებული კომპოზიცია, «Слышишь Москва?» და «Противозазы». როგორც აღრე, ასევე თანამედროვე თეატრშიც

დრამატურგები ესწრებიან თავიანთი პიესების რეპეტიციებს, რეჟისორს მოითხოვანაც უყენებენ, მაგრამ ისინი თანადამდგმელებად არ ითვლებიან.

7. კ. წერეთელი «ელისოს» შესახებ წერს: «Фильм Шенгелая открыл для зрителя многих стран искусство маленькой Грузии»¹⁸.

არც ეს დებულება სწორი. უკვთოში (გერმანია, საფრანგეთი) 1924-1925 წლებში ნახეს «არსენა ჯორჯიაშვილი»; «История экранизации» და «სამი სიცოცხლე»; 1926 წელს 12 ქართული ფილმი გაიყვანა ჩეხოსლოვაკიაში, იუგოსლავიაში, იტალიაში, საფრანგეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში. 1927 წელს საფრანგეთში, ბელგიაში, არგენტინასა და ჩინეთში დიდი წარმატებით მიიღო და აღწერეს ფილმი «ვინ არის დამნაშავე»¹⁹. «ელისო» კი 1928 წლის სექტემბერში გამოვიდა.

8. კ. წერეთლის პირველი ნაშრომი ქართული კინოს ისტორიაში 1955 წელს გამოქვეყნდა. ეს გახლდათ ქართული მუხრან კინოს პერიოდის ნარკვევები «იუნოსტ კვრანა», მას შემდეგ გამოქვეყნდა «ნიკოლოზ შენგელაია» (1968), «საბჭოთა საქართველოს კინოსტუდიები» (1969), «ქართული კინო» (სსრკ კინოს ისტორია), ტომი 1, გვ. 616-652 და ყველან ერთი და იგივე არამთვლელ მეთოდება, არამედ ერთი და იგივე ტექსტისა გამოქვეყნდა.

აიღო და შეადარეთ ერთმანეთს: პირველი ნაშრომის 64-92 გვ. მორჩილ 27-57, მესამესი 14-18, მეოთხესი 632-641 და კიდევ ჟურნალი «ისკუსტეტი კინო» (1968 წ. № 2) გვ. 72-80.

აქვე უნდა თქვაქს ისიც, რომ კ. წერეთლის პირველი შრომა, განსაკუთრებით პირველი თხზი თავი (გვ. 7-63), კ. გოგობის 1950 წელს გამოცემული შრომის «ნარკვევები ქართული კინემატოგრაფიის ისტორიიდან» და მთელი რიგი მონოგრაფიების (ი.ე. ამაშუკელი²⁰; ვ.ე. პერესტიანი²¹; კ. მარჯანიშვილი²²), «ნახტ ვანახაყე»²³ განხილვის, რომ იტყვიან, გადამღერებას წარმოადგენს. კ. წერეთელმა უხვად გამოიყენა კ. გოგობის მიკვლევული მასალა, მისაზრებანი, დასაყენებელი და კეთილსინდისიერება მოითხოვდა, რომ მას თავის შრომაში, თუ დიდი მადლობის გრძნობით არა, უბრალოდ მაინც მოესხენიებია ამაგდარი ისტორიკოსი.

9. ქართულ საბჭოთა კინოსა და თეატრს თავიდანვე მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი ჰქონდა და ამიტომ ქართული კინოს ისტორიკოსმა კ. წერეთელმა შემდეგში მაინც უნდა იცოდეს, რომ ქართული საბჭოთა დრამატული თეატრის დაბადების თარიღი — 1922 წლის 25 ნოემბერია, როდესაც კ. მარჯანიშვილმა რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე ლოზე დე ვეგას «ცხვრის წყარო» დადგა. კ. წერეთელი კი ავტორიტეტულად წერს: «Еще со времени первой постановки Марджаншвили на грузинской сцене «Овечьего источника», (1923)²¹.

10. კ. წერეთელი წერს: — «Георгий Шенгелая (сын основоположника грузинского кино Николая Шенгелая...»²² მეთხზველისთვის მოულოდნელა ასეთი განცხადება, რადგან არც ერთი ნიშნით, მიუხედავად დღეს დასახურებისა. Б. შენგელაია ქართული კინემატოგრაფიის ფუძემდებლად არ შეიძლება ჩაითვალოს. ფუძემდებელი ანუ წამომწყები ისაა, ვინც პირველი ნაბიჯები გადადგა. Б. შენგელაია კინემატოგრაფიაში მოვიდა 1925 წელს, 1927 წელს კ. პუშთან ერთად გადაიღო «გიული» და მხოლოდ 1928 წელს გამოვიდა მისი დამოუკიდებელი ნაწარმები «ელი-სო». შესაძლებელია, კ. წერეთელი ადრინდელ ქართულ მხატვრულ ფილმებს დაწერებდა «ქრისტინეთი» ნაციათა-კინოს ინსტიტუტის ნიშნულად არ თვლის და თუ მას ასეთი აზრი აეკავებოდა, უნდა დაასაბუთოს კიდევ, თორემ ასეთი წინადადების წამოყენება უპასუხისმგებლობას ჰკავს.

11. კ. წერეთელი ფრიალ აზვიადის ვ. შკლოვსკისა და

ს. ტრეტიაკოვის დამსახურებას ქართული კინოხელოვნების განვითარებაში, მაგრამ ამ საკითხში არ შევირდებით, ვინაიდან პროფ. ა. ფერასლსკიმ უწინაღობის, ისკუსტვი კინო"-ში დაბეჭდილი სარეცენზიო წერილში საფუძვლიანად გააკრიტიკა იგი.²³

12. ზემოთთხილული შეცდომები არც ისე სამშობი, რომ განვიხილო ავტორით. რა ვუყოთ, თუ კ. წერეთლის კარგად არ შეუსწავლია ქართული კინოს, ლიტერატურისა და თეატრის წარსული, მას ახლავს შეუღლია ამ საქმეს გულდასმით მოკიდების ხელად შეცდომებიც გამოასწოროს, მაგრამ სავალდებულო ისაა, რომ მის ყოველ ნაშრომში უფრო მეტი როლს შეეცდომებზე ვხედავთ, უხსტად თუ ვიკვები, შეცდომას კი არა, ტენდენციას, მიდრეკილებას, რომ ქართული კინოხელოვნების განვითარება ეროვნულ ნიადაგს მოწყვიტოს. ასეთი ტენდენციას გამოსწავლის კ. წერეთლის ყველა ნაშრომში და განსაკუთრებით „სსრკ კინოს ისტორიაში“ პირველ ტომში (1969), სადაც მისი ერთი ნაწილი ნარკვევი დაიპყრო 20-იანი წლების მეორე ნახევარში ქართული კინოხელოვნების განვითარების შესახებ.²⁴

„სსრკ კინოს ისტორია“ ფრად სოლიდური ნაშრომია, ხელოვნების ინსტრუქტს გადაწყვეტილი აქვს შექმნას საბჭოთა კინოხელოვნების ისტორიის სრული კურსი და ახლო მომავალში კიდევ სამ ტომს მივიღოთ, რაც დიდ დახმარებას გაუწევს მოსწავლე ახალგაზრდობას და საბჭოთა კინოხელოვნებით დაინტერესებულ ყოველ პირს. სამწუხაროდ, გამოსულ ტომში ქართული კინოხელოვნების განვითარების ერთი მდიდარი და საინტერესო პერიოდი (1925-1931 წწ.) კ. წერეთლის წყალბოთი დამაბინჯებელად წარმოდგინდა. გამომცემლობის საჩუქრით კოლეჯითა-სადმი საყვედროს არ გვეთქვას, რადგან, მათ გაითვალისწინეს, რომ ქართული კინოს ისტორია ქართველმა უკეთ უნდა ვიცოდეთ და ჩვენვე დაგვაკლას მისი შედეგა. ჩვენ კი ეს ვერ ვიმეძლიოთ! ასეთი ფრადი საბატება და სერიოზული საქმე საქართველოს კინემატოგრაფისტთა გაუმართაობის მიანდო ადამიანს, რომელსაც სრულყოფილი წარმოდგენა არა აქვს მის წარსულზე... გამართლდა ხალხური ანდაზა „რაც მოვივა დავითო, ისევ შენი თავითაო“.

კ. წერეთელი ჩქმალავს განვითარების კანონზომიერების ეროვნულ ფაქტორებს და ყველაფერს ქართულ კინემატოგრაფისტთა რუს მიწურულთან კონტრასტით ხსნის. ვის შეუღლია უარყო რუსული რევოლუციური ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი გავლენა ქართულ კინოხელოვნებაზე, მაგრამ ვახსენებთ ეყენინი, მაიაკოვსკი, ფადეევი, ტობონივი, ანტოკოლსკი და დავიერსონი ჩვენს პოეტების, მწერლების, თეატრის მოღვაწეების მნიშვნელობა? როგორ შეიძლება არ დავაფასოთ ლ. კულევოვის, ვ. შლოცკის და ს. ტრეტიაკოვის ამაგი, მაგრამ ისტორიის თვდაყირა დაყენება არ იქნება. უკეთესი ქართული მოღვაწეთა დამსახურებას უკანა პლანზე გადავიტანო? როგორც რუსულ კინოხელოვნებას თავისი განვითარების პირველ ეტაპზე დახმარდა ესარგებლა უცხოელ სპეციალისტთა გამოცდილებით, ასევე დასჭირდათ ქართულ კინემატოგრაფისტებსაც რუსი ისტატების დახმარება, მაგრამ მათი წვლილი ქართულ კინემატოგრაფისტთა დამსახურებასთან შედარებით მცირეა. აი, რას ვკითხოვლობთ სწორედ ამ საკითხზე „სსრკ კინოს ისტორიაში“ პირველ ტომში (1969) შესავალ თავში: «Строительство украинской и грузинской кинематографии облегчалась тем, что оно могло опираться на богатые прогрессивные традиции Национальной литературы и театра. Здесь понабдилась только сравнительно незначительная помощь русских профессиональных кинематографистов для освоения художественного языка нового искусства».

კ. წერეთლის შრომებში დამებულ შეცდომებსა და მცდარი ტენდენციის გატარებას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ მისი შრომის რედაქტორებმა ყოველივეს ქართული კინემატოგრაფისტების უცხოები პირები (გ. ბებუთოვი, ი. ლაღიძორევა, ა. ბოლგარინა) გვეულისებინან. ნუთუ საქართველოში არ მოიძებნა ქართული კინოს ისტორიის მცოდნე, რომ რედაქტორებს დაეკლებოდათ და ასეთი შეცდომები აღეკვეთათ? ასეთები ბევრად მოიძებნება, მაგრამ რატომღაც მათ გვერდს უშლიან.

კ. წერეთლის (რაკი ქართული კინოს ისტორიკოსობა იცისარ), კარგად უნდა ენმდობს, რომ ქართული საბჭოთა კინოხელოვნების ისტორია განხილული უნდა იქნას მთელ საბჭოთა კინოხელოვნებასთან მთლიანობაში, სხვა რესპუბლიკათა მიწურვეების ასახვებში და თამადად ითქვას რა ადგილი ეკავა და უკავია საბჭოთა კინოხელოვნების დიდ ოჯახში.

კ. წერეთელი თავის ხუჭავს იმაზე, რომ 20-ანი წლების დასაწყისში ქართული ფილმები ნოვატორული მოვლენა იყო მთელი საბჭოთა კინოხელოვნებისათვის. „არხება ჯორჯიაშვილი“ დამკვიდრდა ისტორიულ-რევოლუციური ჟანრი და „წითელ ფშმაკუნებში“ სათავგადასავლო ჟანრით ახას სამიქალაქი ომის წლებში საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებისათვის წარმოებული რევოლუციური მოძიქვით. ამ ფილმით გზა გადავლიდა დასავლეთური-პულ და ამერიკულ კინოდისტრიბუციის, რომელიც ძლიერ გავრცელებული იყო იმ წლებში და თავისი ფშმაკატური შინაარსით საბჭოთა მაყურებელს არაფერს აძლევდა.

კ. წერეთელი არსად არ იყენებს ა. ვ. ლენინსკის ცნობილ წერილს, სადაც საბჭოთა ხელოვნების დიდი მცოდნე და მოამბე, ქართულ ფილმს, მხატვრული და ტექნიკური თავდასხრისით, იმ დროის რუსული კინემატოგრაფიის შედეგზე წინ აყენებს.

ქართული კინოხელოვნების ისტორიის საკითხებში სცდოლებს სხვებზე და სამწუხაროდ, საბჭოთა კინოს ისტორიის აღიარებული სპეციალისტები პეტროვსკი, გ. გინზბურგი და ნ. ლებედევი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მათი მოსაზრებანი 6. მეხეგლიას ფილმ „ელისო“-ს შესახებ. პიროფ. ს. გინზბურგის აზრით, „ელისო“ ქართული ბურჟუაზიული-ნაციონალისტური ისტორიოგრაფიის წყველებითაა შექმნილი და ეს ტენდენცია თურმე იმაში გამოიხატა, რომ რეჟისორმა სწორად ვერ ახასა კავკასიელ ხალხთა ურთობობა და რუსეთის მშრომელი ფენების ურთიერთი დამოკიდებულება თვითმკერობების კოლმინისტრული პოლიტიკისადმი. როგორც ჩანს, პროფ. ს. გინზბურგი ცუდად ერკვევა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის არსში, ცუდად იცნობს კავკასიელ ხალხთა წარსულს. ვინც ყურადღებას მიახას „ელისოს“ კერანზე, მიხედვით, რომ კავკასიელ ხალხთა აპრობირება და ჩაგვრა მეფის ხელისუფლების საქმე იყო და არა რუსეთის მშრომლებისა. ნ. მეხეგლიამ ამ მომენტს ხაზს გაუკრა არა მოგიზილი სახებით ან ა. ყაზბეგის რომანის სიუჟეტის შეცვლით, არამედ უფრო დამაჯერებლად. მოგიზილით კადრები ჩვენთა გადასახლების, როცა ყაზბეგი შესეკიან აულს... მეფერი მათავის დადგენილი სახე აშკარად მეტყველებს მასზე, რომ არ ძალუთ წინ აღუდგნენ სამხედრო კანონს. ნიჭიერი რეჟისორი ამ უსამართლობას ცხენების მოქმედებითა კი გამოსახას -- გაქმნებული ცხენები მიუხლოდნენ თუ არა ხალხს, ადგილზე გაქვადნენ და წინ ნაიხას არ დამაგენ.

პიროფ. ნ. ლებედევი თავის, რომ „ელისო“-ში «Индивидуальные образы (старшина, Элиса, Важна) были лишь эпизодическими фигурами помогающими развитию основной темы — трагедии аула. Они подавались типично, без раскрытия их внутреннего мира»²⁵.



პროფ. ნ. ლებედევს ვერ დავეთანხმებით, რომ ფილმში ასტამირის, ელისოსა და ვაჟიას სახეები ეპიზოდური იყო. როგორ შეიძლება ეპიზოდურად ჩავთვალოთ სახე, რომელიც ფილმის მთელ მანძილზე მოქმედებს და მთელი მოვლენების მის გარშემო ვითარდება. მართალია, რეჟისორმა ელისოსა და ვაჟიას როლების შემსრულებლები — კირა ანდრონიკაშვილი და კატაყა ყარალაშვილი ტიპაჟური ნიშნებით შეარჩია, მაგრამ მათ ისეთი დამაჯერებელი სახეები შექმნეს, რომ კითხულობთ ა. ყაზბეგის რომანს და ელისო და ვაჟია სწორედ ისეთად წარმოგადგინათ, როგორც კატაყა ვერნახავთ. საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ალ. იმედაშვილის ასტამირი კი სწორედ ფსიქოლოგიური სიღრმისაა საყურადღებო.

კ. წერეთლის მონოგრაფია „ნიკოლოზ შენგელაია“ 1968 წელს გამოიცა. აქ დეტალურადაა განხილული „ელო-სო“, მაგრამ ერთი სიტყვაც არაა თქმული პროფ. ნ. ვიხიბურგისა და პროფ. ნ. ლებედევის შეცდომაზე, ეს კი მას ვეკლებოდა, რადგან სხენებული მონოგრაფია სადისერტაციო შრომაა. დისერტანტმა კი უნდა დააჯამოს ყველაფერი, რაც წარსულში დაწერილა სადისერტაციო თემაზე და მის ავტორიანიობას შეეხოს. კ. წერეთელი არაფერს ამბობს ასეთ მნიშვნელოვან შეცდომებზე და სამაგიეროდ, „ელო-სო“-ს შუაგულში დაუსაბუთებლად მთელი უკიდურესობაში ვარდება. იგი წერს: «Пожалуй, ни один из советских фильмов, исключая «Броненосец Потемкин» Эйзенштейна и «Чапаев» братьев Васильевых, не имел такого огромного резонанса, такой широкой прессы, как этот первый фильм начинающего режиссера»²⁶.

ჯერ ერთი, „ელოსო“ არ იყო ნ. შენგელაიას პირველი ფილმი. მან 1927 წელს რეჟისორ ლ. პუშთან ერთად გააღიძო „ეკული“, მთორე კიდევ ის, რომ მას ავიწყდებოდა პ. ბუდიკაშვილის „დედა“ (1926 წელი), ა. დოვჟანკოს „არსენალი“ (1928 წ.), „მიჩა“ (1930 წ.).

ქართული კინოფილმები გავიდა მსოფლიოს ეკრანზე და ზოგმა მათგანმა სახელმწიფოებრივი სპეციალისტების უმაღლესი შეფასება დაიმსახურა („მაგდანს ლურჯა“, „ქორწილი“, „ჯარისკაცის მამა“). კ. წერეთელი გვიამბობს

ამ ფილმებზე და არასდ არ იყენებს, პირიქით მასზედგარებითის პრესის აღფრთოვანებულ რეცენზიებს.

ასეთია ჩვენი მიერ შემჩნეული, სულ ცოტა, თორმეტი შევცდომა, რაც კირა წერეთლის შრომებს ახლავს.

ქართული კინოხელოვნების ისტორიის ასეთ დამახინჯებას ადვილი არ ექნებოდა, რომ საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის სამდივნოს მჭიტი ყურადღება გაეზიარებინა, დანიტერესებულყო და საბჭოთა კინოს ისტორიის ტექსტი და საილუსტრაციო მასალა წინასწარ განეხილა და შემოწმებული, სანამ რედაქციის მი დასაბუთდებოდა გაეზიარებოდა. საბჭოთა კინოს ისტორიის მშობლად პირველი ტომი გამოვიდა, დანარჩენი სამი ტომი კი გამოსაცემლულია. კინემატოგრაფისტთა კავშირის სამდივნო დიდ ამავს დასდებს ქართული ეროვნული კინემატოგრაფიის ისტორიის მეცნიერულ სიმაღლეზე აყვანის საქმეს, თუკი „საბჭოთა კინოს ისტორიის“ რედაქციამი მიაკლენს ისეთ პირს, ვინც უკეთ იცნობს ქართულ კინოხელოვნებას და ობიექტური ანალიზის უნარიც გააჩნია.

ქართული კინოხელოვნების ისტორიის საქმე რომ ერთხელ და საბოლოოდ მოგვარდეს, პირველ ყოვლისა, აუცილებელია შეიქმნას მეცნიერულ ნიადაგზე დაფუძნებული კინომკვლევრობა. კინომკვლევრობის დარგზე არადაამაკაყოფილებელი მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ რესპუბლიკაში არ იყო კინოგანათლებისათვის რაიმე სასწავლებელი.

ამ ეროვნული საქმის მოსაგვარებლად ნაბიჯი გადადგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და 1965 წელს ხელოვნების ფაკულტეტზე კინოდამატურების ოსტატობისა და კინომკვლევრობის სპეციალური ჯგუფი გაიხსნა. გასულ წელს კი თბილისის თეატრალური ინსტიტუტთან შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი სექცია, რომელიც ქართული კინოს ისტორიის პრობლემებს დაამუშავებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამ ნაბიჯით, პირველ ყოვლისა, დანიტერესებულ უნდა იყოს საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი, იგი უნდა დაეხმაროს ხელოვნების ფაკულტეტის ხელმძღვანელობას პედაგოგთა კადრების შერჩევაში, სტუდენტობისათვის სასწავლო პრაქტიკის ჩატარებაში, სასწავლო ფილმების მიწოდებაში და სხვ.

შენიშვნები:

1 კ. წერეთელი, „იუნოსტ ეკრანა“, 1956 წ., გვ. 137.
 2 ეტენ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1968 წ., № 5, გვ. 106.
 3 ეტენალი „ისკუსტო კინო“, 1968 წ., № 5, გვ. 106.
 4 სახელმწიფო გამომცემლობა „ისკუსტო“, მ., 1956, 1959, 1961 წ. წ.
 5 სახელმწიფო გამომცემლობა „ისკუსტო“, მ., 1965 წ.
 6 სახელმწიფო გამომცემლობა „ისკუსტო“, მ., 1969 წ.
 7 სახელმწიფო გამომცემლობა „ისკუსტო“, მ., 1969 წ.
 8 Н. Лебедев, Очерки истории кино СССР, 1965, стр. 503.
 9 კინოლექსიკონი, ტ. I, 1966, გვ. 395.
 10 ფონი, I, საქმე 121, № 6—14605.
 11 ნ. ვანანაძე, მოგონებები და შეხვედრები, 1950 წ., გვ. 40.
 12 „იუნოსტ ეკრანა“, 1965 წ., გვ. 141.
 13 „საბჭოთა კინოს ისტორია“, ტომი I, გვ. 620-633.

14 К. Церетели, «Николай Шенгелая», М., 1968 г., стр. 13.
 15 ი. პერესტიანი, „სოცოცხლის 75 წელი ხელოვნებაში“, მ. „ხელოვნება“, 1963 წ., გვ. 68.
 16 კ. წერეთელი „ნიკოლოზ შენგელაია“, მ., 1968 წ., გვ. 31.
 17 იქვე, გვ. 632.
 18 „ვეპერი ტბილისი“, 1963, 19 ავგოსტო.
 19 კ. წერეთელი, „ნიკოლოზ შენგელაია“, მ., 1968 წ., გვ. 36.
 20 ეტენ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1965 წ., № 3, გვ. 61.
 21 „საბჭოთა საქართველოს კინოხელოვნება“, მ., 1969, გვ. 68.
 22 კ. წერეთელი, ეტენ. „ისკუსტო კინო“, 1969, № 2, გვ. 105.
 23 ეტენ. „ისკუსტო კინო“, 1969 წ., № 2, გვ. 105.
 24 იქვე, გვ. 616-652.
 25 Н. Лебедев, Очерки истории кино СССР, 1965, стр. 509.
 26 Газ. «Вечерний Тбилиси», 1963 г., 19 августа.

პანო მურადელი — თანამედროვეობის მოძღვრელი



დის, იგი მთელი თავისი არსებით ხელოვანი — მოღვაწე იყო, დღენიდაც საბჭოთა სინამდვილის შუაგულში ტრიალებდა, აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის დიდ გარდაქმნებში.

ვინო მურადელი საბჭოთა თანამედროვეობის მხურვალე მებრძოლე იყო. მთელ მის შემოქმედებას წითელ ზოლად გასდევს ჩვენი სინამდვილის ამსახველი თემატიკა, იგი მგზნებარედ თანაურერძობდა საბჭოთა ხალხის შრომასა და ბრძოლას, წინსვლასა და გამარჯვებას.

ვ. მურადელი მუსიკალური ხელოვნების მრავალ ჟანრში მოღვაწეობდა. ქმნიდა ოპერებსა და სიმფონიებს, სიმღერებსა და რომანსებს, კანტატებს, სიმფონიურ პოემებსა და უერტიკურებს, ოპერეტებსა და ნაწარმოებებს სასულე თუ ხალხური ინსტრუმენტების ანსამბლებისათვის.

მისი შემოქმედებითი შემკვიდრება — სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ნაყოფიერების მკაფიო ნიმუშია. იგი მუდამ მტკიცედ იცავდა ხალხურობისა და პარტიულობის პრინციპებს ხელოვნებაში, ღრმა დემოკრატიულობით გამსჭვალული მისი მუსიკა ხალხის ფართო მასებიაკენ იყო მიმართული.

„ვაჟკაციური სიმღერა — ასე გამოვხატავდი იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც ვანი მურადელის მუსიკა ახდენს. იგი მაგონებს სახალხო მთქმულს, მუდამ მღერის ვაჟაკურად. მთელი სმით, და რაც ძალზე არსებითია, მღერის უბრალოდ“ — წერდა კომპოზიტორი დ. კაბალევსკი.

„...დიდი ადამიანური სიბრძნე, მაღალი მოქალაქეობრივი პათოსი, პარტიულობა ახასიათებდა ამ მუსიკოსის

შემოქმედებით ინდივიდუალობას. მთელი თვისი სულით, ხასიათით, აზროვნებით ვანო მურადელი სახალხო მხატვარი იყო. ხალხის ცხოვრებაში ეძებდა იგი სახეებს, ხალხის მეტყველებაში პოულობდა მასალას თავისი მუსიკალური ენისათვის“; — წერდა კომპოზიტორი ტ. ხრენიკოვი მიმდინარე წლის 18 აგვისტოს ვ. მურადელის მიულოდნელი გარდაცვალების გამო.

ვანო მურადელმა ბავშვობის წლები საქართველოში გაატარა. იგი 1908 წელს დაიბადა გორში, ამიერკავკასიის არალეგალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის აქტიური წევრის ილია პეტრეს ძე მურადოვის ოჯახში. მომავალმა კომპოზიტორმა პირველი მუსიკალური შთაბეჭდილებები საკუთარ ოჯახში მიიღო. „მამაჩემი, — წერდა ვ. მურადელი, — ძველებური ხალხური სიმღერების დიდი მიყვარელი იყო. ამ სიმღერებს იგი შესანიშნავად მღეროდა. მისი დამსახურებაა, რომ მუსიკისადმი სიყვარული ჩვენი ოჯახის ტრადიციად იქცა, თუმცა მუსიკას არც ერთი ჩვენთაგანი არ სწავლობდა“. ბავშვობის წლებშივე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე ქართულ ხალხურ მუსიკას, განსაკუთრებით ალტაცებას პევერიდა მას ჩვენებური სიმღერების სიდიადე და სიღრმე. შემდეგში ვ. მურადელი წერდა: „შესანიშნავი ქართული ხალხური სიმღერები „ორიგოლა“, „გუთნური“, „კურული“, გმირული და ხალისიანი, ლირიკული და სატრაგიკალი სიმღერები, რომლებიც ჟღერდნენ შრომის, ზვიმისა თუ ლხინის დროს, სამუდამოდ ჩარჩნენ მესხიერებაში. ეს სიმღერები, დაბადებული ქართველი გლეხკაცის შრომასა და სიხარულში,

ტანჯავსა და დარღში, ჯერ კიდევ ბავშვობისას აღძრავდნენ ჩემში მუსიკის შეთხზვალში მხურვალ სწრაფვას. ახსენებთ, ქართული მუსიკალური ფოლკლორით შეჯვარა ვ. მურადელი მუსიკალურ ხელოვნებას, მან გაუღებდა შემოქმედებითი მოწოდება, სწავლისა და დაოსტატების გზით.

მუსიკალურ განათლებას ვ. მურადელმა სიმბაბუეში მიიპყრო ხელი. თვითონ ისწავლა ფორტეპიანოს დაკვრა, სულ-გახანული უსმენდა გრამფირფიტებს, მათი სასწაულებით ენებოდა კლასიკური მუსიკის მაღალმასშტაბურ ნიმუშებს — სიმფონიურსა თუ საოპერო ნაწარმოებს, რომანსებსა და ინსტრუმენტულ პიესებს. პარალელურად ვ. მურადელი ლიტერატურითა და პოეზიითაც ყოფილა გატაცებული. ვიაცყვანებოდა პუშკინს, თვითონაც წერდა ლექსებს. სამედიცინოდ, სწავლამთწყურებულ ჭაბუკს ლამაზი ტემბრის ტენორიც აღმოჩნდა. სწორედ ვოკალურმა მონაცემებმა შეიყვანეს ვ. მურადელი დიდი მუსიკის სამყაროში, სიმფონიის სასწაულებით დაადგა იგი პროფესიონალიზმის რთულ გზას.

17 წლის ვ. მურადელი თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში პედაგოგ ზელინთან ვოკალურ კლასში ჩაირიცხა. სასწავლებლის ატმოსფეროში კიდევ უფრო გაუძლიერდა ნაწარმოება შეთხზვის მოთხოვნილება. ვ. მურადელი კომპოზიტორულ ცდებს ყურადღება მიიპყრო სასწავლებლის დირექტორმა, პიანისტმა და თეორეტიკოსმა შერბინებმა. მისი ხელმძღვანელობით ვ. მურადელი იმდენად დაუფელდა მუსიკის თეორიულ კურსს, რომ ერთი წლის შემდეგ, მისაღები გამოცდების გარეშე ჩაირიცხა თბილისის კონსერვატორიაში. იგი საკომპოზიციო და სადირიჟორო ფაკულტეტებზე სწავლობდა (პედაგოგობთან — ვ. შერბინაძე, ს. ბარხუდარიანი, გ. ბაგირთოსი). 1931 წელს ვ. მურადელმა წარმატებით დაამთავრა თბილისის კონსერვატორია. მისი სადიპლომო ნაწარმოები იყო „დიდი დარბაზები ჩქალისა და ფორტეპიანოსათვის“. (სამუშაობროდ, ეს ნაწარმოები არ შემორჩენილა). როგორც დირიჟორი კი ვ. მურადელი წარსტად მოყარდა გ-ილი სიმფონიის კონსერვატორიის სტრუქტურულ ორკესტრთან ერთად.

„მემუარებში“ წერია, რომ ამ პერიოდში დავითი ათი თვით მივლინებულ იყო პეტერბურგში, სწორედ მაშინ დასწრება ქართულ სადამოსაც. „ჩემი მისვლის რამდენიმე დღის შემდეგ, — იგონებს დავითი, — პეტერბურგში, საზოგადოებას „პალმას“ დარბაზში ქართული წარმოდგენა იყო გამოცხადებული. რასაკვირველია, მე გავექნე აქეთ. დიდი დარბაზი სასე იყო ხალხით. წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა.“¹⁵ ამდენად ჰქვს არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ წერილის აქამდე უცნობი ავტორი დ. კლდაიშვილია.

პეტერბურგიდან მოსკოვში გზად მომავალი კლდაიშვილი სამხატვრო თეატრში დასწრება ი. გორკის პიუჟის „ფსკურზე“. წარმოდგენას გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოხვედნია მასზე. „მთელი წარმოდგენა ისე გაავატარე, თითქოს სიზმარში ვიყავი, — იგონებს „მემუარებში“ (გვ. 144). ადვილი წარმოსადგენია, თუ რატომ მოახდინა მწერალი სამხატვრო თეატრის სპექტაკლმა ასე დიდი შთაბეჭდილება. ამ ქართულ მსრულებს და დადგენის ხარისხი როდი ანცვიფრებდა მწერალს, მან სპექტაკლში იგრძნობ ფსიქოლოგიური რეალიზმის ის ძალა, რომელიც მას იტაცებდა.

დ. კლდაიშვილი საუბრობდა სტრიქონებში უძენდა ე. აბაშიძესა და მაკო სუთოვას. ამ წერილებში, რომლებიც რევილუციის შედეგადაა დაწერილი, იმის და კლდაიშვილის გულისკვირვითი, მწერალი იგონებს წარსულის იმ მიმე დღეებს, ქართული თეატრი რომ განიცდიდა. „ვასო ამაშიძე — რეინგუზის აგენტა“ — ასეთია ერთ-ერთი წერილის სათაური; „დიას, — წერს დავითი, — იყო შემთხვევა, რომ ჩვენი საყვარელი ვასო რეინგუზის აგენტად იყო. აუტანელმა გატირებებამ აიძულა თავისი დაშორებოდა და რეინგუზით შეენას თავისი თავი, სცენის ცოლი ჩვენი თეატრის ძვირფასი საუხეე მაკო და თავისი პატარა ქალიშვილი — მომავალი ქართული თეატრისა — ტასო.“

წერილი ასე მთავრდება: „დიას, ბევრის უცხვაზობის ამტანს იყვნენ ჩვენი თეატრის ქურუმები, რომლებმაც თავისი მაღალი სულიერი გამძლეობით შექმნეს ის დღებელი ტიპარა, რომელსაც ქვია ქართული თეატრი და რომლის აყავებებს შემხარის აღტაცებული იყო.“¹⁶

მიმეე ეკონომიური პირობები აიძულებდა ქართული თეატრის მსახიობებს ხშირად კომპრომიზებზე წასულიყვნენ. თუმცა დაიმბობა რაა, როცა ზოგჯერ დამამცირებელ მდგომარეობაზედაც არ ამბობდნენ უარს. სახალხო საქმისათვის ფული რომ ეშვებოდა, ირთხულ თურმე ვასოს კითხა დავითმა: „— ვასო, რას ეიწწრო ქართული თეატრი? რა დღეობა?“

— მაშა, მაშა! — სთქვა მან, — ჩვენ სულ წავალეგში ვიყავით! რამდენი გატირებება არ გადაგიტანეთ, რომ პიუჟა რეინგუზად დაგვეტყობა.

ამის შემდეგ მან უამბო, თუ როგორ წავიდა იგი ი. მუხრანელთან 500 მანეთის სათხოვნელად. იგინე ხშირად ესწრებოდა თურმე სპექტაკლებს. დაინახა თუ არა ვასო, პიუჟისა — „ეს მითხარა, სად იწწვალე, ბიჭო, ისეთი ხტუვია, შენ რომ ამასწრებო იმ პიუჟაში შეხტე?“ — მოხუკმა დაიწყო გულიანი ხიზიბით. ვასო იძულებული გახდა მოხუცის

წინ კვლავ შემხტარიყო, რათა 500 მანეთი მიეღო მის-
ვან...

ეს ტრაგიკომიკური ამბავი დავითმა მოგვითხრო თავის
წერილში — „გუშინ და დღეს“.

მართლაც და დიდი სულიერი გამძლეობა სჭირდებოდა
ძველ ქართულ თეატრში მოღვაწეობას. ვასაცხიან, თუ რა-
ტომ იყო, რომ ქართველი ერის თავგადაცემი თავიანი სიტყ-
ვეთში და წერილებში მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდნენ მსა-
ხიბობა პირად გაუკაცობას. უფრო მეტიც, ზოგჯერ ამ მო-
მენტს თეატრის შემოქმედების ტოლფასიანი მნიშვნელო-
ვად ენიჭება მათ ნაწარვეში. ვ. აბაშიძის მოღვაწეობის ათი
წლისთავზე ა. წერეთელმა სიტყვა: „მძიმე უღელისა და მწა-
რე ტვირთი არტისტის ხვედრი“, განსაკუთრებით ჩვენშიო.
ეს განსაკუთრებულობა გამოწვეული იყო საქართველოს პი-
რობების თავისებურებით. ქართულმა მწერლებმა გრძნობდ-
ნენ, თუ რადღაც დიდი იყო მათი გამამხვეველი სიტყვის
ძალა ქართული თეატრის წარმატებამ, ამიტომ ბრძანებდა
ილია: „ჩვენმა თეატრმა, მისმა ზრდამ და გამძლეობამ
ცნადი მკაცრადი ვიკრევა იმისა, თუ რა შესძლებდა მხენ-
ობას, საქმიანთაის თვალდაცხება. ტყუილად კი არ უთქვამთ
ჩვენთა წინათა მხენი იყავ და ძალიერებას“.¹⁷

დ. კლდიაშვილი ამ საკითხშიაც ილიასა და აკაკის
ერთგული დარჩა. მან ამაღლებული წერილი უძღვნა მაკო
საფაროვას, როცა მსახიობი სცენას ჩამოშორდა. მწერალმა
საგანგებო წერილი მიმართა საზოგადოებას: „არ დავი-
წყება მოყვარსა მოვალეობა ყოველი შეგებული ქართველი-
ლისა“, მაკო საფაროვა ყურთასმენის დაღვებამ ჩამოაშო-
რა თეატრს, მაგრამ ეს „გაერმოება საბუთს არ აძლევს ქარ-
თველობას დაიწყებას მისცემს მისი მოღვაწეობა“.

მაკო საფაროვამ ისტორიულად დიდი საქმე გააკეთა
იმითაც, რომ მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაიწყო ქარ-
თული თეატრის დირსება. სწორედ მან აღადგინა ქართველი
მსახიობის ავტორიტეტი. იგი იყო პირველთაგანი, რომელმაც
ქართველ ქალს გზა გაუხსნა საეივტრო ხელოვნებაში
სახეც. ეს მომენტიც კარგად აქვს შენიშნული დ. კლდია-
შვილს: „თავისი მაღალიანი ნიჭით მან შეაყვარა თეატრი
საზოგადოებას“ — წერს იგი.

დ. კლდიაშვილის წერილში იგრძნობა ნერვული ინტო-
ნაცია და რაღაც შინაგანი დაბნეულობა. ეს გამოწვეული
უნდა იყოს ერთგვარი შიშით იმისა, რომ შეიძლება საზო-
გადოებამ მიივიწყოს სცენას ჩამოშორებული მსახიობი.
ზოგჯერ ამას ხელს უწყობს მსახიობი, პროფესიის თავისებ-
ურებაც. როცა სცენიდან მიდის მსუხევი მსახიობი, მისთან
ერთად მიდის მისი აუდიტორიაც. დროთა მანძილზე მო-
დის ახალი თაობა, ახალი მაყურებელი, რომლის ყურად-
ღების ცენტრშიაც მხოლოდ ის ემყვება, რასაც იგი უშუ-
ლად ხედავს და განიცდის.

დ. კლდიაშვილი გრძნობს ყოველივე ამას და საგანგებო
წერილით აფრთხილებს საზოგადოებას, რომ არ დაი-
ვიწყოს მოყვასი. იგი მ. საფაროვას შემოქმედებას სხვა-
დასხვა საპექტით იხილავს, აღნიშნავს მსახიობის მეტყვე-
ლებას, ქართული ენის ღრმა ცოდნას, კითხვის ოსტატობას,
რეჟისორულ მოღვაწეობას...

მუნებრძობა, რომ მწერლისათვის განსაკუთრებით შე-
საძინევი იქნებოდა. თუ როგორ ფლობდა მსახიობი ქართულ
ენის სტილიან. ამასთანავე, ეს მწერლის მართკ პრო-
ფესიული ინტერესი როდი იყო. დიდმა ილიამ საფაროვას
ქალს პირველსავე გამოსვლაში შენიშნა, რომ მას „ყოველი
სიტყვითავე ერთად ის სიტყვით სჭირს, რომ მშვენიერი
ქართული გამოთქმა აქვს და ეს სიტყვით ელანა-
დელს დროში, როცა ქართული აღარავის ასსუსს, მეტად
ძვირფასი რამ არის“.¹⁸ მაშინ მ. საფაროვა 19 წლის
იყო. ილიას სიტყვებში შემდეგ გავიდა ნახევარი საუკუნე
და კლდიაშვილმა თქვა, რომ საფაროვას ჰქონდა „საოცა-

რი ცოდნა ქართული ენისა, რომლითაც ის ხიბლავდა მსმე-
ნებს“.

მ. საფაროვა მხატვრული კითხვის ოსტატიც ყოფილა.
არც ეს მომენტზე გამორჩინა ყურადღებისგან დ. კლდია-
შვილს. „მასხვარ, — იგრძნობს იგი, — როცა აკაკიმ დასწე-
რა თავისი „სამეფარი სიყვარულს“, ჩვენ საგანგებოდ
ვისთხოვეთ საფაროვა-ამაშიძისას წაყვიტა ჩვენთვის პირვე-
ლი ნოველა. მან ეს თხოვნა აგვიანსრულა და პირდაპირ გა-
გვავიდა — დღესაც უკრები მესმის მისი მომხიბლავი ხმა,
უსწავლი გამოთქმა“.

სულ სხვაგვარი პირობებში დაიწყო ახალი ქართული
თეატრის ცხოვრება. წარსულს ჩაბარდა დ. კლდიაშვილის
სცენა ქართული თეატრის ბედზე. მწერალი აღტაცებული
შეხვდა ქართული თეატრის სრულ განახლებას და ჩვენს
სცენის იმ რევოლუციურ გარდაქმნებს, რომელსაც სათა-
ვეში ქ. მარჯანიშვილი ედგა. სამტრია საქართველოს თე-
ატრის წინაშე წამოიჭრა ახალი ესთეტიკური პრინციპები.
დაიწყო ბრძოლა ახალი თეატრალური ნორმების დასა-
მკვიდრებლად.

დ. კლდიაშვილმა ახალი საქართველოს პირველსავე
წლებში გამოხატა თავისი დამოკიდებულება იმისადმი, რაც
ქართულ თეატრში ხდებოდა. ჩვენ მხედველობაში გავაქვს
მისი წერილი, რომელიც 1923 წელს უკრნა „სახიობი“
გამოსცემდა. წერილი ექვსი დეკემბრით არის დათარიღე-
ბული. ამ პერიოდში დავითი დღედაღამ გახარებული იყო, რომ
პიესების დადგმას (რეჟისორი ა. ფლავა) წარმატება ხვდა.
ეს ხალისიანი აქტისფერო იგრძნობა წერილშიც. დავითი
წერს: „ხარობ და უსაზღვრო სიხარულს ეძლევი, როცა
ხვდა, თუ რა წარმატებამა დაღეს ქართული თეატრალუ-
რი ხელოვნება. მწერალი აღტაცებული მოიხიბას ამ წარმა-
ტებით და ენერგიულ ვაგტებს ახალი შრომისათვის; გული
რწმუნით იცხება, რომ შენინ ნაწარმოები წარუდგება საზო-
გადოებას სასუბით აღსრულებული, როგორც გარეგნული,
ისე შინაარსის მხრივ. ამას რომ მიაღწია ქართულმა სცე-
ნამ. აი სწორედ აქ გრძნობ, რომ საზოგადოება გან-
საკუთრებული ხალისით ეტანება თეატრს და მისადმი სიმა-
ტია, სიყვარული და ნდობა თანდათან მძლავრდება. გამარ-
თლებული გახდა მუშაობა თეილი რიგი მიმუშავეთა, რომ-
მდინეც თავიანთი ძალითა და ღონით ემსახურებოდნენ და
ემსახურებინა ქართული სცენის წარმატებას. დაილოცა მათი
მუშაობა, დაილოცა მათი სახელი. მათი წყალობით გა-
ცოცხლდნენ და თავისი დიდებულობით წარმოადგნენ იაე-
თი ნაწარმოებები, რომდინეც უსამართლოდ დაივიწყებას ეძ-
ლეოდნენ“.

როგორი გახარებული და იმედლიანი შესცქერის მწერა-
ლი ქართულ თეატრს! ამ სიხარულში ისიც ჩანს, რომ და-
ვითი კმაყოფილი იყო მისი ნაწარმოებების რეჟისორული
ინტერპრეტაციით. „გული რწმუნით იცხება, რომ შენინ ნა-
წარმოები წარუდგება საზოგადოებას სასუბით აღსრუ-
ბული, როგორც გარეგნული, ისე შინაარსის მხრივ“. მის
ამ სიტყვებში, მასაკორეულია, იგულისხმება მისივე პიესე-
ბის დადგმა, რასაც აქ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი სა-
კითხიობა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება რეალისტუ-
რი თეატრის პრინციპებს.

დ. კლდიაშვილს ქართული სცენის მთავარ მიღწევად
მიანჩა მისი თეატრალური მდგომარეობის შესაბამისობა შინაარს-
თა. ე. ი. ოსტატული დადებითი, სანახაობრივი, ანუ
როგორც მას დავითი უწოდებს, „გარეგნული“ მხარე ბუ-
ნებრივი გამოსახულება ნაწარმოების შინაგანი მდგომარე-
ობისა. სწორედ ესაა მიზეზი, რომ მაყურებელი განსწავ-
ლებული ხალისით ეტანება თეატრს — შენიშნავს ავტორი.

იმით შორის, ვინც ვეკლავ მეტი წინაშეა შეიტანა
ახალი ქართული თეატრის წარმატებაში, დავითი ქ. მარჯა-
ნიშვილს ასახელებს. იგი მაღლობას უძღვს იმ რეჟისო-

რეზბაც, რომლებმაც დიდი ღვაწლი დასდეს განახლებულ ქართულ თეატრს. დავითი წერს: „სხვას არას ვიტყვი ამ ხანად: თუ ვინ რა ღვაწლი დასდო ქართული სცენის წარმატებას. მხოლოდ ვიტყვი ჩემს, მწერლის მადლობას იმ რეჟისორთა ჯგუფს — ძვირფას კოტე მარჯანიშვილის მეთაურობით რომ მოღვაწეობს, რომელმაც უნახავი დადგმებით გააბრწყინა ქართული სცენა, იმ ნიჭიერ მხატვარს, იმ შეხალისებულ, მუშაობაში გატაცებულ მსახიობთ, რომელთა ახეთ თვალსაჩინო წარმატებაში შეიყვანა ქართული სცენა, თეატრალური ხელოვნება“.

დ. კლდიაშვილმა შემდეგ წლებშიაც არა ერთხელ გამოხატა თავისი აღფრთოვანება ქართული საბჭოთა თეატრის მიღწევების გამო. მან როცა ს. ანმეტელის სპექტაკლი „რღვევა“ ნახა, ასე დასწერა: „გულგახარებული იმის დანახვით, რაც ვხილევ დაის მიერ წარმოდგენილ „რღვე-“

ვაზელ“ — ვაშას შევძახებ სასიქადლო ახალი თეატრის დიდებულ მოღვაწეებს“.

დ. კლდიაშვილი მთელი სიცოცხლის მანძილზე აქტიურად მონაწილეობდა თეატრალურ ცხოვრებაში. მისი წერილები, სიტყვები, ჩანაწერები დე პრაქტიკული თეატრალური მოღვაწეობა შთაგონებულია ქართული კლასიკური მწერლობის დიდი თეატრალური ტრადიციებით. მან დაიცვა და განავითარა იგი, შექმნა ახალი ტიპის დრამატურგია, მისი განსახიერების გზებიც გვიჩვენა.

დ. კლდიაშვილის თეატრალურ-ესთეტიკურ შეხედულებებში უფრო ფართოდაც გამოჩნდა ქართული სასცენო რეალიზმის შესაძლებლობანი. მისი „სიყვარულიანი დრამის“ „მოსიყვარულე გამომსახველის“ ძიება, არსებითად ეს იყო ძიება ახალი ტიპის თეატრისა, რომელსაც დ. კლდიაშვილის სახელი უნდა რქმეოდა.

ლისერტაციის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე

ნელი ჩაჩავა

მომოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში (ამჟამად სამეცნიერო ბიბლიოთეკის დიდი დარბაზი) 33 წლის აკაკი შანიძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“. ეს იყო ჩვენს უნივერსიტეტში ქართულ ენაზე დაცული პირველი დისერტაცია.

და აი ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის აღსანიშნავად უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში კვლავ შეიკრიბნენ აკადემიკოსები, პროფესორ-მასწავლებლები-

ბი, ბიბლიოთეკის თანამშრომლები და სტუდენტები.

სალამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა შოთა ძიძიგურმა. მან ილაპარაკა პირველი დისერტაციის დიდ მნიშვნელობაზე, რომელმაც გააღივალა ძველი ფაზისის, გელოთისა და იყალთოს აკადემიების მდიდარი ტრადიციები. აკაკი შანიძის ნაშრომი, — დასძინა შ. ძიძიგურმა, — მოასწავებდა ახალ ეტაპს ქართული ზმნის შესწავლაში, რომელსაც მოჰყვა აკადემიკოს აკ. შანიძის მიერ ზმნის სხვა კატეგორიების გამოვლენა და დადგენა...

ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება გააკეთა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორმა, სერგო ჯორბენაძემ.

თვით დისერტაცია კი 1920 წლის 9 მაისს (ძველი სტილით), კვირას, დაიცვა აკაკი შანიძემ. მაშინ სამეცნიერო საბჭოს სხდომა გახსნა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა კორნელი კეკელიძემ. ამავე ფაკულტეტის მდივანმა, პროფესორმა გიორგი ახვლედიანმა დამსწრეთ გააცნო დისერტატის ბიოგრაფია, შემდეგ კი თვით დისერტანტი მიიწვიეს კათედრაზე და დაიწყო დისკუსია.

ახალგაზრდა აკაკი შანიძეს, უნი-

შენიშვნები:

- 1 აღ. წილუქიძე, „თხზულებანი“, გვ. 28. წერილი „საუბარი მეთხველთან“.
- 2 ვახ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1962 წ., № 114, გვ. 2.
- 3 „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1962 წ. 25 სექტემბერი, № 114, გვ. 3.
- 4 ლიტერატურული მუზეუმის ფონდი, 14650-53.
- 5 ლ. დოლონაძე, „პართული ფსიქოლოგიური დრამის სათვეებთან“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1967 წ., გვ. 10.
- 6 საიტიხა სპეციალურად იქნება ცალკე განხილული.
- 7 ნ. ჩხეიძის ალბომში ჩანაწერი პირველად ჩვენს მიერ იქნა გამოქვეყნებული ვახ. „სოფლის ცხოვრებაში“ დ. კლდიაშვილის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო დღეებში.

- 8 კრებული „აკაკი წერეთელი თეატრის შესახებ“, ხელოვნება, 1955 წ., გვ. 70.
- 9 კრებული „ი. პავლევიძე თეატრის შესახებ“, ხელოვნება, 1955 წ., გვ. 133.
- 10 „ღრთა“, 1962 წ., № 8, გვ. 6.
- 11 „ქველი“, 1898 წ., № 40, გვ. 663.
- 12 დ. კლიაშვილი, „საბჭოთა საქართველო“, 1961 წ., გვ. 30-31.
- 13 ამ საიტისზე ჩვენი ყურადღება პირველად მიიქცია თ. გავაიანიანმა, რისთვისაც მადლობას მოვასრუებთ.
- 14 „სენობის ფურცელი“, 1903 წ. 19 თებერვალი, № 20730.
- 15 დ. კლიაშვილი, „საბჭოთა საქართველო“, 1961 წ., გვ. 145.
- 16 ჟურ. „ხელოვნება“, 1925 წ., № 1, გვ. 13.
- 17 კრებული „ი. პავლევიძე თეატრის შესახებ“, გვ. 142.
- 18 იქვე, გვ. 60.

ვერსიტეტებში მიღებული ტრადიციისამებრ, ფრაკი ეცვება და თეორიულ თემატიკაზე ეკეთა. მოხდა ისე, რომ დისერტანტს შინ დარჩენილი დაწერილი შესავალი სიტყვა, მაგრამ განსაკუთრებული მუხსიერების წყალობით უსუსტად აღადგინა და ყველაფერი შესანიშნავად წარმოამართა. მომავალმა დოქტორმა ასე მიმართა აუდიტორიას: „დიდად ბედნიერი ვარ, რომ საქართველოს პირველ უმაღლეს სასწავლებელში დისერტაციის დაცვა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ბედმა მე მარტუნა. ბედნიერი ვარ მით უმეტეს, რომ ჩემი დისერტაციის საგანია ერთი მოვლენა ქართული ენისა და სად, თუ არა საქართველოში, სად, თუ არა ჩვენს დედაქალაქში, სად, თუ არა ქართულ სამეცნიერო ტაძარში უნდა იყოს დატყობილი ასეთი დისერტაცია?“

აკ. შანიძის ნაშრომს, რომელიც იმ დროს უკვე გამოქვეყნებული იყო წიგნის სახით, მაღალი შეფასება მიესცა მეორე ოპონენტმა ივანე ჯავახიშვილმა. ეს თხზულება, — თქვა მან, — პირველი, მრავალი ძეგლის შესწავლაზე დამყარებული შრომაა ქართული ზმნის ბუნებისა და აგებულების გამოსარკვევად გამოქვეყნებული. ა. შანიძის ნაშრომში კვლევადი-ძიების ისტორიული გზა არჩეული.

პირველმა ოპონენტმა გიორგი ახვლედიანმა აღნიშნა: „ა. შანიძის

შრომა ისტორიული მნიშვნელობისაა, ამით ქართული ენის შესწავლის ახალი ხანა დაიწყო. ამ წიგნის გამოხვედრას ის ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რომ მასთან გაეცნობოდნენ ჩვენში ენის ისტორიულად და დიალექტოლოგიურად შესწავლა, ანგვარად განაწილდნენ შრომა მკვლევართა შორის და მხოლოდ ერთი-ორი კაცის საკუთრებად არ იქნება ის, რაც მეცნიერთა მთელმა არმიამ უნდა გააუკეთოს“.

პაექრობაში მონაწილეობა მიიღეს არაოფიციალურმა ოპონენტებმა პროფ. კორნელი კეკელიძემ და პეტრე მირიანაშვილმა. გამოთქვეს რა აღფრთოვანება ამ ნაშრომის გამო, მათ განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი დიდ უნარს დისერტანტისა, რომელმაც ნაშრომში შეძლო ახალი პრობლემების წამოყენება. მათ აღნიშნეს, რომ ეს ნაშრომი მეცნიერულ ინტერესს აღუძრავს და ქართული ენის შესასწავლად მიიზიდავს მეცნიერული უნარს დაჯილდოებულ ახალ ძალებს.

ჭეშმარიტად ბედნიერი იყო დისერტანტი. და არა მარტო ის, არამედ ყოველი ქართველი ინტელიგენტი.

მამინდელი პრესა ფართოდ გამოუმხარა ამ ისტორიულ ფაქტს, რადგან იგი იძლეოდა ეროვნული მეცნიერების გაფურცლების იმედს. ასეც მოხდა. რამდენიმე თვის შემდეგ მე-

დიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად უნივერსიტეტშივე დაიცვა დისერტაცია მიხეილ წინამძღვრის მიხედვით. და აი, პირველი დისერტაციის 50 წლისთავე უნივერსიტეტში უკვე 2 470 დასერტაციაა დაცული.

ქართული დისერტაციის ნახევარსაუკუნოვანი იუბილესამდე მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექციის თაოსნობით. საღამოზე მოკრებებში გამოვიდნენ აკადემიკოსები გიორგი ახვლედიანი, სიმონ ყაუხჩიშვილი, შალვა ამირანაშვილი, პროფესორი მიხეილ ნოდია.

ბიბლიოთეკის თანამშრომელთა სახელით აკაკი შანიძეს ადრესი მიართვა დაკომპლექტების განყოფილებაში გამგებ ანგელინა რაკიანმა, ხოლო სტუდენტთა ბიბლიოთეკარმა ნიკო ტარსაიძემ საზოგადოებას ამცნო, რომ სადოქტორო დისერტაცია დაცულია უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის უძვირფასეს ფონდში — გოთფრედის დისერტაციის თუხისების გვერდით.

დასასრულ გამოვიდა აკადემიკოსი აკაკი შანიძე, რომელმაც მადლობა უძღვნა უნივერსიტეტის რექტორატს, ბიბლიოთეკის დირექციას, მის თანამშრომლებსა და დამსწრე საზოგადოებას.

რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან

გამორჩენილი ქართველი ხელოვანი

ბენიამინ ტოგონიძე

საინჟინრო და მუსიკალური ხელოვნების ისტორიაში ღრმა პატივისცემით მოიგონებენ დგაწლშოსილ ინჟინერ-მშენებელსა და მუსიკალური ხელოვნების მოამაგეს იოსებ ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილს.

იოსებ ანდრონიკაშვილი დაიბადა 1855 წლის 22 ივლისს თბილისში, განათლებული სამხედრო პირის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მშობლიურ სოფელ მელაანში მიიღო და იქვე, ქართულთან ერთად, ფრანგულ და ინგლისურ ენებსაც დაეუფლა. მშობლებმა 12 წლის იოსები თბილისში ჩამოიყვანეს და 1867 წელს ცნობილი საზოგადო მოღვაწის ი. ყიფიანის პანსიონატში მიაბარეს. მან აქ რუსული ენის შესწავლა დაიწყო. ხოლო ერთი წლის შემდეგ რეალური სასწავლებლის მეორე კლასში ჩაირიცხა. აღსანიშნავია, რომ მისაღები გამოცდები ფრანგულ ენაზე ჩა-

აბარა. 1867 წელს საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ი. ანდრონიკაშვილი სახელოვანი ქართველი ინჟინრისა და მეცნიერის მიხეილ ნიკოლოზის ძე გარსევანიშვილის რჩევითა და რეკომენდაციით უმაღლესი განათლების მისაღებად მიემგზავრება პეტერბურგის გზათა მიმოსვლის საინჟინრო ინსტიტუტში, რომელსაც 1861 წელს პირველი ხარისხის დიპლომით ამთავრებს.

სტუდენტობის წლებში, ი. ანდრონიკაშვილი გაიტაცა პეტერბურგის მუსიკალურ-თეატრალურმა ცხოვრებამ. 1879 წელს იგი სასაფხულო არდადეგებს თბილისში ატარებს, სადაც აწყობს სპექტაკლებს, რომელთა შემოსავალიც განკუთვნილი იყო პეტერბურგში მცხოვრებ ღარიბ ქართველ სტუდენტთა დასახმარებლად. აღსანიშნავია, რომ მის სპექტაკლებში პირველად მიიღეს მონაწილეობა შემდგომში გა-



ქართული კლუბის სსლომას თავმჯდომარეობს ანდრონიკაშვილი.

და ინჟინერი


მოქნილმა ქართველმა მსახიობმა მარიამ საფაროვა-აბა-შაისამ და ნატო გაბუნია.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ი. ანდრონიკაშვილი უკვე ფართო სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის. პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული იისები პეტერბურგში აარსებს პირველ ქართულ არალეგალურ სათვისტომოს, რომელმაც დიდი როლი შეასრულა იქ მცხოვრები ქართველი სტუდენტების სულიერი და მატერიალური დონის ამაღლებაში. ქართველთა სათვისტომომ გამართა რამდენიმე სპექტაკლი, რომლის შემოსავალიც (6 000 მანეთი) ღარიბ სტუდენტთა ფონდს გადაეცა.

1881 წელს ინსტიტუტის დასაფარების შემდეგ ი. ანდრონიკაშვილი საქართველოში ბრუნდება. იგი კვლავ ხვდება მიხეილ გარსევანიშვილს, რომელსაც კავკასიის სამოქალაქო ნაგებობათა ხელმძღვანელობასთან ერთად სატრანზიტო გზების მშენებლობის უფროსის პოსტიც ეჭირა. მ. გარსევანიშვილის ბრძანებით ახალგაზრდა ინჟინერი ი. ანდრონიკაშვილი საქართველოს გზების კვლევა-ძიებისა და ავგამვის სამუშაოების ხელმძღვანელად ინიშნება. თითქმის 20 წლის მანძილზე ი. ანდრონიკაშვილი რთულ საინჟინრო, გეოლოგიურსა და ტოპოგრაფიულ პირობებში ხელმძღვანელობდა საგზაო-სახიდო მშენებლობას. 1882-1901 წლებში იგი გახატვნილია: სოჭი-ტრაფსეს, თბილის-მანგლის-ახალქალაქის, თბილის-თიანეთის, თბილის-განჯის, თბილის-თელავისა და სხვა მნიშვნელოვანი გზების დადგენარებისა და მშენებლობის საქმეს. სამუშაოების მაღალ საინჟინრო-ტექნიკურ დონეზე შესრულებისათვის მან რამდენჯერღვე დამიასხურა მაღლობა და წარჩინება.

1902 წელს ი. ანდრონიკაშვილი ჭიათურის რკინიგზის კვლევა-ძიებისა და დაგეგმარების სამუშაოების ხელმძღვანელად მიიწვიეს, მაგრამ აღინშნული გზის მშენებლობა შეჩერდა რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებისთან დაკავშირებით.

1906 წელს სახელმწიფო ინჟინერი — ი. ანდრონიკაშვილი მიიწვიეს კავკასიის ოლქში გზათა მიმოსვლის ტექნიკური კონტროლის უფროსად, ხოლო ერთი წლის შემდეგ ამავე ოლქის ხელფინანსურ ნაგებობათა ნაწილის უფროსად, სადაც 1916 წლამდე დაჰყო. 1917 წლიდან კი მოღვაწეობს საქართველოს გზატკეცილების სამმართველოში — ჯერ სამუშაოთა ინსპექტორად, უფროსის მოადგილედ, ხოლო შემდეგ ამ სამმართველოს უფროსად.



იოსებ ანდრონიკაშვილი.

1904 წელს ი. ანდრონიკაშვილი კახეთის რკინიგზის მშენებლობის ერთ-ერთი ინიციატორთაგანი იყო. მან ადგილობრივი გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით შეადგინა ამ გზის მშენებლობის რამდენიმე ვარიანტი. გამოჩენილ ინჟინერ ი. თუმანიშვილთან ერთად უარყო კახეთის რკინიგზის მშენებლობის უცხოეთის კონცესიისათვის გადაცემის პროექტი. მალე ი. ანდრონიკაშვილი თავისი პროექტის დასაცავად მივლინებით გამგზავრა პეტროგრადში. ამ საკითხის შესახებ მან ვრცელი მოხსენება წაიკითხა კავკასიის სოფლის მეურნეობისა და ტექნიკური საზოგადოების გაერთიანებულ სხდომაზე, ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ რკინიგზის დეპარტამენტში და თბილისის საუწყებოთათმხრობის თათბირზე, სადაც ესწრებოდნენ თითქმის ყველა ტექნიკური დაწესებულების წარმომადგენლები — კავკასიის ყოფილი მთავარმართებლობის ვორონცოვ-დაშკოვის თავმჯდომარეობით. ინჟინერი — რომანოვი, ბურჯულაღ და სამხერგი მოითხოვდნენ კახეთის რკინიგზის მშენებლობის გადაცემას უცხოეთის კონცესიისათვის. თათბირმა მხარი დაუჭირა ი. ანდრონიკაშვილის წინადადებას, რკინიგზის დეპარტამენტმა მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება და კახეთის გზის მშენებლობის ხელმძღვანელობა თბილისის გუბერნიის თავადნაწარმოებას გადაეცა. ი. ანდრონიკაშვილი კახეთის რკინიგზის მშენებლობის საკითხებს პრესაშიც აშუქებდა. მან ვრცელი პოეზი-



კვარტეტი: ი. ანდრონიკაშვილი (მარცხნიდან პირველი), პ. ჩაიკოვსკი (მარჯვნიდან პირველი).

კური სტატიები მოათავსა გავზე „კავკასკაია რჩის“ 1911 წლის აპრილისა და მაისის ნომრებში. მისმა პროექტმა მნიშვნელოვანი ტექნიკური გაუმჯობესება შეიტანა და ეკონომია გასწვია ამ რკინიგზის ტრასის მშენებლობაში და საუღელტეხილო გადასასვლელების ხარჯების შემცირებაში.

ამ პერიოდში სახელმწიფო ქართველი ინჟინერი — ი. ანდრონიკაშვილი გამოჩენილ ქართველ სპეციალისტებთან ერთად მიიწვიეს სპარსეთში, სადაც ხელმძღვანელობდა ენზელინის რკინიგზის პროექტის შედგენას (ხე-ტყის დიდი მარაგის გამოზიდვასთან დაკავშირებით). სამუშაოების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის მან ადგილობრივი ხელმძღვანელობის მაღლობა და ჯილდო დაიმსახურა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ი. ანდრონიკაშვილი განახლებული ენერჯით შეუდგა რესპუბლიკაში დიდი მასშტაბით გაშლილი სავაზო მშენებლობის ხელმძღვანელობას. მას, როგორც ფართო დიპლომისა და

დიდი გამოცდილების სპეციალისტის ნიშნავენ უმაღლეს სამეურნეო საბჭოში გზათა მშენებლობის სამმართველოს უფროსად, ხოლო 1923-26 წლებში იგი საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს ხელმძღვანელობს.

ი. ანდრონიკაშვილი საქართველოში ჩამოსვლისთანავე ეწევა დაუღალავ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც. მან მონაწილეობა მიიღო რუსეთის მუსიკალური საზოგადოების თბილისის განყოფილების დაარსებაში. ასევე მისი უშუალო დახმარებით თბილისში გაიხსნა ქართული კლუბი, რომელიც ქართული ინტელიგენციის კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. აქ სხვადასხვა ენაზე ეწყობოდა ლექციები, გამოფენები, კონცერტები, სექტაკლები, მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ბიბლიოთეკა. ქართული კლუბი დიდ საზოგადოებრივ და საჭეკლომოქმედო ღონისძიებებს აწარმოებდა. იგი ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს აძლევდა სუბსიდიებს, ჰყავდა სტაჟინერ-ანტიბი თითქმის ყველა უმაღლეს, საშუალო და დაწყებით



მარჯვნიდან მარცხნივ — შ. იბოლიტოვი-ივანოვი და პირველი კვარტეტის მონაწილენი.

სასწავლებელში. ი. ანდრონიკაშვილმა შეძლო ქართულ კლუბისათვის ახალი შენობის აგება.

ი. ანდრონიკაშვილი იყო რუსეთის ტექნიკური და გეოგრაფიული საზოგადოების, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი. იგი არჩეულ იქნა საქართველოს ტექნიკური საზოგადოების საპატიო წევრად.

ი. ანდრონიკაშვილი მხატვრის ნიჭითაც იყო დაჯილდოებული. ვატკაციები სატავდა პეიზაჟებსა და გამორჩენილ ადამიანთა პორტრეტებს, თვითონვე ასრულებდა სპექტაკლებისათვის დეკორაციებს.

ი. ანდრონიკაშვილი დახმარებას უწევდა საქართველოში მუსიკალური კადრების აღზრდის საქმეს. მისი ინიციატივით და ხელისშეწყობით 80-იან პეტერბურგიდან მოიწვიეს სპეციალისტი-მუსიკოსები, მათ შორის კომპოზიტორი მ. იპოლიტოვ-ივანოვი (პირველი ქართული მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი), მისი მეუღლე ვ. ზარუნდია (სიმღერის მასწავლებელი). ვიოლონჩლისტი ი. ვეიბრიკი, ვენის საფორტეპიანო სკოლის წარმომადგენელი ლ. ბეკინგი. თვით ი. ანდრონიკაშვილი 8 წლის მანძილზე მუშაობდა პირველ ქართულ მუსიკალურ სასწავლებელში. იგი საუცხოოდ უკრავდა ვიოლინოზე.

ი. ანდრონიკაშვილი სამშობლოში ჩამოსვლისთანავე მჭიდრო ურთიერთობას ამყარებს მ. გარსევანიშვილის ოჯახთან, მ. გარსევანიშვილის მეუღლე, ლამაზი გარეგნობის, ელისაბედ ვასილის ასული თვალსაჩინო პიანისტი გახლდათ. იგი ცნობილი ხელოვანისა და პედაგოგის ე. კუშტეინის ნაიწაფარი იყო და მუსიკალური სასწავლებლის მმართველობის საქმიან წევრად ითვლებოდა.

გარსევანიშვილების ოჯახში თავს იყრიდნენ თბილისის მუსიკოსები. ი. ანდრონიკაშვილის მხურვალე მონაწილეობით იკრიბებოდნენ ხელოვნების ცნობილი წარმომადგენლები. აი რას იკრებენ სახელოვანი კომპოზიტორი მ. იპოლიტოვ-ივანოვი, რომელსაც ამ ოჯახთან ნათესაური ურთიერთობაც აკავშირებდა:

„პირველად თბილისში ჩამოვედი 1882 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში იხიენერ ი. ანდრონიკაშვილის მოწვევით. დიდი მძღელვარებით ველოდებოდი კავკასიონის უღელტეხილის თვლიანი ზოების ხილვას, რომელიც პირველად დაინახე სადგურ მინერალურ წყლებთან მიახლოებისას. პეტერბურგის შემდეგ თბილისმა ჩემზე არასანა-

მეგნო შთაბეჭდილება დატოვა — მოუწყობელი, გიჟო ქუჩები, ძველი, ნახევრადნაგრეული სახლებით, მთავრობის დაწესებულებათა შენობების გამოკლებით. საშხრეთის მზე რომ არა, მაინცა მაღე დამეტოვებინა თბილისი. ამ ქალაქში ჩემს დირეხვას დიდად შეუწყო ხელი აგრეთვე მ. გარსევანიშვილის ყოფნამ თბილისში. მისმა დიდებულმა ოჯახმა, რომელიც ქალაქის კულტურული ძალების ერთერთ თავსუყასყრ ცენტრს წარმოადგენდა.

1882 წლის ნოემბერში გათვალისწინებული იყო ვენის კონსერვატორიის წარმომადგენლის ვ. კუშტეინის მოღვაწეობის 25 წლის აღსანიშნავი იუბილეს მოწყობა ოპერის თეატრში. ამ საიუბილეო კონცერტზე ჩემი დირიჟორობით შუშანის კონცერტით უნდა გამოსულიყო ელისაბედ გარსევანოვა. ამ მდგომარეობამ — რეპეტიციებისათვის მომზადებამ, განაპირობა შშირი სტუმრობა ამ უაღრესად სტუმართმოყვარე ოჯახში, მე მათთან თავს კარგად ვგრძობდი, თბილმა ნათესაურმა გარემოცვამ მარტოლმა გადამატანინა.

მართლაც, საიუბილეო სიმფონიურმა კონცერტმა, რომელიც ჩემი პირველი დირიჟორობით ჩატარდა, საზოგადოების მაღალი შეფასება დაიმსახურა. ამგვარად, 1882 წლის 5 ნოემბერი შეიძლება ჩაითვალოს ქ. თბილისში ჩემი სადირიჟორო მოღვაწეობის საწყის თარიღად. თბილისის საზოგადოებამ და თეატრის დირექციამ გამიცნეს როგორც მუსიკოსი. დღებურტმა მაღალ დონეზე ჩაიარა და ჩემი ავტორიტეტი საბოლოოდ განმტკიცდა.


ამ პერიოდში მიხეილ გარსევანიშვილი კავკასიაში 15 წლის მოღვაწეობის შემდეგ დაინიშნა პეტერბურგის გზათა მინისტრის საინჟინრო ინსტიტუტის ინტენქტორის პოსტზე. პეტერბურგში გამგზავრება დანიშნული იყო 1882 წლის დეკემბრის ბოლოს. მ. გარსევანოვმა თავის კარეტში ადგილი შემომთავაზა. ჩვენი მგზავრობა მეტად სასიამოვნო აღმოჩნდა და იანვრის დასაწყისში ჩვენ უკვე პეტერბურგში ვიყავით.“

ი. ანდრონიკაშვილს თბილისში ახლო ურთიერთობა ჰქონდა აგრეთვე ანატოლი ჩაიკოვსკისთან, რომელიც თბილისში 1885 წლის 5 სექტემბერს ჩამოვიდა. იგი თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორად მსახურობდა, შემდეგ მას ვიცე-გუბერნატორის პოსტი ეჭირა. ანატოლი ამავე დროს ხელოვნების დიდი მოყვარული იყო და თეატრალური საზოგადოების წევრად ითვლებოდა.

ანატოლი ჩაიკოვსკის საშუალებით ი. ანდრონიკაშვილმა გაიცნო და მოიწვია მისი ძმა — სახელოვანი კომპო-



მარცხნიდან მარჯვნივ: კ. გორსკი — I ვიოლინო, ი. ანდრონიკაშვილი — II ვიოლინო, ი. კოლჩინი — ალტო, სარაჯიშვილი — ვიოლონჩლო.



პ. ჩაიკოვსკის გაცილება. თეორი დუქანი. სხედან: ი. ანდრონიკაშვილი (მარცხნიდან მეორე), მ. იპოლიტოვი-ვანოვი (მარჯვნიდან მეორე), ცენტრში — პ. ჩაიკოვსკი (დგას).

ი. ანდრონიკაშვილი (მარჯვნიდან მეორე) სპარსეთში ქართულ მოღვაწეთა შორის.



ზიტორი პეტრე ჩაიკოვსკი, რომელიც თბილისში პირველად 1886 წლის აპრილში ჩამოვიდა. ი. ანდრონიკაშვილმა დიდ კომპოზიტორს გააცნო საქართველო და მისი მუსიკალური სელოფენება. პეტრე ჩაიკოვსკი მოიხიბლა წარმტაცი ბუნებითა და ნიჭიერი ქართველი ხალხით. ამიტომაც იგი ზედიზედ ჩამოდიდა თბილისში და საქართველოსთან კავშირს არ სწყვეტდა. თბილისის ოპერის თეატრმა და მუსიკალურმა წრეებმა სახელოვან სტუმარს ღირსეული შეხვედრა მოუწყვეს. 1886 წლის 9 აპრილს ოპერის თეატრში სიმფონიური მუსიკის დიდი კონცერტი გაიმართა. პროგრამაში იყო პ. ჩაიკოვსკის ნაწარმოებები. ანატოლი ჩაიკოვსკი ისე დაუახლოვდა ი. ანდრონიკაშვილს, რომ მისი სწორი სტუმარი იყო და მონაწილეობდა იმ სამუსიკო საღამოებში, რომელსაც ი. ანდრონიკაშვილი შაბათ-კვირას თავის ბინაზე მართავდა. ანატოლის საშუალებით იოსების ოჯახში პ. ჩაიკოვსკიც ყოფილა. ი. ანდრონიკაშვილის სახლში იმართებოდა საკვარტეტო მუსიკის საღამოები, რომელშიც მონაწილეობდნენ: პ. გორსკი (პირველი ვიოლინი), ი. ანდრონიკაშვილი (ჩელო). ერთ-ერთ საღამოზე პ. ჩაიკოვსკისაც მიუღია მონაწილეობა, ამ კვარტეტთან ერთად იგი ფორტეპიანოს პარტიას ასრულებდა.

ი. ანდრონიკაშვილმა მეტად საინტერესო მოგონება შემოგვინახა თბილისში პ. ჩაიკოვსკის ყოფნასთან დაკავშირებით:⁴

„ერთხელ პ. ი. ჩაიკოვსკი თბილისის ოპერის თეატრში „ტრაჯედიას“ დაესწრო. ი. ანდრონიკაშვილთან ერთად სპექტაკლს ესწრებოდა კომპოზიტორი და ფორტეპიანოსზე დამკვრელი გენარო ყორღანოვი, რომელიც უცხოეთიდან ახალი დაბრუნებული იყო. ყორღანოვმა, რომელიც პ. ჩაიკოვსკის დიდი თაყვანისმცემელი იყო, ღიმილით უთხრა დიდ კომპოზიტორს: განა ღირს ასეთი ოპერის მოსმენაო?

ა. ანდრონიკაშვილის გამოთხოვება
პ. ჩაიკოვსკისთან (მცხეთა).




რეპეტიცია ი. ანდრონიკაშვილის ბინაზე. ი. ანდრონიკაშვილი
(წინა პლანზე) ხტავს დეკორაციებს.

ჩაიკოვსკიმ ხელი მოჰხვია ყორღანოვს და უპასუხა: ამისთანა ოპერას მე და თქვენ მაინც ვერ დავწერთ“.

ი. ანდრონიკაშვილი ღრმა პატივისცემით სვდებოდა დიდი რუსი კომპოზიტორის ყოველ ჩამოსვლას საქართველოში. 1890 წლის 20 ოქტომბერს პ. ჩაიკოვსკი კვლავ ჩამოვიდა თბილისში. ამასთან დაკავშირებით ოპერაში ისევე გაიმართა სიმფონიური კონცერტი პ. ჩაიკოვსკის ნაწარმოებებიდან. სადირიჟორო პულტთან ავტორი იდგა. ორკესტრში ჩელოს პარტიას ი. სარაჯიშვილი ასრულებდა, პირველი ვიოლინოსას — პესტელი, მ. იპოლიტოვ-ივანოვი კი ზანზალაგებს უკრავდა. პ. ჩაიკოვსკის გამოსვლას ესტრადაზე ორკესტრი ტუმით შეეგება, დარბაზში კი მქუსარე ოფიცია გაისმა. მუსიკის დიდად მოყვარულმა და საზოგადო მოღვაწემ ისაი ფითოვიმა პ. ჩაიკოვსკის ოქროთი შემკული სპილოს ძეღის სადირიჟორო ჯოხი მიართვა. სცენაზე ყვავილებისა და გვირგვინების ზეინი აღიმართა. ჩაიკოვსკის სიტყვით მიმართეს ი. ანდრონიკაშვილმა, ცნობილმა კომპოზიტორმა მ. იპოლიტოვ-ივანოვმა, ფრანგული ოპერის დასის წარმომადგენელმა ლასალმა და სხვებმა. ი. ანდრონიკაშვილმა სტუმარს მიართვა დიპლომი „თბილისის სამუსიკო წრის“ საპატიო წევრად არჩევის შესახებ. ეს იყო პ. ჩაიკოვსკის უკანასკნელი ჩამოსვლა თბილისში.

ქალაქის მუსიკალურმა საზოგადოებამ, მათ შორის ი. ანდრონიკაშვილმა და მ. იპოლიტოვ-ივანოვმა, 23 ოქტომბერს საქართველოს სამხედრო გზით პ. ჩაიკოვსკი მცხეთამდე ზეინით გააცილეს, ხოლო „თეთრ დუქანში“ ქართული პურ-მარილით დაულოცეს გზა.

ი. ანდრონიკაშვილმა ოთხ ათეულ წელზე მეტი შვალთა საინჟინრო საქმის აღმავლობასა და მშობლიური ხელოვნების აყვავებას. მისი ღვაწლი სათანადოდ დაფასდა — 1926 წლის 7 თებერვალს საქართველოს საინჟინრო-ტექნიკურმა



საზოგადოებამ ი. ანდრონიკაშვილის დაბადებიდან 70 და მოღვაწეობის 45 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე გადაუხადა. იმ დროის ახალგაზრდადამელი პირველი ქართული ტექნიკური ქრნალი „ტექნიკა და ცხოვრება“, რომლის დარსებობს ერთ-ერთი აქტიური მონაწილე თვით იუბილარის იყო, ფართოდ გამოიშვებოდა ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.⁶

„დასურულებელი ძიებისა და საკუთარი მეობის განმტკიცებისათვის ბრძოლა — წერდა ქურნალი, — ყოველი ცხოველი-მწყველი ხალხის სპეციფიკური თვისებაა. ცხოველის მათიანე შეტაცდა სახტიკა; აფასებს და იყვარებს მას, ვინც მისი შინაგანი დულიდობი იწვის და ენთება, რომ შემდგომი მოდგმის თვალში ძვირფასი სამკაულებით დაამშვენოს საუკუნის მოლოლი სულის მწვერვალები.

ის, რაც მე-19 საუკუნემ მოგვცა მონაგალი მოდგმისათვის, ძვირფასი და სახეკვარია. პირველი შეხედვით თუმცა უფროდ გვეჩვენება, მაგრამ თუ ღრმად დავაყვირდებით, დავინახავთ, რომ აქ ყურებს საფუძველი ახალ ძიების და ამ ძიების ბრძოლის ხალხის აცხოველებს მომავლის მიწვინავლე პერსპექტივები. სწორედ ასეთ პირობების კეთილეს ჩვენს სახელოვან იუბილარი დავაწირობთ ინტენიტი და კულტურის დიდი მოამავე ოსებ ზაქარაის ძე ანდრონიკაშვილი“.

საიუბილეო საბამოს, რომელიც საქართველოს პროფ-ბაბტოს (ახლადელი სასტუმრო თბილისი) შენობის მთავარ დარბაზში გაიმართა, დიდძალი ხალხი დაესწრო და მგზნებარ სიტყვებით მიმართეს იუბილარს მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა. თითქმის ყველა საგზაო უბნიდან იუბილარს მისი ნამოღვაწარი გზის მაკეტეები მიართვეს. საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ხანგრძლივი, ნაყოფიერი და უპიკველო მუშაობისათვის საპატიო სიგელით დააჯილდოვა, ხოლო რუსულენოვან ზატყვილებს სამმართველო იუბილარის თავის შენობაში ბინა მიუქნია და „ბუკერის“ ფორმის როიალი უსახსოვრა.

დასასრულა იუბილარის პატივსაცემად გაიმართა კონცერტი ოპერის თეატრის საუკეთესო ძალების მონაწილეობით. სიმებიან ორკესტრს სახელოვანი დირიჟორი ივანე ფალიაშვილი დირიჟორობდა. გამორჩეულმა მსახიობმა მარიაამ საფაროვა-აბაშიძისამ წრეობით მიმართავი პატროტული და მაღლიერი გარნობით ი. ანდრონიკაშვილს სახელოვანი იუბილე მიულოცა.⁷

„ოსებ ზაქარაის-ძე ანდრონიკაშვილის საუბილეო კომიტეტს!

გთხოვთ კეთილინებოთ და გადასცეთ პატივცემულ იუბილარს შემდეგი: „ავამყოფებამ ხელი შემიშალა პირი-დათ გზლებილდით და ქედმხიხრით სალამი მომეძღვნა თქვე-ნითვის.

მართალია, დღეს თქვენი სამსახურებრივი მოღვაწეობის იუბილეს იხდიან თქვენი პატივისმეძებნი, მაგრამ ვინც იცის თქვენი საზოგადოებრივი ღვაწლიც, მოვალეა ესტურედე ღონაწილობა მიიღოს ამ დღესასწაულში.

მე ცოცხალი მოწმე ვარ თქვენი დიდი გარჯისა ქართული მუდმივი თეატრის აღორძინებისათვის და უმაღურება იქნებოდა ჩემის მხრით, რომ გავრუმებულყავ.

თამამად შემომძალა ვიქცა, რომ ქართული მუდმივი თეატრის აკავნი პირველად თქვენს ოჯახში დაიწყო. მიელი სასზადისი პირველი ქართული წარმოდგენის გამართვისათვის 1879 წელს და შემდეგ წლებში თქვენი მხურავლე და აფტიორიტული მონაწილეობით სწარმობდა.

იმ დღესვე-ღურმა გამხნეებამ და აღერსმა, რაც ჩვენ, ახლად ფტანდგმულ თეატრის მუშაკებმა ვივით პარადათ

თქვენსა და საერთოდ ქართული კულტურის წიაღში ქართული თეატრი საუკეთესო ყვევლითაგანია, — ამას ქართული საზოგადოება უნდა უმაღლიდეს თქვენისთანა იშვიათ თანამგზობილად და სამშობლო ქვეყნის წარმატებისათვის თავადღებით მიმომავე მოღვაწედ.

მიიღეთ ჩემი გულწრფელი უაღრესი პატივისცემა და უმდაბლესი სალამი.

რესპუბლიკის სახლხო არტისტი
მარიაამ საფაროვა-აბაშიძისა.

1926 წ. თებერვალი 8.
დიდაქალაქი“.

ი. ანდრონიკაშვილი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მოწინავე საზოგადოებათან, გამორჩეული მოღვაწეებთან. მას პირადი მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძისთან.

ი. ანდრონიკაშვილი ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა ახალ ჩამოყალიბებულ მოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მან დიდი ღვაწლი დასდო მშობლიურ ენაზე სახელომდგანელოების შეადგენისა და გამოცემის საქმეს. იგი სამართელოში ტექნიკური ოლიტრატურის ფუძემდებელია. მან, როგორც ფართო ღიაპრობის ინჟინერმა და მეცნიერმა, 1926-1932 წლებში გამოსცა 8 სახელომდგანელო სამშენებლო მეცნიერების ხაზით. სახელომდგმ, საგზაო მშენებლობისა და ნაგებობათა ფუძესაპირკვლების დარგში. მისი წიგნი „სამშენებლო ხელოვნება — ფუძე-საძირკველი“ 1932 წელს გამოიცა, იგი წარმოადგენს პირველ ორიგინალურ ნაშრომს მიწისქვეშა ნაგებობათა დარგში. მის საფუძველზე შეიქმნა პროფესორ დ. მუცინიერაძის, დოცენტების დ. კერესელიძისა და ამ სტრიქონების აფგორის სახელომდგანელოები.

ფასდაუდებელია ი. ანდრონიკაშვილის ღვაწლი პირველი სამშენებლო ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონის შეადგენის საქმეში. მანვე დიდი მუშაობა გასწია პირველი „საგაგვეთილი დეპუტების“ შემოწმებისში, რომელიც 1926 წელს გამოიცა.

ღვაწლიწინული ქართველი ინჟინერი და საზოგადო მოღვაწე ოსებ ანდრონიკაშვილი 1940 წლის 5 ივლისს გარდაიცვალა 85 წლის ასაკში.

მისმა მოღვაწეობამ წარუშლელი კვალი დასტოვა სამაშენებლო მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების განვითარებაში. ი. ანდრონიკაშვილის ცხოვრება მისაბაძი მაგალითია ქართველ მოღვაწეთა მიმდგმობისათვის.

შ ე ნ ე ვ ე ბ ა :

1 მ. ნ. გარსევანიშვილი მეფე ვახტანგ მეექვსის ამაღალი მყოფი იყუ და გიორგი გარსევანიშვილების სახელოვანი შობაშობა-ლია. იგი გასული საუკუნის 70-იან წლებში კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსმა ბარონ ა. პ. ნიკოლომ მიიწვიო კავკაში სამოქალაქო თავიშობათა ინსპექტორის თანადე-ობაზე.

2 მიხელო გარსევანიშვილი თბილისში ცხოვრობდა აღ. კვეკვიძის ქუჩაზე, № 10 სახლში.

3 М. М. Ипполитов-Иванов. 50 лет русской музыки в моих воспоминаниях, 1934 г.

4 ე. ურუ. „საბჭოთა ხელოვნება“, № 3, 1932 წ.

5 მელე კაშხაძე, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ისტორიისათვის, ნაწილი 1, 1851-1921 წლები, 1950 წ.

6 „ტექნიკა და ცხოვრება“, № 6, 1926 წ.

7 წერილი იმეძღვნა პირველად. დედანი ინახება ი. ანდრონიკაშვილის შვილის სახელოვანი ინჟინრის კ. ანდრონიკაშვილის ოჯახში.

ხუროთმოძღვარი

მიხეილ

გუგოლი



ვახტანგ ბერიძე

ქართულ ხუროთმოძღვრებას მნიშვნელოვანი მონაპოვარი აქვს, რის გაუთვალისწინებლადაც შეუძლებელია ქართული საბჭოთა კულტურისა და ხელოვნების ნამდვილი შესწავლა. მეტიც: ხუროთმოძღვრება, მრავალი თვალსაზრისით, ერთი უმთავრესი მაჩვენებელთაგანი იყო იმ არსებითი გარდატეხისა, რომელიც მოახდინა ოქტომბრის რევოლუციამ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებასა და განვითარებაში. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტად დრომ განვლო. ახლა საინტერესოა განვლილი გზისთვის თვალის გადავლება, ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრების პირველი ნაბიჯების შესწავლა, იმ ოსტატების დეაქლის გამოკვლევა და დაფასება, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს მას.

რა გეჟონდა რევოლუციამდელ საქართველოში ხუროთმოძღვრების მხრივ? კეთილმოწყობილი ქალაქები, ჩამორჩენილი კომუნალური მეურნეობა. მხატვრული თვალსაზრისით — სრული ეკლექტიზმი, რომელიც საერთოდ დამახასიათებელი იყო კაპიტალისტური ქალაქებისათვის XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან. ეროვნული არქიტექტურის ტრადიცია კარგა ხნის გაწყვეტილი იყო, მაგრამ XIX-X X საუკუნეთა მიჯნიდან, საზოგადოებრივი და ეროვნული მოძრაობის გამოღვივებასთან ერთად, მშენებლობაში გაჩნდა პირველი ცდები ქართული ფორმებისა და სამკაულის გამოყენების, თუნდაც სტილიზაციის სახით. ამ ცდებს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეროვნული ხუროთმოძღვრების აღორძინებისთვის ეს არ კმაროდა — სამხ.სო ნიადაგი მაშინ არ არსებობდა. ფაქტურად, არ იყო არქიტექტურითა ეროვნული კადრები — სულ თითო-ორიოლა ქართველი ხუროთმოძღვარი და რამდენიმე მშენებელი ინჟინერი თუ დიპლომატი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ქართუ-

ლი ხუროთმოძღვრების წინაშე დიდი ამოცანები დაისახა: ეს იყო ძველი ქალაქების კომუნალური მოწყობილობა და რეკონსტრუქცია, ახალი უბნებისა და დასახლებული ადგილების შექმნა, საბინაო მშენებლობა, უამრავი ახალი, საზოგადოებრივი დანიშნულების სახლის აშენება, ინდუსტრიული და, განსაკუთრებით, საკურორტო მშენებლობა. საქართველოს კურორტები წინათ მხოლოდ შეძლებულთათვის იყო მისაწვდომი. ზორჯომში, აბასთუმანში, შავი ზღვის სანაპიროზე რუსეთის მეფის საგვარეულოსა და უმაღლესი არისტოკრატის წარმომადგენლებს თავიანთი სასახლეები ჰქონდათ, მაგრამ არ არსებობდა მშრომელი ხალხისთვის განკუთვნილი სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები. ოცი-ახსნა და, განსაკუთრებით, ოცდაათიან წლებში, კურორტების გენერალური პროექტების შედგენა, სანატორიუმების, სპეციალური საკურორტო-სამკურნალო დაწესებულებისა და დასასვენებელი სახლების მშენებლობა ქართული ხუროთმოძღვრების ერთი უმთავრესი უბანთაგანია. სამისოდ იქნებოდა საგანგებო საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციები. რთული იყო, რა თქმა უნდა, ახლად წამოჭრილი მხატვრულ-იდეური ამოცანებიც.

ვის უნდა ეტვირთა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში დაპროექტებისა და მშენებლობის მთელი ეს სიმძიმე? სამისოდ აუცილებელი იყო ხუროთმოძღვართა ახალი ეროვნული კადრების მომზადება — სხვაგვარად ქართული არქიტექტურის აღორძინებასა და ნორმალურ განვითარებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. სწორედ ამ მიზნით 1922 წელს თბილისში ახლადარსებულ სამხატვრო აკადემიასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა არქიტექტურული ფაკულტეტები. თიანეთის წლების მიწურულში და, განსაკუთრებით, ოცდაათიან წლებიდან აქ

აღზრდილი ქართველი არქიტექტორები გამოვიდნენ ასპარეზზე და აქტიურად ჩაებნენ კიდევ შემოქმედებითს მოღვაწეობაში. მაგრამ პირველი ნაბიჯების გადადგმა, გზის გაკვლევა, ბუნებრივია, უფროსი თათბირი არქიტექტორებსა და მშენებლებს მოუხდათ, რომლებსაც ჯერ კიდევ რევოლუციამდე კჭონდათ მიღებული საცივალური განათლება და საქართველოში მუშაობდნენ. აქ შეუძლებელი არ გავიხსენოთ არქიტექტორები და ინჟინრები: ივანე თულაშვილი (რომელიც რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ მთლიანად პედაგოგიური მუშაობით შემოღფარგლა), მიხეილ მაჭავარიანი, გრიგოლ ქურდიანი, ანატოლ კალგინი და ნიკოლოზ სვეტიცი (რომელთა შემოქმედებამ თვალსაჩინო როლი შეასრულა ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრების ჩამოყალიბების პროცესში), გ. ტერ-მიქელოვი, მ. კალანოვი და სხვ. მათ შორის საპატიო ადგილი უჭირავს არქიტექტორ მიხეილ ვარდიანიძეს, მ. ბუზოლი, რომელიც რამდენიმე სათუთი წლის მანძილზე უანგაროდ იღვწოდა ქართული ხუროთმოძღვრების ასპარეზზე. შეიძლება ვადაუჭარბებლად ითქვას, რომ მშენებლობის ზოგ დარგში მიხეილ ბუზოლი პიონერია და ამ საქმეში თვალსაჩინო კვალიც დატოვა.

მ. ბუზოლი 1879 წელს დაიბადა სოხუმში და იქვე მიიღო პირველდაწყებითი განათლება, შემდეგ კი სწავლა განაგრძო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც 1899 წელს დაამთავრა. იმავე წელს იგი მიემგზავრება პეტერბურგს. პეტერბურგის უნივერსიტეტში ბევრ ქართველ სასლგარდას მიუღია განათლება. მიხეილიც შევიდა მათემატიკის ფაკულტეტზე, მაგრამ მესამე კურსიდან გადავიდა სამოქალაქო ინჟინერთა ინსტიტუტში, არქიტექტურის დარგზე, რომელიც 1909 წელს დაამთავრა.

ამის შემდეგ მიხეილ ბუზოლი ბრუნდება საქართველოში და იწყებს მუშაობას როგორც ინჟინერ-მშენებელი და ხუროთმოძღვარი. მან მშენებლისა და დამაპოეტებლის ხანგრძლივი და მრავალფეროვანი გზა განელო, ბევრი პროექტი შეადგინა, უამრავი ნაგებობა ააგო, მაგრამ უმთავრესად (თუმცა, არა მთლიანად) მისი მოღვაწეობა ორ დარგთან იყო დაკავშირებული — ეს იყო საქარხნო-საფაბრიკო და საკურორტო მშენებლობანი. ამ უკანასკნელს მან განსაკუთრებით დიდი ენერგია შეაღია. მაგრამ მ. ბუზოლი, როგორც ფართო პროფილის ინჟინერი, მარტო სახლებს და პროექტებსა-მენებით არ შემოღფარგულა. მან ბევრი რამ გააკეთა, როგორც საგზაო ინჟინერმაც.


საქართველოში დაბრუნების შემდეგ მიხეილი პირველსა მ წლიწადს ქუთაისში ცხოვრობდა და სამუშაოთა მწარმოებლად მუშაობდა, შემდეგ რვა წლის განმავლობაში ბათუმის ნავთობის ქალაქის უფროსი და ოლქის ინჟინერი იყო. ამ ხანებში, ე. ი. უშუალოდ რევოლუციის წინა წლებში და პირველი მსოფლიო ომის დროს მ. ბუზოლის ხელმძღვანელობით გაყვანილი იქნა გზები ქუთაისიდან წყალტუბოში, ალაზანიდან ცაგერამდე (ირბელის გაყოლი). მანვე ააწინა ოსე ჩაქვიდან ქობულეთამდე, რკინა-ბეტონის ყველა ხილი — ბათუმ-ქობულეთის გზაზე, ოსე ბათუმიდან ზოფამდე — ყველა საჭირო საინჟინრო ნაგებობითურთ, ცხრა ხილი — ზუგდიდთან-საგზაო გზაზე და ბევრი სხვა.

1911-1915 წლებს მიეკუთვნება მის მიერ დაპროექტებული და აშენებული რამდენიმე სამრეწველო ობიექტი — ბენზინსაცავი 3300 ტონისათვის (მასში მძებ ნოებლებს ეკუთვნის), კასრების ქარხანა ბათუმში მინერალური წყლის ექსპორტისათვის, ოთხსართულიანი თანბაქის ფოთლის საწყობი სოხუმში (შემდეგ ამ შენობაში საფერმენტაციო ქარხანა მოთავსდა). 1916 წელს მან შეადგინა დიდი ქიმიური ლაბორატორიის პროექტი ნობელის ფერმისათვის ბათუმში. გარდა ამისა, 1915 წელს ბათუმში ააგო ორი საველე ქორუკი ოპსაბიკალი, ერთი — ხუროთმოძღვრების, მეორე — მცირე ზომისა. ამგვარად, თავისი მუშაობის პირველი ათი წლის განმავლობაში სამრეწველო არქიტექტურისა და სამოქალაქო-საგზაო მშენებლობის დარგში მ. ბუზოლიმ დიდი გამოცდილება მიიღო.

ოციანი წლების დასაწყისიდან მ. ბუზოლი თბილისში გადმოსიდა და საბოლოოდ აქ მკვიდრდება. ამიერიდან მისი მოღვაწეობა უფრო ფართოდ იშლება. იგი კვლავ განაგრძობს მუშაობას საფაბრიკო-საქარხნო მშენებლობის სახით. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ მ. ბუზოლი არის ერთი პირველთაგანი, ვინც საქართველოში დაიწყო ჩაის ფაბრიკების დამოუკეტება და მშენებლობა. მის ღვაწლს უკეთ დაეფასებთ, თუ გაეიხსენებთ, რომ ოციანი წლებში არქიტექტორის ხელში ძალიან მცირე მასალა იყო ამგვარი ფაბრიკების მშენებლობის მეთოდისაზე. 1927 წელს მ. ბუზოლიმ აშენებს ჩაქვის ჩაის ფაბრიკას, 1931 წელს — ზუგდიდისას. ჩაის ნახევარფაბრიკების წარმოებისათვის აშენებს აგრეთვე რამდენიმე ტაობრივ ფაბრიკას. 1932 წელს მიხეილმა შეადგინა საექსპორტო ღვინის საწყობის მრავალსართულიანი შენობის პროექტი ფოთის ნავსადგურისთვის.

თბილისის კინოსტუდიის შენობა





ბოტანიკის სამეცნიერო წყლების შენობა.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ფურცელი მიხილ ბუ-
ზოლის, როგორც არქიტექტორის, მოღვაწეობაში მაინც
საქართველოს კურორტებისა და კავშირებულის, როგორც
უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა ხელისუფლების პირველ ორ
ათეულ წელიწადში საქართველოში ფართოდ გაიშალა კუ-
რორტთა დაპროექტებისა და მშენებლობის საქმე. მუშაობა
ორი ხაზით მიმდინარეობდა: კურორტთა გენერალური პრო-
ექტების შედგენა (ეს სრულიად ახალი საქმე იყო მაშინ)
და ცალკეული ობიექტების — სანატორიუმების, სამკურნა-
ლო დაწესებულებათა და სხვ. დაპროექტება. მ. ბუზოლიმ
ორივე მიმართულებით თვალსაჩინო წვლილი შეიტანა სა-
ქართველოს კურორტების მშენებლობის საქმეში.

1933 წელს მას დაევალა კურორტოლოგიის სახელმწიფო
სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში შექმნა არქიტექ-
ტურული დაგეგმარების სექტორი, რომელიც სათავეში ჩა-
უდგინდა კურორტთა გენერალური პროექტების შედგენას
ეს მხელი საქმე იყო, რადგან ამ დარგში არაერთი გამოც-
დილება არ არსებობდა, და არც მეთოდოლოგია იყო შემუშავე-
ბული. აგავარდა, მ. ბუზოლისა და მის თანამშრომლებს
გაუკვალავი გზით უზღებოდათ სიარული. მიხილს ძალიან
დიდი და დაბაბული მუშაობის ჩატარება მოუხდა საჭირო
მასალისა და მონაცემების შესაგრობ-მოსაწარმოებლად,
გენერალური პროექტების შედგენისათვის სათანადო მკვიდ-
რი საფუძვლის მოსამზადებლად.

არქიტექტორ ზაღდასტანიშვილთან ერთად 1935 წელს
მან შეადგინა ქობულეთის გენერალური დაგეგმარების პრო-
ექტი. 1940 წელს კი შექმნა კურორტ ბორჯომის გენერალური
დაგეგმარებისა და ბორჯომის ჯგუფის კურორტთა რა-
იონული დაგეგმარების პროექტები. მ. ბუზოლი ავტორისა ავ-
რეთვე კურორტ ბახმარის გენერალური პროექტისა.

დიდი მის მიერ დაპროექტებული ცალკეული ხუროთ-
მოდერული ობიექტების რაოდენობა: ბევრ კურორტზე შეს-
დგენილი მისი შრომის კვალს — ბორჯომში, წყალტუბოში,
ახტალაში, მენჯში. 1946 წლის ერთ საბუთში, სადაც მი-
ხილ ბუზოლის დავალებზე უკრძალვად გამახვილებული
და ხელმოწერილია საქართველოს სსრ ჯანმრეალობის სა-
მინისტროს სამეცნიერო სამედიცინო საბჭოს თავმჯდომარ-
ის მიერ, აღნიშნულია, რომ მის მიერ „დაპროექტებულა
და აშენებულია კურორტ წყალტუბოს კაპიტალურ ნაგებო-
ბათა 50 პროცენტზე მეტი, ხოლო კურორტ მენჯში შენობა-
თა 100%“, ე. ი. ფაქტობრივად, ახალი კურორტი მენჯი
მთლიანად მ. ბუზოლის შექმნილი იყო. საკმარისია მხო-

ლოდ ჩამოვთვალოთ მის მიერ დაპროექტებული და აშენე-
ბული კურორტები, რომ ნათელი გახდეს მ. ბუზოლის
წვლილი ამ დიდ საქმეში. აი ეს უმთავრესი ობიექტები:
წყალტუბოში — სანატორიუმი, პოლიკლინიკა, სააბაზანო
შენობა № 7 (სამივე — 1930 წ.), სასტუმრო (1935 წ.).
600-ადგილიანი კინოთეატრი (იყო სამედიცინო-საზღვაო
ფლოტის სუბსადგილიანი სანატორიუმის პროექტის მთა-
ვარი კონსულტანტიც); ბორჯომში — ფიზიო-თერაპიული
ინსტიტუტი (1930 წ.); გულრიფშისა და სოხუმისთვის —
სანატორიუმების პროექტები; თბილისში — ფიზიოთერაპი-
ული ინსტიტუტი (1926 წ.); ასეთივე ინსტიტუტების პრო-
ექტები ქუთაისის, ზესტაფონის, ბათუმისა და სოხუმისთვის,
ახტალაში — სასტუმრო და ტალახით სამკურნალო; თბი-
ლისში — სამედიცინო ტექნიკუმი (1928 წ.) და ფარმაკო-
ქიმიური სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტის პროექტი
(1936 წ.). ანაკლიისათვის — 500-ადგილიანი დასასვენე-
ბელი სახლის პროექტი, ცალკეული საკურორტოები
და დასასვენებელი სახლები კურორტებზე და მრავალი იყო.
მ. ბუზოლის რამდენიმე პროექტის თანაავტორი მის
მისი უფროსი ვაჟი, მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზ-
რდა არქიტექტორი, მიხილილი.

როდესაც ამ პროექტებს, ან განხორციელებულ შენო-
ბებს ეყვებით, უნდა გვახსოვდეს, რომ არსებითად, ეს იყო
საკურორტო მშენებლობის პირველი ცდები ქართულ საბ-
ჭოთა არქიტექტურაში. მაშინ არ არსებობდა ის ნივთიერი
შესაძლებლობა, რომელიც უფრო გვიან გაჩნდა, ხუროთმოძ-
ღობით და მშენებლობით უმუშევარი იყვნენ მასშტაბისა
და საშენი მასალის მხრივაც. მათ არ შეეძლოთ მოსაპირკე-
თებლად თლილი ქვის, ინტერერებისთვის კი მარმარილოს
განთქვენვა. მაგრამ მ. ბუზოლი, როგორც დიდად გამოც-
დილი მშენებელ-არქიტექტორი, ყოველთვის ცდილობდა
რაც შეიძლება უფრო მიზანშეწონილი, პრაქტიკული და მო-
ხერხებული შენობები შექმნა. იმავე დროს, საერთო კომ-
პოზიცია და იერი მ. ბუზოლის საუკეთესო შენობებში
მართლაც „საკურორტოა“ — საზეიმი, ხალისიანი, გაშლი-
ლი დერეფნებით, ვერანდებით, კოლონადებით. პირველ-
ებით, ფართო სარკმლებით. ამ მხრივ განსაკუთრებით დამა-
სახსიათებელია ანაკლიის დასასვენებელი სახლის პროექტი.

არსებითად, რევოლუციამყვანი მ. ბუზოლი ძირითადად
მუშაობდა როგორც გზათა გამყვანი და წმინდა უკლინიკა-
რული შენობების ავტორი და ავტები, ასე რომ, საკუთრივ
შემოქმედებითი, ყოველ შემთხვევაში, მხატვრული მხარე,

